


ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ԿՈՆԳՐԵՍ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

K 39-D94
2



କର୍ମଚାରୀ ପାଠେତାଙ୍କ ପାଠେତାଙ୍କ

0005-3888
60326685401881

1960-62

କ୍ଷାମାତ୍ରାବଳିକା „ନୋଟ୍ସନ୍ସର୍ସ“
ପବ୍ଲିଶ୍ଯୁଟ୍ରନ୍ — 1971



კინოფარმოების დასაწყისი და კინოს
 პირველი ენტუზიასტები.

„წითელი ეშაპუნიგი“.
 „არსენა ჯორჯიაშვილი“

საქართველოში აღრიანად იხილეს კინემატოგრაფი, მოსკოვში ფილმების პირველი ჩვენებიდან სულ რაღაც ოთხი-
 ოდე თვის შემდეგ. 1896 წლის ნოემბერში პირველ კინოსეანს-
 ზე თბილისში წარმოდგენილი იყო ლუმიერის ფილმები. შემ-
 დგომ წლებშიაც თბილისს სიამოვნებით ესტუმრებოდნენ ხოლმე მოძრავი „ილუზიონების“ მომთაბარე მფლობელები. კინოწარმოებისათვის ხელსაყრელმა ამ ქვეყნის ბუნებრივმა პირობებმა მალე მიიჩიდა უცხოელი და რუსი კინოსაქმოსნები ფირმა „პატეს“ თავისი განყოფილება ჰქონდა თბილისში. მოკ-
 ლე ფილმების გადაღება მოსინჯეს აღგილობრივი „ილუზიო-
 ნების“ მექანიკოსებმაც. ასე მაგალითად, 1910 წელს ს. ივა-
 ნიცკაიას მუდმივად მოქმედ „ილუზიონთან“ შეიქმნა პატარა
 ლაბორატორია, საღაც მექანიკოსი ა. ღილმელოვი (შემდგომში
 სახეინმრეწველობის სტუდიის ოპერატორი) ბეჭდავდა ადგა-
 ლობრივ თემებზე გადაღებულ ფილმებს. ღილმელოვის ფილ-
 მები „ტახებზე ნაღირობა“, „კათალიკოსის დაკრძალვა ეჩმი-

აძინში“, „პირველი საგაზაფხულო მარულა თბილისში“, მატებით გავიდა უკრანშე. ფირმა „პატე“ თავისი ქართული ნალისათვის სიამოვნებით იძენდა დილმელოვის ნეგატივებს.

ამ დროისათვის საქართველოში გამოჩნდა კინემატოგრაფის კიდევ ერთი ენთუზიასტი — ვასილ იაკობის ძე ამაშუკელი. იგი მექანიკოსად მუშაობდა ბაქოში და ქრონიკის რამდენიმე მოკლე სიუჟეტი გადაიღო. მშობლიურ ქუთაისში დაბრუნების შემდეგ, ამაშუკელმა განაგრძო მოკლე ფილმების გადაღება, რომლებსაც უჩვენებდნენ ქუთაისის კინოთეატრ „რადიუმში“. 1912 წლის ივლისში მან გადაიღო პირველი ქართული დოკუმენტური კინონარკვევი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-სა და ლეჩხუმში“. კინონარკვევი მოცულობით (4 ნაწილი), მხატვრული ღირებულებით და საზოგადოებრივი მნიშვნელობითაც საგრძნობლად განსხვავდებოდა იმდროინდელი უფერული ფილმებისაგან. ვ. ამაშუკელმა აღბეჭდა დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შეხვედრები ხალხთან. ფილმი კარგადაა გააზრებული და ოსტატობის მაღლიც ემჩნევა.

ახალ საქმეს დიდი პრაქტიკული დახმარება გაუწია ცნობილმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ სიმონ ესაძემ, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ამიერკავკასიაში პირველად გადაიღეს სამხედრო ქრონიკის სიუჟეტები.

1918 წელს დილმელოვისა და კინოთეატრ „აპოლოს“ მფლობელის — გეგელეს ბეჭითი მეცადინეობით ჩამოყალიბდა კინოლაბორატორია. ის მოთავსებული იყო კინოთეატრის უკრანის უკან, პატარა ზომის ორსართულიან ფიცრულში. ლაბორატორიის განყოფილებები ოთხ მომცრო ოთახში განაწილდა: ზემოთ — გამოსამუღავნებელი და საკოპიო განყოფილება, საშრობი დოლი 250 მეტრი ფირისათვის, ქვემოთ —

საპროექტო, ცეროდენა „ეკრანით“, რომლის ზომა ოწავე /
აღემატებოდა საწერი რვეულის ფურცელს. ეს ლაბორატორიული
მყისვე შეისყიდა ბაქოელმა საქმოსანმა, ვინმე ბელგიელმა პი-
რონემ, რომელმაც ამ ბაზაზე მხატვრული ფილმების დამზადე-
ბის განყოფილება შექმნა. პირონემ ბაქოდან მოიწვია რეფი-
სორი ვ. ბარსკი, რომელმაც ოპერატორ დილმელოვთან ერთად
1919 წელს დადგა ხუთნაწილიანი მხატვრული სურათი „თავ-
მოკვეთილი გვამი“. იმავე წელს გადაიღეს კიდევ ორი ფილ-
მი — „მითხარი, რისთვის?“ („შოპენის ნოქტიურნი“) და ორ-
ნაწილიანი კომედია „არ დაიძინო“. დაბაზის უქონლობის
გამო საპავილიონო გადაღებები უდეკორაციოდ მიმდინარეობ-
და კინოთეატრ „აპოლოს“ ფოიში.

პირველი ფილმების კომერციულმა წარმატებამ შეაგული-
ანა პირონე და მან გადაწყვიტა გაეფართოებინა კინოწარმოება.
ამ მიზნით, მიხაილოვის ქუჩაზე (ახლა პლეხანოვის პროს-
პექტი), მან დაიქირავა რამდენიმე მინაშენი. ასე დაიბადა პირ-
ველი კინოატელიე. ამ ადგილას ამჟამად კინოსტუდია „ქარ-
თული ფილმის“ კორპუსებია.

პირონეს ატელიეში გადაღებული ფილმები მხოლოდ იმით
განსხვავდებოდა იმხანად თბილისის ეკრანებზე მომდლავრე-
ბული უცხოური ფირმების პროდუქციისაგან, რომ კიდევ უფ-
რო დაბალ პროფესიულ დონეზე იდგა. იმ დროისათვის თბი-
ლისის ცენტრალურ ქუჩებზე მუდმივად მოქმედი ათი „ილუ-
ზიონი“ იყო, საღაც საცირკო ატრაქციონთან ერთად პატარა
ფილმებს აჩვენებდნენ. „ილუზიონების“ მფლობელნი გაშმავე-
ბულ კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს. მაქს ლინდერის,
პაროლიდ ლოიდის, ჩარლი ჩაპლინის კომედიურ ფილმებს ეკ-

რანებზე ენაცვლებოდა უბადრუკ თემებზე აგებული სრული ტები და სანტიმენტალური მელოდრამები. თანდათან განსხვავდებოდა მუღმივი კინოთეატრები ქუთაისში, სოხუმში, ბორჯომში, გათუმსა და სხვა ქალაქებში. გამქირავებელი კანტორის მეპატ-რონენი და საქმოსნები — კინოთეატრის მყლობელები კინე-მატოგრაფს მხოლოდ კომერციული თვალით უყურებდნენ, რაგრამ საქართველოში იმ დროს უკვე იყვნენ პიროვნებები, რომლებმაც თავიდანვე განჭვრიტეს კინემატოგრაფის დიდი მომავალი და მისი მეურვეობა იყისრეს.

პირველად 1911—1916 წლებში შ. დადიანი შეეცადა ჩამო-ეყალიბებია სამამულო კინოწარმოება.

1915 წელი. „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორმა იოსებ იმედაშვილმა თავის ეურნალში სტატია მიუძღვნა კინე-მატოგრაფს. იმედაშვილს უნდოდა, რომ თეატრალურ მოღვა-წეთა ძალებით შექმნილყო ფილმი ქართველი ხალხის ყო-ფაზე და ამის განსახორციელებლად საჭირო სახსრების შევ-როვებისათვის იგი საზოგადოებას მოუწოდებდა. მაგრამ მის მოწოდებას არ გაეხმაურნენ, არც ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და არც დრამატული საზოგადოება. მაშინ საქ-მეს ხელი მოჰკიდეს ენთუზიასტებმა — თეატრალურმა მოღვა-წეებმა: გ. გოგიტიძემ, ა. წუწუნავამ, ს. ესაძემ. მათი დახმა-რებით 1916 წლის ზაფხულში დაიწყო ფილმ „ქრისტინეს“ გადაღება ეგნატე ნინოშვილის ამავე სახელწოდების ნაწარ-მოების მიხედვით.

„ფილმი „ქრისტინე“ უფერული, სუსტი გამოდგა, — წერ-და სცენარის ავტორი და დამდგმელი-რეჟისორი ა. წუწუნა-ვა, — მაგრამ სურათმა მაინც აანაზღაურა გაღებული ხარჯები.

აქედან ჩანს, რა მონდომებული ყოფილა ქართველი საზოგადოებრივობაში ეკრანზე ეხილა თავისი ქვეყნის ცხოვრება^{ასოციაცია} ტელეკომუნიკაციაში

1920 წელს პიროვნები ბელგიაში დაბრუნდა. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ პიროვნესაგან შეისყიდა ყველა მისი კინემატოგრაფიული საწარმოები და დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა საქართველოში საკუთარი ნაციონალური კინომრეწველობის ჩამოყალიბება. მაგრამ ფილმების წარმოების ორგანიზება დროებით მთავრობას გაუჭირდა: მენშევიკების ბატონობის ხანაში საქართველოში მხოლოდ ქრონიკის რამდენიმე ლენტი გადაიღეს.

1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ერთი თვის შემდეგ თბილისში შედგა ხელოვნების მუშაქთა საერთო თათბირი, სადაც იმ დროის საკიბრბოროტო პრობლემები და მომავლის გეგმები განიხილეს. დაიწყო ქართული ხელოვნების აღმავლობის ეპოქა.

კინოსაქმეში აქტიურად ჩაებნენ თეატრის მუშაქთა ჯგუფი და მწერლები. ძირითადი მოვალეობა იმათ იტვირთეს, რომელთაც კინოში მუშაობის მცირეოდენი გამოცდილება მაინც ჰქონდათ: ამო ბექ-ნაზაროვმა, გიორგი მაკაროვმა, ზაქარია ბერიშვილმა, ალექსანდრე წუწუნავამ და სხვებმა. ამ ამხანაგებმა განსახური დააყენეს საკითხი კინოქსელის შექმნისა და თბილისში ფილმების წარმოების ორგანიზების შესახებ. საკითხი დადებითად გადაწყდა.

1921 წელს თბილისის ეკრანებზე გამოვიდა პირველი ქართული საბჭოთა ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“. ფილმი დადგა ი. პერესტიანმა, სცენარის ავტორი იყო შ. დადიანი.

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 1940 წლის 5 თებერვალი.

ი. პერესტიანი, რომელიც რევოლუციამდელ კინოში მა-
ხიობად, რეჟისორად და სცენარისტად მუშაობდა, სამართლებრივ
ნად ითვლება ქართული, საბჭოთა კინემატოგრაფის ერთ-
ერთ ფუძემდებლად. ფილმ „არსენა ჯორჯიაშვილს“ საფუძვ-
ლად დაედო მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართ-
ველი ხალხის ბრძოლის ერთი დრამატული ეპიზოდი — მომ-
ხდარი 1905 წლის რევოლუციისას. აჯანყებულ ქართველებს
სასტიკად გაუსწორდა საქართველოში მოქმედი მეფის რუსე-
თის ჯარის მხედართმთავარი — გენერალი გრიაზნოვი, რის
გამოც იგი მოკლა არსენა ჯორჯიაშვილმა. ფილმში მთავარი
როლი შეასრულა სახალხო თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა
მიხეილ ჭიათურელმა.

მხატვრული ღირებულებით ფილმი არაფრით გამოიჩე-
ოდა იმ დროის გაფოფრილ-ისტორიულ მელოდრამებისაგან. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, „არსენა ჯორჯიაშვილი“ მნიშვნე-
ლოვანი მოვლენა იყო საბჭოთა საქართველოს ხელოვნებაში
პირველად გახდა კინოსურათის გმირი მჩაგვრელთა წინააღ-
მდეგ ამხედრებული მეამბოხე.

ფილმმა ცხარე კამათი გამოიწვია პრესაში. მას დიდი პრე-
ტენზიით მიუდგნენ. სამართლიანად მიუთითებდა რა, რომ
ქართული ხალხური შემოქმედება მდიდარია „არა მარტო ცეკ-
ვებითა და ნაციონალური ჩიხტაკოპით“, რეცენზენტი ფილმის
მდარე ხარისხსა და ცრუხხალხურობას აღნიშნავდა. ამ სტატიის
საპასუხოდ გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ რედაქციაში ზედიშედ
მოვიდა წერილები, რომლებშიაც მკითხველები რეცენზენტი
მომეტებულ სიმკაცრეს უსაყველურებდნენ. რეცენზენტისაგან

განსხვავებით მაყურებელთა უმრავლესობაშ ამ ფილმის  გეობით საქინმრეწველობის დიდი მომავალი განცვრაშ შემთხვევაში განცვრაშ შემთხვევაში

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სურათის ირგვლივ ატე-
ხილი დავა მაყურებელმა გადაწყვიტა ფილმის დამდგმელთა
სასარგებლოდ — „არსენა ჭორჭიაშვილმა“ არნახული წარმა-
ტებით მოიარა რესპუბლიკის ეკრანები. წარმატებით შეგუ-
ლიანებული დამდგმელი ჭვეფი მყისვე ~~შეუდგა~~ მეორე ფილ-
მის — „სურამის ციხის“ გადაღებას დ. ჭონქაძის ამავე სა-
ხელწოდების ნაწარმოების მიხედვით. ნაწარმოების ეკრანზე
გადაღება განხორციელდა ქართული კლასიკური ლიტერატუ-
რის კინოპროპაგანდის გეგმის შესაბამისად, რომელიც განათ-
ლების სახალხო კომისარიატის კინოსექციამ დამტკიცა. ამ
პრინციპით ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ეკრანზე გადა-
იღეს ა. ყაზბეგის ორი ნაწარმოები — „მოძღვარი“ (1922 წ.
რეჟისორი ვ. ბარსკი, ოპერატორი ა. დილმელოვი), „მამის
მკვლელი“ (1923 წ. რეჟისორი ა. ბეკ-ნაზაროვი) და ნ. ნა-
კაშიძის „ვინ არის დამნაშავე“ (რეჟ. ა. წუწუნავა. 1925 წ.).

როგორი იყო ეს ფილმები? რას ვხედავთ ჩვენ საინტერე-
სოს მათში დღეს?

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების
წლებში საქართველოში მომუშავე კინემატოგრაფისტებმა მო-
იწადინეს ღრმა სოციალური პრობლემატიკით გაჭერებული
ქართული ლიტერატურის კლასიკური ნაწარმოებების ეკრანზე
გადაღება. მათი ყურადღება მიიპყრო ქართველთა განმათავი-
სუფლებელი ბრძოლების ისტორიამ, გარდასულ დღეთა რევო-
ლუციურმა მოძრაობამ. მაგრამ რთული სოციალური პრობლე-
მების გადაჭრა იმხანად ვერ მოახერხა ახლად ფეხადგმულმა
კინემატოგრაფიამ.

• რეუისორების — ვ. ბარსეის, ა. წუწუნავას, ი. პერესტიანას /
მიერ ოციან წლებში ეკრანიზებული ლიტერატურული ქადაგები
მოქმედი მოკლებული იყო აზრის იმ სიღრმეს, რომელიც ლი-
ტერატურულ პირველწყაროებს გააჩნდა. ეს ფილმები ჩვენ
დღეს გულუბრყვილო და არასრულყოფილი გვეჩვენება. მაგ-
რამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს იყო პირველი ცდები
კინემატოგრაფის ნამდვილ ხელოვნებად აუღიერებისა.

უკვე 1923 წელს სახეინმრეწველობამ ფართო საქმიანობა
გააჩალა. საქართველოს სახეინმრეწველობის წარმომადგენლო-
ბა დაარსდა მოსკოვში, ლენინგრადში, როსტოვში, კრასნო-
დარში და სხვა ქალაქებში. სახეინმრეწველობას ჰქონდა სა-
კუთარი კინოთეატრები რამდენიმე ქალაქში და დამოუკიდებ-
ლად აწარმოებდა ფილმების გაქირავების ყველა ოპერაციას,
თვითონვე აწყობდა ქართული კინოსურათების საზღვარგარეთ
გატანასაც, რეკლამასაც და ა. შ.

საქართველოს კინოხელოვნებამ ფეხი აიდგა, მაგრამ სახ-
ეინმრეწველობის რამდენიმე ფილმს ჯერ კიდევ არ შესწევდა
ძალა კონკურენცია გაეწია ეკრანებზე მომძლავრებული გა-
მაოვნებელი სახელწოდებების საზღვარგარეთულ უნიათო კი-
ნოსურათებისათვის: „როგორ მოვატყუოთ შინაბერები“,
„სიკვდილის სამიკიტნო“ და სხვა.

ეს უხამსი ფილმები მძაფრი სიუჟეტით იზიდავდა ხალხს
და ამ უგვანობას დაჩვეულ მაყურებელს, ცოტცოტაობით,
უჩილუნგდებოდა გემოვნება. ამ გარემოებამ წარმოშვა აზრი,
გადაელოთ ფილმი, რომელსაც მძაფრი სიუჟეტიც ეჭნებოდა
და გამოეხმაურებოდა კიდეც ჩვენი ეპოქის რევოლუციას. ასე
შეიქმნა თბილისში 1923 წელს საგმირო-სათავგადასავლო
ფილმი „წითელი ეშმაკუნები“. მაყურებელმაც და პრესამაც

ფილმი ერთხმად მიიღეს. „პირველი მერცხალი“ — ასე ეწოდებოდა ი. პერესტიანის ფილმზე დაწერილ რეცენზიას გვთხოვთ: „პრავდაში“.

„წითელი ეშმაკუნები“, მართლაც, „პირველი მერცხალი“ იყო. ამ ფილმია ოღმოაჩინა საბჭოთა კინემატოგრაფის ახალი გმირი — რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მონაწილე.

ფილმის ავტორებმა — სცენარისტმა პ. ბლიახინმა, რეჟისორმა ი. პერესტიანმა, ოპერატორმა ა. დილმელოვმა — მოუთხრეს მაყურებელს კონტრარევოლუციას წინააღმდეგ მებრძოლ სამოქალაქო ომის გმირებზე. ფილმის ნორჩი გმირები — მიშა, მისი დაიკო დუნიაშა და მათი მეგობარი ზანგი ჯონსონი—პირველ ცხენოსანთა არმიის დაზვერვაში მოხვდნენ და მახნოს ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაცვიდრებელი გმირობები ჩაიღინეს. დიდი გამჭრიახობისა და სიცევიტის მეონებით მათ მახნოს შტაბში შეაღწიეს, დაატყვევეს ანარქისტთა რაზმი და დიდი ტომრით აგაზაკთა ბრძოს მეთაურიც გაიტაცეს. ფილმის სიუჟეტი უბრალო და ნათელი იყო, მოქლებული იმდროის კინონაწარმოებებისათვის დამახასიათებელ მელოდრამატულ ელფერს. სურათი გმირთა მტკიცე მეგობრობასა და კეთილშობილი იდეალებისადმი მათ თავდადებაზე მოუთხრობდა.

კინოგამქირავებლების მონაცემებით „წითელი ეშმაკუნები“ მეტი წარმატებით სარგებლობდა მაყურებელში, ვიდრე ყველაზე უფრო შემოსავლიანი უცხოური კინოსურათები. ფილმმა კეშმარიტი ტრიუმფით მოიარა ქვეყნის ეკრანები. პრესა აღფრთვენებით შეხვდა „წითელ ეშმაკუნებს“. „კინოგაზეთი“ წერდა: „ამ სურათში ყველაფერი მშვენიერია. ორიგინალური, მახვილგონიერი სცენარიც... კომკავშირული გამბედაობით აღ-

ჭურვილი მხედვა ჭაბუკი მსახიობებიც... და გაშევირვალე, მზადა
თა და პაერით მსუყედ ნაკვები ფოტოგრაფიაც... „სანამ მოსახული
კოვში დაობდნენ კინოს შესახებ, თბილისში მუშაობიშენ...“ და
შექმნეს მთელ კინოპროდუქციაში ყველაზე საუკითხესო ნა-
წარმოები. რევოლუციური სიუკეტი შვევნივრად ერწყმის
უაღრესად მომხიბლავ მოქმედებას. ფილმში გამოყენებულია
ამერიკული დეტექტივის ტექნიკა, ეს სურათი პირველი ნიმუ-
შია „წითელი პინკერტონის“ ხასიათის ნაწარმოებისა და
სრულიად გათავისუფლებული ყოველგვარი კოშმარული ბო-
როტმოქმედებისაგან.

... მაყურებელი აღფრთოვანებულია ჭაბუკი მზეერავების
ვმირობითა და გამჭრიახობით, მაყურებელს გულანად აცინებს
გონებამახვილური სიტუაციები და ტრიუკები“.

ორმოც წელიწადზე მეტი გავიდა ი. პერესტიანის ფილმის
ეკრანზე პირველი ჩვენებიდან, მაგრამ „წითელ ეშმაკუნებში“
არის წარუვალი ფასეულობა — აქ პირველად გაისმა ახალ-
გაზრდა რევოლუციონერების მჟექარე ხმა.

ზემონათქვამიღან გამოდინარე, 1923 წელი მნიშვნელოვანი
მოვლენით აღინიშნა. კინოწარმოება სამეურნეო ანგარიშზე გა-
დაიყვანეს, ხოლო ქართული კინემატოგრაფის ხელმძღვანე-
ლობა დაავალეს სააქციო საზოგადოებას — საქართველოს სახ-
კინმრეწველობას. რეორგანიზაციამ საგრძნობლად შეუწყო
ხელი ახალგაზრდა ნაციონალურ კინემატოგრაფიას გადაელახა
ორგანიზაციული და ტექნიკური სიძნელენი და განამტკიცა
შისი ეკონომიკა. სააქციო საზოგადოების დაფუძნებიდან ერთი
წლის შემდეგ სახინმრეწველობის ფაბრიკამ ი. პერესტიანის
კიდევ ერთი ფილმი „სამი სიცოცხლე“ გამოუშვა, რომელსაც
აგრეთვე დიდი წარმატება ხვდა წილად. ფილმი დაიდგა

გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით, ი. პერებულის
ტიანმა ობზეულების ფაბულაც და სიუჟეტიც ძირითადად კარგად ასახა მე-
ცლელად გამოიყენა და ფილმში საქმაოდ კარგად ასახა მე-
ცნობამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოცია-
ლური ყოფის სურათები.

1925 წელს დაიწყო სახეინმრეწველობის ფაბრიკის ტექნი-
კური აღჭურვა. კინოსტუდიას მიაშურეს ახალმა ენთუზია-
სტებმა — ლიტერატურის, თეატრისა და სახვითი ხელოვნების
მოღვაწეებმა. დაიწყო ქართული კინოს ახალი ეტაპი...

მარჯანიშვილის მუზაობა პიროვნი

„ჯანყი გურიაში“

ახალგაზრდების დებიუტი

მიხეილ ჭიათურელის სატირა

1926 წელს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება საქართველოში კინოწარმოების შემდგომი განვითარების შესახებ. თემატურ გეგმაში შეიტანეს 12 ფილმი (რაც ორნახევარჯერ აღმატებოდა სახეინმრეწველობის დაარსებიდან გამოშვებულ მთელ პროდუქციას). მტკვრის დანაგვიანებულ სანაპიროზე, სადაც უწინ სასარაჯო სახელოსნოები იყო, აღიმართა კინოფაბრიკის (იმ დროისათვის დიდებული) პავილიონები, აშენდა ელექტროსადგური, გადალების მოედნები, ფოტოლაბორატორია, სამონტაჟო საამქრო, საღურგლოები, ბუტაფორიის სახელოსნოები. შეისყიდეს უანლესი გადასალები აპარატურა. მშენებლობის მასშტაბები იმ დროისათვის, მართლაც, გრანდიოზული იყო. უკვე ორი წლის შემდეგ სიდიდითა და სიმძლავრით სახეინმრეწველობა რიგით მესამე კინოფაბრიკა გახდა საბჭოთა კავშირში.

მაგრამ ამ სიახლეს მნიშვნელოვნად არ უმოქმედია 1925—1926 წლებში გამოშვებული ფილმების მხატვრულ ხარისხზე.

ეს პროცესი ნაბიჯ-ნაბიჯ მზადდებოდა. თეატრიდან, სახვითი ხელოვნებიდან, ლიტერატურიდან კინში მისული ახალგაზრდა ნაციონალური კადრები თანდათან ეუფლებოდნენ კი-

ნებატოგრაფიის რთულ ტექნიკას. ი. პერესტიანმა  „არსენა ჯორჯიაშვილში“ გადაიღო მოქანდაკე და მხატვალის მ. ჭიათურელი. ასისტენტებად, მსახიობებად, მექანიკოსებად დაიწყეს თავიანთი მოღვაწეობა ხელოვნებაში მ. გელოვანმა, გ. მაკაროვმა, მ. კალატოზოვმა. კინოხელოვნებას ეზიარა ცხობილი თეატრალური რეჟისორი კოტე მარგანიშვილიც. მასთან ერთად კინემატოგრაფს მიაშურა ნიჭიერმა ხელოვანმა ნიკოლოზ შენგელაიძმ. ახალი ხელოვნებისადმი დიდი სიყვარულით გამსჭვალული ახალგაზრდობა იმ წლებში კინოს ანბანს ეუფლებოდა და რევოლუციამდელი კინემატოგრაფის შემორჩენილი კონცეფციების უარყოფისთვის საბრძოლველად ემზადებოდა. ამ ახალგაზრდა თაობას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მედროშე ყოფილიყო იმდროინდელ კინოხელოვნებაში. ახალგაზრდები არ განსაზღვრავდნენ კინორეპერტუარს, რომელშიც ჯერაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კომერციულ ლენტებს — ფსევდოეგზოტიკური ტრაფარეტით შექმნილ ფილმებს „აღმოსავლეთის ცხოვრებიდან“. რეჟისორმა ა. ბექ-ნაზაროვმა 1926 წელს სახკინმრეწველობის პავილიონებში გადაიღო ფილმი „ნათელა“. ამ სურათში მონაწილეობდნენ გამორჩეული ქართველი მსახიობები: ნ. ვაჩნაძე, ა. ხორავა, მ. ჭიათურელი, ა. უორჯოლიანი, დ. ყიფიანი. მიუხედავად ამისა, რეჟისორმა ვერ მოაცილა ფილმს ეგზოტიკური ცრურობმანტიკის ატრიბუტები: ჰარამხანის სცენები, ქალების გატაცება, ისტორიული სინამდვილის უგულებელყოფა...

ზედაპირულობის დაღი ესვა რეჟისორ ვ. ბარსეის მიერ 20-იან წლებში გადაღებულ ფილმებს „ჩვენი დროის გმირს“ და „მეცხრე ტალღას“. ამ უკანასკნელზე „ზარია ვოსტოკას“ რეცენზენტი მახვილგონივრულად წერდა: „მეცხრე ტალღა“

კარგა ხანია მეფობს სახეინმრეწველობის ეკრანზე. ოლონდა, მაგრა სხვადასხვანაირად აწვდიან მაყურებელს, ხან „შუქურაში მართვა დუმლოებანის“ სახელწოდებით, ხან კი „ნათელას“ სახელწოდებით. ყველაფერი ეს — ცუდად დამზადებული მორიგი კერძია.

1926 წელს რეჟისორმა ა. წუწუნავამ ეკრანზე გადაიღო ა. ცაგარლის ცნობილი კომედია „ხანუმა“. ქართული დრამატურგიის ეს უაღრესად პოპულარული ნაწარმოები მდიდარია საინტერესო სახეებით. რეჟისორისთვის თკმაც ახლობელი იყო. თითქოს ყველაფერი ხელს უწყობდა „ხანუმას“ ეკრანზეც კარგად აუღერებულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა. თუ არ ჩავთვლით ცალკეულ საინტერესო მიგნებებს, „ხანუმა“ არაფრით განსხვავდებოდა ბარსკის უგერგილო ფილმებისაგან. ლერმონტოვის ეკრანიზებული ნაწარმოების მსგავსად, ეს ფილმი მხოლოდ ზედაპირულად ასახავდა ლიტერატურულა პირველწყაროს ფაბულას.

თითქოს, მრავალგვარი საფუძველი არსებობდა გვეფიქრ, რომ ქართული კინო ძნელად ეგუებოდა ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციას. მაგრამ 1927 წელს კოტე მარჯანიშვილმა ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციის სრულიად ახალი გზა გამონახა და დადგა ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“.

კინოში მარჯანიშვილის ნამუშევართა შორის „სამანიშვილის დედინაცვალს“ განსაკუთრებული აღგილი უჭირავს. ეს ფილმი მტკიცედ დამკვიდრდა ქართული რეალისტური კინე-მატოგრაფის არსენალში.

ფილმში სწრაფად და საინტერესოდ ვითარდება მოქმედება.

ანვითარებდა რა კომედიურ სიუჟეტს, რეჟისორი, ამავე დროის, სხვა ამოცანასაც ისახავდა უანრის კანონების სრული დაცვითა და რაც შეიძლებოდა ღრმად, დაემუშავებინა პერსონაჟთა წა-სიათები. სწორედ გმირთა ხასიათების ასახვით, ფილმში თვალნათლივ იგრძნობა მოწინავე ქართული თეატრის გავლენა. მარჯანიშვილმა მიიზიდა იმ დროს უკვე ცნობილი ნიჭიერი თეატრალური მსახიობები: შ. ლამბაშიძე, ა. ვასაძე, ა. უორულიანი, ნ. ჯავახიშვილი. შემდგომში ამ მსახიობებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული თეატრისა და კინოს განვითარების საქმეში.

1927—1928 წლებში კ. მარჯანიშვილმა დადგა კიდევ ოთხი ფილმი — „გოგი რატიანი“, „ამოკი“, „ქრაზანა“ და „კომუნარის ჩიბუხი“. ამ ფილმებზე მუშაობისას რეჟისორს ძირითადად აინტერესებდა მონტაჟის და კადრების კომპოზიციის პრობლემები.

მარჯანიშვილი დიდ ინტერესს იჩენდა ყოველივე სიახლი-სადმი. მისი ცდები — დინამიკურ მონტაჟში მსხვილი პლანის და დეტალის გამოყენებისა — საკმაოდ საყურადღებოა, გან-საკუთრებით „ამოკში“. სცენარების „ქრაზანასა“ და „ამოკის“ ავტორმა — მარჯანიშვილმა თამამად შეიტანა ფილმებში ახა-ლი სოციალური მოტივები, რის მეოხებითაც ეს ნაწარმოებები მიუახლოვდა ოციანი. წლების ეპოქასა და საბჭოთა ხელოვნების ამოცანებს. მაგრამ ხელოვანის ფანტაზია და მისი ექსპე-რიმენტული გზება ხშირად მნიშვნელოვნად აჭარბებდა მარჯა-ნიშვილის, როგორც კინორეჟისორის შესაძლებლობებს და არ შეესაბამებოდა იმდროინდელი კინემატოგრაფის ტექნიკურ მდგომარეობას. ამიტომ, მის ფორმალურ ძიებას არ მოჰყოლია

მნიშვნელოვანი აღმოჩენები. მაგრამ, ვაბედული ძიების ტექ-
დენციას, ექსპერიმენტს, რომელიც მარჯანიშვილმა კინოში მოწერა
მოიტანა, არ შეიძლებოდა დადებითი გავლენა არ მოეხდინა
ქართველი კინემატოგრაფისტების ახალგაზრდა თაობაზე.

ოციანი წლების მეორე ნახევარში ქართული კინემატოგრა-
ფის რეპერტუარში წამყვანი აღვილი კულტურული რევოლუ-
ციის თემას დაეთმო. ეს საგულისხმო აქტუალური პრობლემა
ქართულ კინოში შემთხვევით არ წამოიჭრა. საბჭოთა ხე-
ლისუფლების დამყარების პირველ წლებში, სოციალური და
ეკონომიკური მდგრამარეობის მხრივ, საქართველოში განსხვა-
ვებული სამეურნეო ფორმები და მოსახლეობის სრულიად
სხვადასხვანაირი კულტურული დონე იყო. საქართველოში,
რევოლუციას ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაც დაეკისრა,
რომ კულტურის მხრივ ჩამორჩენილ რაიონებში საუკუნეების
განმავლობაში დამკვიდრებული ცრურწმენა აღმოიფხვრა. ეს ამოცანა ხელოვნებასაც უნდა შეესრულებინა.

ამ პრობლემის გადაჭრასთანაა დაკავშირებული ქართულ
კინემატოგრაფში ახალგაზრდა რეჟისორების მიხეილ გელოვა-
ნის, დავით რონდელის, სიკო ლოლიძისა და ლეო ესაკიას დე-
ბიუტები.

1929 წლის დასაწყისში რესპუბლიკის ეკრანებზე გამოვიდა
ახალგაზრდების — რეჟისორ მ. გელოვანის და სცენარისტ
გ. მდივნის პირველი ფილმი „ახალგაზრდობა იმარჯვებს“. იმ
წლებში ფილმის სახელწოდება სიმბოლურად აეღერდა. ამ სუ-
რათით აღინიშნა ქართველ კინემატოგრაფისტთა ახალგაზრდა
თაობის პირველი შემოქმედებითი გამარჯვება.

ფილმში მოთხრობილი ამბავი ხდება საბჭოთა აჭარაში, სა-
დაც ჯერ კიდევ ასებობდა მახინჯი ჩვეულებანი და ცრურწმე-

ნები. დრამატურგიული და რეჟისორული ორიგინალური ხელობით ფილმში ნაჩვენებია წარსულის ყველაზე მეტად მდგრად გადმონაშთის — სისხლის აღების აღათის — უაზრო და ველური ხასიათი.

წართული სოფლის გარდაქმნასა და ექიმბაშობასთან ბრძოლის თემებს მიუძღვნა ახალგაზრდა რეჟისორმა დ. რონდელმა თავისი პირველი ნამუშევარი „უგუბზიარა“ (1930), რომლის სცენარი გ. მდივანმა დაწერა. ამ ფილმში საინტერესოდ არის გაშუქებული სოფლის ექიმბაშის — ჭოტოს შინაგანი სამყარო. ჭოტო ძლიერი და ჭკვიანი პიროვნებაა, ოლონდ საოცრად მჰიდროდაა დაკავშირებული ძველებური სოფლის აღათებსა და უკულტურობასთან.

წარსულის უვარვის გადმონაშთებთან ბრძოლის პრობლემა კიდევ უფრო ცოცხლად წამოაყენა რეჟისორა ს. დოლიძემ ფილმ „მეწყერების ქვეყანაში“ (1931). ამ კინოსურათში მოთხრობილია ფშაველთა ცხოვრებაზე, რომლებიც გარე სამყაროს სრულიად მოწყვიტა მაღალ მთათა წყებამ. ამ ფილმის გადაღება მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა და რეჟისორობან ერთად გადამღებმა ჯგუფმა ნამდვილი მამაცობა გამოიჩინა. საკმარისია ითქვას, რომ ფილმის პირველ ტიტრებში ერთ-ერთი როლის შემსრულებლის პორტრეტის ზემოთ ეწერა: „მოკლულია კინოექსპედიციაში მონაწილეობისათვის“.

ს. დოლიძემ თავისი შემოქმედებითი გზა კინოში დაწყო, როგორც რეჟისორ-ეთნოგრაფმა. ს. დოლიძის ინტერესი მთი-ელთა ტომების ყოფისადმი თვალნათლივ გამოიხატა მის პირველივე ფილმებში. მისი მომდევნო ნამუშევარი — მხატვრული კინოსურათი „უკანასკნელი ჯვაროსნები“ — მოუთხრობს, როგორ ეზიარა ხევსურეთი საბჭოთა კულტურას. რეჟისორი

დაწვრილებით იკვლევს ხევსურთა ზნე-ჩეეულებებს, ადამიანის
ცდილობს ღრმად ჩაწვდეს მათ შინაგან ბუნებას და აჩვენდეს
სოციალური და ბუნებრივი პირობების გამო განსაკუთრებულ
მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა ცხოვრებაში რევოლუციის
შემდეგ მომხდარ ცვლილებებს.

ფილმში სუსტი გამოდგა ის კადრები, რომლებშიაც ნაჩვე-
ნები იყო ბარში გადმოსახლებულ ხევსურთა ახალი ცხოვრე-
ბა. ამ კადრებში სასურველი ხანდახან, სინამდვილედ საღდება.
ასეთივე ტენდენცია იგრძნობა ლ. ესაკიას საინტერესო ფილმში
„ჰოლტზე“ (1928).

„ჰოლტზეს“ ლირსებები და დიდი წარმატება, რომლითაც ის
სარგებლობდა ოციანი წლების მიწურულში, გამოწვეული იყო
არა ფილმის სიუჟეტით. სიუჟეტი მას საკმაოდ სწორხაზოვანი
ჰქონდა. კინოსურათის წარმატება განაპირობა იმან, რომ
„ჰოლტზემ“ იმ დროს ახალი იდეების პროპაგანდისტის როლი
ითამაშა. ფილმმა მანიშნებელი ფუნქცია შეასრულა, რომ სუ-
კოლმეურნეო თემატიკის დამუშავება დაწყებულიყო არა მარ-
ტო კინოში, არამედ ეროვნულ ლიტერატურაშიც. ამ ფილმის
გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ დაიბეჭდა ახალგაზრდა
მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევების პირველი
კრებული. ნარკვევების კრებული საკოლმეურნეო სოფლის
ცხოვრებას ასახავდა და დასურათებული იყო ფილმ „ტრაქ-
ტორზე ამხედრებულის“ კადრებით. ლ. ესაკიას კინოსურათ
ფართო განხილვის საგანი გახდა საქალაქო და სარაიონო კომ-
კავშირულ რგოლებში.

1929 წელს საქართველოს ეკრანებზე გამოვიდა ალ. წუწუ-
ნავას ორსერიანი ფილმი „ჯანყი გურიაში“. ეს ფილმი გამო-
ირჩევა თვისი ეროვნული თვითმყოფადობით. მასში დიდი სი-

მართლით არის ასახული ე. ნინოშვილის ღროინდელი გურული ხალხის ცხოვრება, ოსტატურად არის გადაღებული ხალხო სცენები. ფილმი ღრმად სწვდება ხალხის ხასიათსა და მისწრაფებებს.

როგორც ცნობილია, ეს იყო ალ. წუწუნავას უკანასკნელი ფილმი, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართული კინოს ისტორიას და იმ წლებში დიდი ზეგავლენა იქონია შემოქმედ ახალგაზრდობაზე.

რეალისტურმა სიუჟეტმა და აღამიანთა შეგნებაში მომხდარი გარდატეხის ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ახსნაპ განაპირობა ფილმების: „ახალგაზრდობა იმარჯვებს“, „უგუბზიარა“, „მეწყერების ქვეყანაში“ და „პოლტზე“ მნიშვნელოვანი წარმატება. ამ ფილმებს მოჰყვა უფრო ღრმა და განზოგადებული კინონაწარმოებები — მ. ჭიაურელის ლენტები.

კინოხელოვნების ანბანი მიხეილ ჭიაურელმა პერესტიანთან შეისწავლა, როცა მთავარ როლებს ასრულებდა „არსენა ჯორჯიაშვილში“ და „სურამის ციხეში“.

მ. ჭიაურელი სერიოზულად მუშაობდა ფერწერაშიც, ქანდაკებაშიც, თეატრშიც და ლიტერატურაშიც. შეუნელებელი ინტერესით სწავლობდა იგი ფერწერისა და არქიტექტურული კომპოზიციების კანონებს; ექსპრესიონისტების ესთეტიკურ შეხედულებებს; პუდოვკინის რევოლუციური კინემატოგრაფის ახალ გზებს; ეიზენშტეინისა და ფრანგული ავანგარდის გამოცდილებას. პოლიტიკურ კარიკატურებში მ. ჭიაურელა დაუზოგავად აქილიკებდა ბურუუაზიულ წყობას და ამ ნახატებში იგრძნობა ნიჭიერი პამთლეტისტის ბასრი კალამი... მრავალმხრივი ცოდნით აღჭურვილმა მ. ჭიაურელმა კინემატოგრაფში რეალისტად დაიწყო მუშაობა.

მ. ჭიათურელის პირველივე დამოუკიდებელ დაღგვების
თვალსაჩინოდ გამოიხატა ამ შემოქმედის ინდივიდუალურია
ხელწერა: მისი ფილმი „უკანასკნელ საათს“ (1928 წ. ტერენულია
რის ავტორი ბ. ლეონიძოვი) შეეხებოდა მეტად აქტუალურ
პოლიტიკურ თემებს, რომლებიც შემდგომშიაც განსაკუთრე-
ბით აინტერესებდა მ. ჭიათურელს.

იმავე, 1928 წელს რეჟისორ ე. ძიგანთან ერთად მ. ჭია-
თურელმა გადაიღო ფილმი „პირველი კორნეტი სტრენევი“
ფილმის სცენარი (ავტორი ა. არავსკი) არ გამოირჩეოდა არც
დრამატურგიული სრულყოფით და არც პერსონაჟთა ხასიათე-
ბის ღრმა ანალიზით. მართალია, მთავარი კონფლიქტი აგებუ-
ლი იყო რევოლუციის პერიოდში ადამიანის ცნობიერების გარ-
დასახვის თემაზე, რაც იმ პერიოდში ბევრ ხელოვანს იღელ-
ვებდა, მაგრამ ამ ტიპიურ მელოდრამაში ძნელი აღმოსახენია
ჭიათურელის ფუნჯის ოსტატური, ენერგიული მონახაზი — ეგ-
ზომ დამახასიათებელი მისი შემდგომი ფილმებისათვის. ამ სუ-
რათზე მუშაობისას ქართულ კინოში პირველად გამოიყენეს
კადრის წინდაწინ დახატვის მეთოდი. მ. ჭიათურელმა წინასწარ
ჩაიხატა მომავალი ფილმის ექვსასამდე კომპოზიციური ეს-
კიზი.

1929 წელს შ. ალხაზიშვილისა და ა. არავსკის სცენარის
მიხედვით მ. ჭიათურელმა დადგა „საბა“. ფილმი ილაშქრებდა
მეშჩანური ყოფისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მანკიე-
რების — ლოთობის წინააღმდეგ. „საბასთან“ ერთად ეკრანებ-
ზე გამოვიდა რუსული ფილმები — ი. პირიევის „უცხო მანდი-
ლოსანი“, ე. ივანოვ-ბარკოვის „იუდა“, ფ. ერბლერის „პარი-
ზელი მეჩექმე“, — რომლებიც დასცინოდნენ მეშჩანობას,
უკულტურობასა და უხამსობას.

ფილმ „საბას“ სიუჟეტი სცენარისტების მიერ შემოთვაზე
ბულ მელოდრამის ჩარჩოში რომ მოქმედებულიყო, ამ ნატურალიზა-
რით იქნებ, არც კი დაინტერესებულიყვნენ. მაგრამ რეჟისორი
მა გაარღვია ეს ჩარჩო. მან ჩაურთო ფილმში სამეცნიერო-პო-
პულარული ლექცია ალკოპოლის მავნებლობის შესახებ; მეტე
გროტესკული ფერებით მოხატა ღრეობა დუქანში, ასახა მო-
ქეიფეთა გონებასიჩლუნგე და პირმოთნეობა... ამ ეპიზოდით
მ. ჭიაურელი ილაშქრებდა იმ ფსევდოლიტერატორების წინა-
აღმდეგ, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში აღვირახსნილ
ქეიფსა და ღრეობებს „ნაციონალური სიქველის“ შარავანდე-
დით მოსავდნენ.

ამ ეპიზოდისათვის აქტიური ფონის შესაქმნელად მ. ჭია-
ურელმა გამოიყენა დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმა-
ნაშვილის ბრწყინვალე ტილოები. რეჟისორმა ისე ააგო კად-
რები, რომ დუქნის კედლებზე ჩამოკიდებული ფიროსმანის ნა-
ხატების გმირები თითქოს ხუმრობით — იმეორებენ მსახიობ-
თა თითოეულ მოძრაობას კადრში.

ფილმ „საბას“ ქეიფის ნოველაში დაბეჭითებით გაისმა სა-
ტირულ-მამხილებელი თემა. სტილითა და იდეით იგი ეხმია-
ნება მ. ჭიაურელის მომდევნო, უფრო მნიშვნელოვან ნაწარ-
მოებს — კინოპამფლეტს „ხაბარდას“ (1931), რომელიც ახა-
ლი წყობის უარმყოფელ ელემენტებისადმი იყო მიმართული.
„ხაბარდა“ — ესე იგი, „მიიწიე!“ „გზიდან გამეცალე!“. ეს
სიტყვები რეჟისორმა მრისხანედ მიაძახა ყოველივე ახლი-
სადმი მტრულად, ეჭვით განწყობილ ოპოზიციონერებს. ჭია-
ურელი მიჰყებოდა მაიკოვსკის ტრადიციას კინემატოგრაფ-
ში: ფილმი „ხაბარდა!“ გამოიჩევა პერსონაჟთა სოციალური

დახასიათების სიზუსტით. ფორმების სიმახვილით, უარყოფითი ტიპების გროტესკული ხერხით ძერწვის უნარით. პილატის

ფილმის დრამატურგიული ხერხემალი აგებულია რამდენიმე თვალსაჩინო ეპიზოდზე. თითოეულ მათგანს საფუძვლად უდევს კონკრეტული, ცხოვრებისეული მასალა — განხორციელებული გროტესკული კინემატოგრაფიული ფორმით.

ასევე გროტესკული ფორმითაა ნაჩენები ძეელი სამყაროს წარმომადგენლები: ეგრეთ წოდებული „საზოგადოებრივი მუშაკი“ — თავისუფალი მხატვარი დიომიდე, რომელიც მოგონებებითა და აწმუნსაღმი სიძულვილით ცხოვრობს; ბეჭვაშლილი, ჩასორსლებული და ლოკებდაბრაწული „დიდი ლუარსაბი“ — ნაპოლეონის უბადრუკი მიმბაძველი პატივმოყვარებერიაცი. უჭიკუო და სულით გონგები ჩეუისორმა ფილმში გროტესკულად დახატა.

„ხაბარდა!“ იყო ახალგაზრდა საბჭოთა კინემატოგრაფის გაბედული ცდა პოლიტიკური სატირის რთულ უანრში. ოღონდ ეს წამოწყება შემდგომში არ გაგრძელებულა. თვით მ. ჭიაურელის მომდევნო ფილმებში კვლავაც ვიხილავთ კინოპამფლეტის საშუალებით გადაწყვეტილ სატირულ-მამხილებელ მოტივებს, მაგრამ ეს იქნება სხვა თემებს მიძღვნილი ნაწარმოებების ცალკეული ეპიზოდები.

ნიკოლოზ შენგელაძა. „ელისო“. „26 კომისარი“. ხმოვანი კინოს მიჯნასთან. კომიტეტის აღორძინება.

მიხეილ კალატოზოვი (გ. ჩალატოზიშვილი)
 დოკუმენტური კინოს შემდგომი განვითარება

20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დასაწყისში მთელი სიძლიერით გამოვლინდა საბჭოთა და ქართული კინოს გამოჩენილი ოსტატის ნიკოლოზ შენგელაიას შემოქმედება.

იგი ლიტერატურიდან მოვიდა კინემატოგრაფიაში და 1924 წელს კოტე მარჯანიშვილის ასისტენტი გახდა ფილმ „ქარიშხლის წინ“ გადაღებისას. ამ სურათის დამთავრებისთანავე შენგელაია სვანეთში გაჰყეა რეჟისორი ი. უელიაბუქსკის ექსპედიციას ფილმ „დინა ძაძუს“ გადასაღებად, მაგრამ კ. მარჯანიშვილთან მას არ გაუწყვეტია შემოქმედებითი კავშირი. შენგელაიამ მისთვის დაწერა სცენარი „სამანიშვილის დედინაცალი“ ს. კლდიაშვილთან ერთად (დ. კლდიაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით) და აქტიური მონაწილეობა: მიიღო ფილმის დადგმაში. სურათის სცენარი არ შემონახულა, მაგრამ ფილმის ნახვისთანავე კინოში გათვითცნობიერებული კაცი იოლად დარწმუნდება, რომ ლიტერატურული სცენარი მარჯანიშვილის გავლენით იყო დაწერილი.

1926 წლის მიწურულში ნ. შენგელაიასა და ლ. პუშკინის „გიულის“ დადგმა მიანდეს. გადამღები ჭგუფი ჭვერებული ტანტებისაგან შედგებოდა. ამ ფილმში პირველად გამოსცადეს თავიანთი შესაძლებლობები ოპერატორმა მ. კალატოზიშვილმა (საბჭოთა კინოს ამჟამად ცნობილი ოსტატი მიხეილ კალატოზვი) და ქართული ეკრანის შესანიშნავმა მსახიობმა კოხტა ყარალაშვილმა. ეს იყო რეჟისორული დებიუტი ნ. შენგელაიასი და ლ. პუშკინა, რომელიც უწინ მემონტაჟედ მუშაობდა პერესტიანთან. მთავარ როლში მონაწილეობდა ა. ბეკ-ნაზაროვის, ი. პერესტიანისა და ალ. წუწუნავას ფილმებიდან უკვე საქმაოდ ცნობილი მსახიობი ნატო ვაჩნაძე.

„გიულის“ სცენარი შენგელაიამ და პუშმა დაწერეს შიო არაგვისპირელის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. ფილმი მოუთხრობს მაპმადიანი ქალიშვილის — გიულის ბედზე, რომელმაც ქართველი ხელოსანი მიტრო შეიყვარა და აღსდგა რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ.

რესპუბლიკურ პრესაში რეცენზენტებმა გულთბილად შეაფასეს ახალგაზრდა ავტორთა ნამუშევარი. მაგრამ „გიული“, რა თქმა უნდა, შენგელაიასთვისაც და კალატოზიშვილისთვისაც, „მოწაფური“ ფილმი იყო.

1926 წელს სერგეი ტრეტიაკოვის სცენარის მიხედვით დგამდნენ ფილმს — „ორთქმავალი № 1000-ბ“, რომლის გადაღებისას თბილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი ნოვატორი კინორეჟისორი ლ. კულეშოვი.

ახალგაზრდა კინომუშავთათვის მან თბილისში მოაწყოლექტორიუმი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სახეინმრეწველობის ლიტერატურული განცოფილების კონსულტანტებმა ვ. შკლოვსკიმ და ს. ტრეტიაკოვმა. ქართული სტუდიის შემოქ-

მედებითმა ახალგაზრდობამ ცხოველი ინტერესი გამოიჩინა და
ლექციებისადმი. ლექტორიუმის აქტიური მსენელი იყო შემოწმებული
გელაიაც. კულეშოვის ლექციების ზეგავლენით შენგელპიც უკუკა
ბოლოოდ უარყო წარსულის თეატრალური და ნატურალის-
ტური კინემატოგრაფის ტრადიციები. ახალგაზრდა ხელოვანი
დაუინებით ცდილობს მისეული, გაუკაფავი გზის მიგნებას კი-
ნოხელოვნებაში. შემოქმედებითი ცხოვრებას პირველ წლებში
შენგელაია გულშოდგინედ ეძებს საკუთარ თემას ხელოვნე-
ბაში. იგი ეძებს სიუჟეტს, რომელშიაც ნათლად აისახებოდა
ოქტომბრის რევოლუციის დიადი მონაპოვარი — მცირერიც-
ხოვანი, ჩაგრულ ერთა განთავისუფლება. ამ ძიებების შედეგად
რევისორმა ნ. შენგელაიამ და სცენარისტმა ს. ტრეტიაკოვმა
საეკრანიზაციოდ აირჩიეს ა. ყაზბეგის მეტად პოპულარულა
ნაწარმოები „ელისო“. „გიულის“ მსგავსად, „ელისოს“ შინა-
არსიც აგებულია მაპმადიანი ქალიშვილისა და ქრისტიანი ჭა-
ბუკის ტრაგედიაზე — შეყვარებულთა შორის აღიმართა რე-
ლიგიური ცრურწმენის ზღუდე. მაგრამ, მოთხრობის აღნიშ-
ნულმა სიტუაციამ როდი განაპირობა ფილმის დედააზრი. ფილ-
მის ავტორებს უფრო მეტად აინტერესებდათ ცარიზმის კო-
ლონიალური პოლიტიკის ტრაგიკული შედეგები, ცარიზმისა,
რომელიც თვითნებურად წყვეტდა ჩაგრულ ერთა ბედ-იღ-
ბალს. სცენარში ამ თემას მიეცა პირველადი მნიშვნელობა.
ტრეტიაკოვმა და შენგელაიამ მიმართეს შემონახულ დოკუმენ-
ტებს მოთხრობაში აღწერილი ისტორიული ფაქტის შესახებ.

ფილმის ექსპოზიცია ორი დეპეშით იწყება. ერთ-ერთი
დეპეშა შედგენილია ბიუროკრატიული მოხსენებითი ბარათის
სტილში: „საჭიროდ მიმაჩინა მეფის ძირეული სისტემის გა-
მოყენება სახელმწიფოს განაპირა მხარეებში კაზაკების და-

სახლებისას. ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩინა დაუყოვნება
ლივ დავიწყოთ ჩეჩენების თურქეთში გასახლება და მათ შემთხვევაში
ზე კაზაკების დასახლება“. ხელმოწერა: „თერგის ოლქში ჭარბა-
რების მხედართმთავარი — გენერალი ლორის-მელიქოვი“
მეორე დეპეშა, პირველის პასუხია: „გისურვებ სრულ წარმა-
ტებას. თუ დააჩქარებ, უფრო კარგი იქნება. გენერალი კარ-
ცოვი. ვლადიკავკასი, 1864 წ.“.

უგულო ბიუროკრატიში, თავხედური ცინიზმი მთელი
ერის ბედის გადაწყვეტისას — მეფის რეჟიმის ყველა მანკი-
ერება ნათლად ჩანს ამ სიტყვაძვირ დოკუმენტებში. კინომოთ-
ხრობა, აულ ვერდის ძალით გასახლების შესახებ, ამრიგად,
მკაცრი დოკუმენტურობის ხასიათს იძენს და არწმუნებს მა-
ყურებელს იმ ამბავის ჰეშმარიტებაში, რაც ფილმშია ასა-
ხული.

„ელისო“ ნიშანდობლივი მაგალითია ნაწარმოების თე-
მასთან, შინაარსთან და იდეასთან ავტორთა შსოფლმხედველო-
ბის ორგანულად შერჩყმისა, უმთავრესი პირობა პირველხა-
რისხოვანი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად.

მაიაკოვსკის უახლოესმა თანამოღვაწემ, სერგეი ეიზენშტე-
ინის თანაავტორმა თეატრში, გამოცდილმა ღრამატურგმა სერ-
გეი ტრეტიაკოვმა შესანიშნავი თანაავტორობა გაუწია ნიკო-
ლოზ შენგელაიას.

ფილმში რამდენიმე კულმინაციური ეპიზოდია და თითო-
ეული მომზადებულია ღრამატიზმის თანდათანობითი გაძლიე-
რებით. აი, ორი მაგალითი:

პირველი ეპიზოდი. კაზაკების რაზმი წყნარ აულში შეიჭრა
„სჯობს აქ მოვკედეთ, ვიდრე სული გავატროხოთ უცხო მხა-
რეში“, — წამოიძახა თემის მეთაურმა ასტამირმა და თვალის-

დახამხაშებაში, აულის მთელი მოსახლეობა მიწაზე დაჭდა. 
შინებული ხალხი თვალს ადევნებს კაზაკების რაზმს. მისმა ცეტა
ცენები გროვად შეყრილი ხალხისაკენ გააქანეს. სოფლელებს
თავზარი დაეცათ, მაგრამ არცერთი მათგანი ადგილიდან არ
დაიძრა. ამხედრებული კაზაკები მთელი სისწრაფით მიჰქრიან
ხალხისაკენ. კადრში მსხვილი პლანით მოჩანან გაქაფული ცხე-
ნები, გაიღვებს დასარტყმელად შემართული მათრახები, მო-
ჩანან შიშით სახეშეშლილი აღამიანები, რომლებიც სადაც
არის ცხენებმა უნდა გადათელონ. და უცებ... თითქოს კლდეს
მიენარცხა და დაიმსხვრა მოლონიერებული ზეირთი; ცხენები
მოჯადოებულებივით გახევდნენ, ცხენებმა არ ისურვეს აღამია-
ნების გათელვა...

მეორე ეპიზოდი. ხანძარი აულში. უსწრაფესი ტემპი, მონ-
ტაუის მოკლე ფრაზები... ელისო მირბის სიპი ქვით მო-
კირწყლულ ვიწრო შუკებში, ქალიშვილს კაბა უფრიალებს..
მდევრები. ცეცხლი მთელ აულს ედება... გადასახლებულებს
უხარიათ.

შურისძიებამ ერთგვარი შვება არგუნა სოფლებს, მაგრამ,
ამავე დროს, თითქოს რალაც ჩაუკლა სულში. თვალს მოეფარა
გადაბუგული მშობლიური აული, უკანდასახევი გზა გადაჭრი-
ლია. წინ კი — სხვა ქვეყნისაკენ მიმავალი უცნობი და გრძელა
შარაა: მძიმე, მოქანცავი გზა მთებზე გადაკიდებული ბილი-
კებით... ერთი შეხედვით მეტისმეტად მშვიდ კადრებში თან-
დათან იგრძნობა ლტოლვილთა სასოწარკვეთილება და უზომო
გულისტყივილი, რომელიც ამოხეთქავს მესამე კულმინაციურ
ეპიზოდში — დედაკაცის სიკვდილის ეპიზოდში.

ისტერიამ მოიცვა ხალხი. მხოლოდ ასტამირი — ლტოლ-
ვილთაგან უხუცესი და უგონიერესი არ კარგავს სულიერ სიმ-

შეიძეს. მას კარგად ესმის: თუ მწუხარება დაჭაბნის ხალხს, თუ ახლავე არ შეწყდება ისტერიკა, ლტოლვილები დაძაბუქდება ბიან და ველარ განაგრძობენ რთულ გზას. თავდაპირებულად, იგი ცდილობს გონივრული სიტყვით გაამხნევოს თანასოფლელები. მაგრამ დამწუხებულ ხალხზე აღარ მოქმედებს სიტყვის ძალა, აյ საჭიროა რაიმე სხვა საშუალების გამონახვა. თემის მეთაურმა მუსიკოსებს ლეკური დაკვრევინა და ცეცხლოვან რიტმს აყოლილმა მოხუცმა ასტამირმა ცეკვა დაიწყო. ხალხი გახევდა. რა მოხდა? ხომ არ შეიშალა ბერიკაცი, მათი უბედურება რომ აბუჩად აიგდო?... მაგრამ ხალხს არ აცლის ფიქრს ლეკურის შმაგი რიტმი. ლტოლვილები ჩუმად დგანან, მათა სული თითქოს წვეთწვეთობით იწოვს ამ რიტმის მაცოცხლებელ ძალას. და აი, თითქოს უნებურად, ლტოლვილები თანდათანობით აჰყვნენ მუსიკას. ტრადიციულმა ხალხურმა ცეკვამ წინაპართა მხნეობა შთაბერა სასოწარკვეთილ ხალხს და გაჭირვებასთან საბრძოლველად აამაღლა. ჯერ არ შემშრალა ღამუვებზე ცრემლები, მოტირალ დიაცთაც არ აუკეცავთ ძახებაზე მოშლილი თმა, მაგრამ ჯადოსნური ცეკვა თანდათან სულ უფრო მეტ ლტოლვილს იზიდავს. ასტამირმა კმაყოფილებით შემოავლო თვალი თანამოძმეებს. ხალხი გადარჩა. ისინი იცხოვრებენ!..

ნიკოლოზ შენგელაია სრულყოფილად ფლობდა გამომსახულ საშუალებათა მდიდარ პალიტრას. ფილმი „ელისო“ დიდი ოსტატობითაა შესრულებული. ამ სურათით აღინიშნა ახალი ეპოქა ახალგაზრდა ქართული კინოხელოვნების განვითარებაში.

ქართული მუნჯური კინოს გედის სიმღერა იყო ნ. შენგელაიას ფილმი „26 კომისარი“.

ამ სუბათის შექმნის სურვილი რეჟისორს ჯერ კიდევ 1929 წელს ჩაესახა. დაბოლოს, 1931 წელს კომუნარებზე ფეხმატებულ გადაღება დაევალა აზერბაიჯანის ახალგაზრდა კინოფაზის შექმნას. სცენარი დაწერეს ნ. შენგელაიამ და ა. რევშევსკიმ.

ფილმში ასახულია ბაქოს კომუნის უკანასკნელი დღეები არენაზე ინგლისელების გამოჩენიდან, ვიდრე ბაქოელი კომის-რების ტრაგიკულ დალუპვამდე. ფილმის გმირია პროლეტა-რული რევოლუციური მასა. შაუმიანი, ჯაფარიძე, ფიოლეტოვა და სხვა კომისრები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ბაქოს პროლეტარიატთან. ისინი, ამ დიადი ძალის ნაწილს წარმოადგენდნენ.

35 წლის წინათ შექმნილ „26 კომისარში“ — კო-მუნიზმის იდეების ნათელი რწმენით გაჯეოებულ ამ ნაწარმო-ებში შენგელაიამ არა მარტო გამარჯვების სიხარული დახატა, არამედ რევოლუციური ბრძოლის სირთულეც — დამარცხების სიმწარე და ამ ბრძოლაში დაშვებული შეცდომების გამო გან-ცდილი წუხილი.

თითოეული მხატვრის შემოქმედებაში არის დაუმთავრებელი ხელნაწერები, განუხორციელებელი ჩანაფიქრები.

შენგელაიას პირად არქივში ინახება გაცრეცილი ხელნა-წერი — განუხორციელებელი ფილმის „გატეხილი ყამირის“ სცენარი, რომელიც მან მ. შოლოხოვთან ერთად დაწერა. იმ წლებშიაც კი ამის შესახებ თითო-ოროლა კაცმა იცოდა. და ვინც იცოდა, იმასაც გადაავიშუდა, რადგან ფილმი არ გამოსულა ეკრანზე.

ახლა ცნობილია უველა ფაქტი ამ უაღრესად საინტერესო სცენარის, შექმნისა და ფილმის მოულოდნელად „გარდაცვა-ლების“ შესახებ.

თბილისი — ვეშენსკაია... აქ იქმნებოდა ეს სცენარი.

1933—1934 წლები. ამ პერიოდში იწერებოდა სცენარი გადამუშაობის

სამ თვეზე მეტხანს მუშაობდა ნ. შენგელაია სტანიცაზე ვე-
შენსკაიაში. მწერლისა და რეჟისორის ესოდენ სერიოზული
თანამშრომლობა, პირველი შემთხვევა იყო საბჭოთა კინოს
არსებობის მანძილზე. ამ ღიტერატურული ნაწარმოების კინო-
სცენარად გადამუშავება მეტად დიდ ჭაფას მოითხოვდა.

შოლოხოვსა და შენგელაიას შორის სრული ურთიერთგა-
ვება დამყარდა, თანამოაზრენი ბეჭითად ემსახურებოდნენ
საერთო საქმეს. მაგრამ, სამუშაოს დასრულება ვერ მოხერხდა.
მალე გაურკვეველი მიზეზის გამო, ფილმი მოიხსნა წარმო-
ებიდან, ხოლო რეჟისორი გადამღებ ჯგუფთან ერთად სასწრა-
ფოდ გამოიძახეს თბილისში.

შოლოხოვის რომანი — მოგვიანებით, 1939 წელს გადაიღო
ი. რაიზმანმა.

მუნჯი კინოს არსებობის უკანასკნელ წლებში გამოჩნდა კი-
დევ ერთი ნიჭიერი ხელოვანი — მიხეილ კალატოზოვი (კალა-
ტოზიშვილი).

შემოქმედებითი გზა მან დაიწყო საქართველოს სახეინ-
მრეწველობის სტუდიაში. ახალგაზრდა ნოვატორმა გამომსახ-
ველ საშუალებათა ახალ ფორმებს მიაგნო დოკუმენტურ კი-
ნოში, სადაც 20-ანი წლების მიწურულსა და 30-ანი წლების
დასაწყისში საინტერესო ცვლილებები მოხდა. 1927 წელს
საქართველოში ჩამოვიდა კინოდოკუმენტალისტი ქალი ეს-
ფირ შუბი და მასთან ერთად მოსკოვიდან თბილისში გად-
მოინაცვლა „უმსახიობო“ ფილმის დასაცავად გამართულმა
იმ გაათრებულმა ბრძოლამ, რომელსაც მოსკოვში სათავეში
უდგნენ ძიგა ვერტოვი და ესფირი შუბი. თბილისში ბევრი

აღმოჩნდა მათი თანამოაზრე; იმხანად საქართველოში დოკუმენტური ფილმისა და ქრონიკის წარმოება სტიქიურ ხასკონსა და მთლიანად ენთუზიასტებზე იყო დამოკიდებული. საქართველოში დოკუმენტური კინოს პირველი პროპაგანდისტების — ს. დოლიძის და ს. ტრეტიაკოვის ინიციატივით 1928 წელს სახეინმრეწველობის სტუდიასთან კინოქრონიკის სექცია ჩამოყალიბდა. მოკლემეტრაჟიან ფილმებზე მუშაობისას, რომლებშიაც ასახული იყო მთიელი ტომების — ფშავების, ხევსურების, თუშების ადათები და ყოფის სურათები, ოსტატობას ხვეწდა ახალგაზრდა კინორეჟისორი ს. დოლიძე. მიღებული გამოცდილება და მთიელთა ეთნოგრაფიის ცოდნა მან შემდგომში მშვენივრად გამოიყენა თავის პირველ მხატვრულ ფილმებში — „მეწყერების ქვეყანაში“ და „უკანასკნელ ჯვაროსნებში“. მაგრამ, იმ პერიოდის დოკუმენტური კინოს განვითარებაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მ. კალატოზიშვილმა. მან ჯერ კიდევ 1928 წელს მიიქცია მაყურებლის ყურადღება, როცა რეჟისორ ნ. ლოლობერიძესთან ერთად გადაიღო ფილმი „18—28“ — მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთვისადმი. ამ ფილმში, ესფირი შუბის მეთოდით, კალატოზოვმა გამოიყენა მეწყევიკების ბატონობისას გადაღებული ქველი ქრონიკა და მონტაჟისა და რანდენიმე ტიტრის საშუალებით სასურველ იდეურ უღერადობას მაღალშია. ფილმის მეორე ნახევრის დინამიკურად დამონტაჟებული ქრონიკის კადრები ასახავდა საბჭოთა საქართველოს პირველ ნაბიჯებს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, ახლად ფეხადგმული მრეწველობის მიღწევებს, პირველი ელექტროსადგურებისა და ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობას.

მაგრამ, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ქართულ კინოში დღემდე რჩება 1930 წელს სერგეი ტრეტიაშვილის სცენარის მიხედვით კალატოზიშვილის მიერ გადაღებული მხატვრულ-დოკუმენტური კინონარკვევი „ჯიმ შვანტე“¹. დოკუმენტური კინო კალატოზოვს იმით იზიდავდა, რომ ტექნიკურ მიგნებათა მეოხებით აქ შეიძლებოდა გამოსახატავი მოვლენების აზრობრივი გაღრმავება, რეალური ცხოვრების ამსახველი კადრიდან შეიძლებოდა სრულყოფილი კინემატოგრაფიული სახის შექმნა.

კალატოზოვი და ტრეტიაკოვი სვანეთის საოცარმა თავისებურებამ და სილამაზემ, განსაკუთრებით კი — აღამიანის მჟაცრ ბუნებასთან დაუღალავი ბრძოლის დრამატიზმა მიიზიდა.

ეს კინონარკვევი მთლიანად ეთნოგრაფიულ დეტალებზეა გვებული, მაგრამ მას მაინც ვერ ვუშოდებთ ეთნოგრაფიულ ნაწარმოებს. ფილმი, უდავოდ, პოეტური კინემატოგრაფის უანრს განეკუთვნება. მასში თითქმის არაა კადრები, რომელ შიაც არ იგრძნობოდეს ავტორისეული დამოკიდებულება მონათხრობთან.

კალატოზოვი კინემატოგრაფიულ სახეს თოვლიან ფერდობზე დაგორებული გუნდის პრინციპით ზრდის: ცხოვრებისეული პატარა დეტალებიდან — განცდამდე, განცდიდან — ფართო განხოგადებამდე. მაგრამ, ამ მრავალწახნაგოვან მხატვრულ სახეს საფუძვლად მაინც ცხოვრებისეული ფაქტი უდევს.

აი, რამდენიმე მაგალითი:

ეკრანზე წარწერაა: „უშგულში კევრისათვის კაუის ქვებს

1 „სვანეთის მარილი“.

იყენებენ“. ამას მოსდევს კევრის მსხვილი ხედი. კევრში ჩაოჭო
ჭობილია კაუის ქვები. კევრი გადააბრუნეს და მასზე შეფარავთ
ვნიანი დედაკაცი. აკვანში ძუძუტა ბალლია. კევრში შეტმული
ხარი იწყებს წრიულ მოძრაობას. კინკამერა ჯერ უკან იხევს,
რათა წუთით, ჩვენი ყურადღება უჩვეულო „ტვირთზე“ — აკვ-
ნიან ქალზე შეჩერდეს, მერე კი კევრზე, ქალის გვერდით თავს-
დება და მასთან ერთად დიღხანს ტრიალებს. ამ აუტანელ,
უსასრულო მოძრაობაში ტვირთად გამოყენებულ ქალს თავ-
ბრუ ეხვევა და ეჩვენება, თითქოს მის ირგვლივ ამოძრავდნენ.
ველური ცეკვა გააჩალეს სვანურმა კოშკებმა. კევრი ბრუნავს
და კოშკების დაკბილული თავები სულ უფრო უახლოვდება
დარეტიანებულ ქალს. ეკრანზე წარწერა გამოჩნდება: „და-
ტრიალდა ქვის ხანა. დატრიალდა სამუშაო დღე“. მერე კამერა
კვლავ საერთო ხედს უჩვენებს, თითქოს ემშვიდობება ამ სცე-
ნას, და ისევ წარწერა: „მკაცრი, ბარბაროსული შრომაა“.

ავტორი ტკბება მყინვარების სილამაზით, იმ მყინვარებისა,
რომლებმაც სვანეთი გარე სამყაროს მოწყვიტა, მაგრამ, ამავე
დროს, კალატოზიშვილს არ ავიწყდება ადამიანის განუწყვეტე-
ლი, მკაცრი ბრძოლა ბუნებასთან არსებობის უფლების მო-
საპოვებლად. ასე დაიბადა თოვლის „მხატვრული სახე“. უამრა-
ვი თოვლი, საშინლად ბევრი თოვლი არგუნა ბუნებამ პატარა
უშვულს. იგი არ ათბობს, არც წყურვილს უკლავს აღამიანს
და არც შიმშილს. უსხეულო, გულგრილი, ყველაფრის შთან-
მოქმედი თოვლი...

კალატოზოვი უჩვენებს უშგულელთა ნატურალურ მეურ-
ნეობას და ცდილობს არც ერთი საინტერესო დეტალი არ
გამორჩეს. კამერასთან ერთად ჩვენ თვალს ვაღევნებთ შალის

რთვას, თვითნაკეთ დაზგაზე ქსოვას, ვხედავთ, როგორ კონტაქტი ჰქონდა ადამიანებსა და ცხვრებს.

მაყურებელი ყველაფერს ხედავს და თანდათან უცნაში შეგრძნება ეძალება ამ „პირველყოფილი საზოგადოებისადმი“, რომელიც უწინ აღფრთვანებას იწვევდა ეგზოტიკის მოყვარულებში. არა, — თითქოს ამბობს ავტორი, — ადამიანი უკეთესი ცხოვრების ღირსია. ბუნებამ არ უნდა გამოსტაცოს იგი საზოგადოებას.

ახალი ცხოვრება სვანეთში შეიჭრა აფეთქებებით, რომლებითაც გზა გაიკვლია კლდეებსა და მყინვარებში. მსხვილი და საერთო ხედების რიტმული მონაცვლეობით, მონტაჟის მოკლე ფრაზებით ეს კადრები ოთქოს მაურიულ ტონალობაში ამთავრებს ადამიანის ბუნებასთან ბრძოლის თემას, რომელსაც რეჟისორ-აპერატორი მთელი ფილმის მანძილზე თანმიმდევრულად ამუშავებდა.

„ჯიმ შვანტეს“, გამომსახველობითი მხარე აღსანიშნავია უამრავი აღმოჩენით, ფილმში ყველაფერი მოძრაობს, ყველა მოვლენა დროგამოშვებით იცვლის აზრსა და შეფერილობას, ყველაფერი ემორჩილება კალატოზოვის ნოვატორულ პრინციპს — მოძრაობაში აჩვენოს მოვლენები.

კალატოზოვმა შეძლო შუქ-ჩრდილებისა და შავი და თეთრი ფერის უაღრესად ოსტატურად, გემოვნებით გამოყენება. ჩვენ ვხედავთ სვანურ კოშკებს, რომლებსაც დაკბილულ თავებზე გამჭვირვალე ცის გუმბათი დაუხურავს და უცებ, გადაწმენდილ ცაზე საიდანლაც ლრუბლები შემოცურდა. ცის მოსარეკული გუმბათი თითქოს დაორთქლა, ლრუბლები სწრაფად მიგორავს. თანდათან იქუფრება ცა, და მაყურებელი გრძნობს — საფრთხე ემუქრება ადამიანს. ასეთი პოეტური სახეებით იწვევას, თვითნაკეთ დაზგაზე ქსოვას, ვხედავთ, როგორ კონტაქტი ჰქონდა ადამიანებსა და ცხვრებს.

„ჯიმ შვანტეს“ ძირითადი თემაა — ადამიანის კონფლიქტი ბუნებასთან, მისი უდრევი ნებისყოფა მძიმე გაჭირვების გადალახვისას. ეს თემა 1932 წელს კვლავ გაისმა კალატოზოვის მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმში — „სამშობლო განსაკლელშია“ („ჩექმაში ლურსმანია“ — ფილმს ორი სახელწოდება ჰქონდა. ეკრანზე ის არ გასულა).

ადამიანის ბრძოლა ბუნებასთან — კალატოზოვის საყვარელი თემაა. მრავალი წლის შემდეგ კალატოზოვმა ამ თემას მიუძღვნა თავისი ფილმები „დაკარგული წერილი“ და „წითელი კარავი“.

1934 წელს საქართველოს სახეინმრეწველობამ გამოუშვა ორი მუნჯი კომედია: გ. მაკაროვის „ნახვამდის“ და ს. ფალავანდიშვილის „უუუუნას მზითევი“. თუმცა, იმ დროისათვის სტუდიას ჰქონდა კომედიური ფილმების დადგმის გამოცდილება („სამანიშვილის დედინაცვალი“, 1927 წ., „ახალგაზრდობა იმარჯვებს“, 1929 წ.), — ქართულ კინოში ამ ჟანრის დაბადება მაინც უნდა აღინიშნოს 1934 წლით, როცა ეკრანებზე გამოვიდა სიცოცხლით სავსე, ხალხური იუმორით გაუღენთილი ეს ორი ნაწარმოები. ამ ფილმების საფუძველზე განვითარდა კომედიური ჟანრი ხმოვან კინემატოგრაფიაშიაც.

გიორგი მაკაროვისთვის კომედია „ნახვამდის“ არ იყო პირველი ნამუშევარი, თუმცა აქ, იგი სულ სხვა სახით მოევლინა მაყურებელს. რევოლუციამდე მაკაროვი მსახიობი იყო ხანუნქვთან, მერე — ასისტენტი პერესტიანთან, მსახიობად მონაწილეობდა კიდევ რამდენიმე ფილმში, დაბოლოს, 1928 წლიდან დამოუკიდებლად მუშაობდა და გადაიღო მხატვრული

ფილმები „ბაზრობის დედაქაცი“, „სასწრავო № 2“ და „გაყრა“. იუმორის გრძნობით აღჭურვილი, ბრწყინვალების როდისტი, ცოდნისა და მახვილი თვალის პატრონი ეს კაცი, რატომლაც, უხალისო მელოდრამებს დგამდა. მეგობრები დიდ-ხანს არწმუნებდნენ მაკაროვს, ძალა მოესინჯა კომედიურ ჟანრში. ბოლოს, როგორც იქნა, მან ხელი მოჰკიდა დრამატურგ ბ. კუპრაშვილის სცენარს. მაკაროვმა ისე გადამუშავა „ნახვამდის“ სუსტად მინიშნებული, საკმაოდ სქემატური კოლოზიები, ისე შეაფერადა იუმორით, რომ სცენარის თითოეულ დეტალს კომედიის ელფერი შეემატა. მაკაროვმა თავდაჭერილობა გამოიჩინა და თავის ფილმს კომედიის ნაცვლად მორიდებულად მიაწერა: „ამბავი ექვს ნაწილად“. მაგრამ მაყურებელმა იმწუთშივე იცნო და ღირსეულად შეაფასა საყვარელი ჟანრი. ფილმი „ნახვამდის“ სამი თვის განმავლობაში უწყვეტად გადიოდა თბილისის ეკრანებზე. მაყურებლებმა ერთხმად აღიარეს სურათი საბჭოთა კინემატოგრაფის ერთ-ერთ საუკეთესო კომედიად.

ფილმის ფაბულა ნასესხები იყო არალეგალურად მომუშავე ცნობილი ქართველი ბოლშევიკის თომა ჩუბინიძის ბიოგრაფიიდან. ავტორთა მიზანს არ შეადგენდა არალეგალურად მომუშავე რევოლუციონერთა საქმიანობის ასახვა. იდეური მიდგომა ამჯერად სხვაგვარი იყო: მემამულების, ფეოდალური ყოფისა და მეფის რუსეთის ბიუროკრატიული სასამართლოს გამასხარავება.

არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკმა იმდროინდელი კანონის პედანტიზმით ისარგებლა და პოლიციის მეძებრებს გზა-კვალი აუბნია.

მნიარულმა, მსუბუქმა, სიცოცხლით სავსე კომედიული
ფილმმა მართლად ასახა ორი რევოლუციის შუალედში მწერალი
ღინარე საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის არსებით
მოვლენები: ბოლშევიკების მეცრი დევნა მეფის მთავრობის
მიერ და რევოლუციონერთა მჭიდრო კავშირი მოწინავე გლე-
ხობასთან.

მეორე ფილმი — „უუუნას მზითევი“ — ერთი შეხედვით,
ყოფითი კომედიის პრინციპებზე აგებულ ნაწარმოებს მიაგავს.
რეეისორმა და სცენარისტმა ს. ფალავანდიშვილმა — ქართუ-
ლი მუნჯი კინოს ერთ-ერთმა ცნობილმა მსაიონძმა — შვე-
ნიერ კომედიურ სიტუაციას მიაგნო. ს. ფალავანდიშვილმა
ზუსტად იგრძნო იუმორი — გამოწვეული იმ ქურდის მდგო-
მარეობით, რომელსაც უყვარს ცხენები და კოლმეურნეობის
მეჯინიბედ დადგომის შემდეგ თავგამოდებით იცავს პირუტყ-
ვებს ყოფილ თანამზრახველთა და მისივე ხელყოფისაგან.
თითოეულ დეტალში, გმირთა ხაზგასმით მინიშნებულ უბრა-
ლო ხასიათებში, ფილმის დაწვრილებით დახატულ რეალის-
ტურ ფონში ნათლად უღერს მოქალაქეობრივი თემა — ადა-
მიანის შრომით აღზრდისა და კოლექტივთან მისი დაკავშირე-
ბის თემა. და, რაც მთავარია, კოლმეურნეობის მეჯინიბედ მო-
მუშავე ყოფილი ცხენების ქურდის ამბავი მოთხრობილია სა-
დად, ყოველგვარი გამაბეზრებელი დარიგებების გარეშე.

კომედიაში იგრძნობა, რომ ავტორი გულწრფელად იღურ-
თოვანებულია სოფლად ჩამოყალიბებული ახალი ცხოვრებით.

ფილმი „უუუნას მზითევი“ დიდი წარმატებით სარგებ-
ლობდა მაყურებლებში. სურათი მაყურებელს იზიდავდა სიმ-
ხნე-სიხალისით, ოპტიმისტური გადაწყვეტით და მსახიობთა

ლალი თამაშით (მთავარ როლს ახალბედა მსახიობი გ. გამელა-
შვილი ასრულებდა). ამ ფილმმა გამოამზეურა რეჟისორი პილატ
ლავანდიშვილის ნიჭი. სამწუხაროდ, ეს ფილმი მისი უკანას-
ქნელი ნამუშევარი გამოდგა. 1934 წელს ახალგაზრდა ხელო-
ვანი ტრაგიკულად დაიღუპა.

ჩაოვანი პინებათოგრაფი. „უპარასკენილი ჯვაროსნები“
 გმირი მსხვილი ხედით. „დარიპო“, „არსენა“. „დაკარგული სამოთხე“. მულტიკლიკაციის დაბადება

რეჟისორები: ს. დოლიძე, დ. რონდელი, ლ. ესაკია, მ. ჭია-
 ურელი ხმოვანი კინოს მედროშენი იყვნენ საქართველოში. ამ
 ხელოვანთა პირველ ხმოვან ფილმებში არ ჩანს ის ექსპერი-
 მენტული ძიებანი, რომელიც ახასიათებდა მათ მუნჯ კინემა-
 ტოგრაფში მუშაობისას. რეჟისორთა ინტერესი თანამედროვე-
 ობის აქტუალურ პრობლემებისადმი ახალ ეტაპზე იმაში გა-
 მოიხატა, რომ ისინი შეეცადნენ უფრო ღრმად ჩასწვდომოდ-
 ნენ თანამედროვე გმირის ხასიათს.

1932 წელს გ. მდივნის სცენარის მიხედვით ლ. ესაკიამ
 დადგა ფილმი „შაკირი“ („როტე ფანე“), რომელიც შემდევ
 ლენინგრადში აახმოვანეს. ფილმი მოუთხრობდა ჩრდილო კავ-
 კასიის გერმანელი კოლონისტების წრეში მომხდარი კლასობ-
 რივი ბრძოლის შესახებ; სოფლის ღარიბობა გააფთრებით
 შეეჯახა კულაკებსა და მათ შთამომავლებს, რომლებიც შე-
 ეცადნენ ღარიბთა მიერ ჩამოყალიბებულა კოლმეურნეობის
 „როტე ფანეს“ დარღვევას.

სამი წლის შემდეგ ეკრანებზე გამოვიდა დ. რონდელის

პირველი ხმოვანი ფილმი „არშაულის კლდე“, რომელსაც საქართველოს ფუძელად დაედო მწვავე კონფლიქტი ძველსა და ახალის შორის რის. ფილმი ეხებოდა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის პრობლემებს.

უფრო იღბლიანი გამოდგა რეჟისორ სიკო დოლიძის დებიუტი ხმოვან კინოში. საქუთარი სცენარის მიხედვით მან გადაიღო ფილმი „უკანასკნელი ჭვაროსნები“. სურათი მოუთხრობს მთიელი ტომების ცხოვრების მქაცრ კანონებზე. ფილმის წარმატება სცენარის ღირსებამ კი არ განაპირობა. ფილმის სიუჟეტური კომპოზიცია საკმაოდ სქემატურია. მაგრამ ფილმს გააჩნია ღირსება, რომელმაც მაშინვე დააყენა იგი ქართული კინოს საუკეთესო ნაწარმოებებს შორის. სურათის ხერხემალია — მხატვრულად დამაჯერებელი და, ამავე დროს, რომანტიკულად ამაღლებული სახე ყოფილი სევსური მოჯამავირის თორლვასი, რომელიც მთელი ცხოვრება ემორჩილებოდა თემის კანონებს, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამაარების შემდეგ ახალ ცხოვრებას ეზიარა. ავტორი თორლვას ხასიათს აშუქებს უჩვეულო საშუალებებით, პოეტურად, ცოცხლად. აჩვენებს მთიელი კაცის ფსიქიკის თანმიმდევრულ გარდასახვას.

თორლვას სახე ქართულ კინემატოგრაფში მოვლენად იქცა იმის გამოც, რომ ეს როლი ითამაშა თეატრისა და კინოს ნიჭიერება მსახიობმა სერგო ზაქარიაძემ — ქართული კინოს შემდგომი დიდი გამარჯვებების ერთ-ერთმა გამორჩეულმა სულისჩამდგმელმა.

„გატეხილი ყამირის“ უიღბლობის შემდეგ, ნ. შენგელაიაშ მწერალ ლ. ქიაჩელთან ერთად შექმნა სცენარი „ნარინჯის ველი“ — ქართული საკოლმეურნეო სოფლის თემაზე. სიუჟე-

ტური სქემით სცენარი ოდნავ წააგავს „გატეხილ ყამირს“. ამ ვხედავთ ახალი წყობილების წინააღმდეგ ამხედრებულ, დაუმატებულით აღსავსე ყოფილ კულაქს და მის თანამოაზრეს — შენიღბულ მტერს კირილეს, რომელიც მოანგარიშებ მუშაობს კოლმეურნეობაში. ფილმში არიან დადებითი გმირებიც — საკოლმეურნეო ცხოვრების აქტიური მშენებლები.

ამრიგად, კლასობრივი ძალები სცენარში საკმაოდ მკაფიოდ გამოისახა. მაგრამ, პერსონაჟთა ხასიათების ღრმა ანალიზი, მხატვრული განხოვადება ფილმში ვერ მოხერხდა, დადებითი და უარყოფითი გმირები სქემატურად და სწორხაზოვნად არიან გამოძერწილნი. აუშნოებდა ფილმს დაშაქრული ფინალიც, რომელიც სრულიად არ შეესაბამებოდა ავტორის ეულ ჩანაფიქრს და რეჟისორს ძალით მოახვიეს თავს.

მაგრამ, რეჟისორული ნიჭის ნაპერწყალმა მკაფიოდ გაიელვა პოეტურად გადაწყვეტილ ეპიზოდში, სადაც ნანი და გორგი თავთავიანთ გულისნადებს ცეკვით უმხელენ ერთმანეთს; მსახიობებმა მშვენივრად გაითამაშეს ხალხური სახუმარო შაირი. მიუხედავად ამ ფილმის ძნელბედობისა, მასში მაინც პოვა ადგილი ცოცხალმა იუმორმა, რომლითაც ბარაქიანადაა გაჯერებული კოსტაის სახე (ა. უორენლიანი) — წვრილშვილიანი გლეხი, მოქეიფე, ყოფალი მოჯამაგირე, ახალ ცხოვრებაში გზაკვალაბნეული კაცი. როლი ბრწყინვალედ იყო განხორციელებული. სცენარის მეორეხარისხოვანი სახე ფილმში ყველაზე უფრო კოლორიტული და საინტერესო გახდა. კოსტაის სახეს აქვს ის შინაგანი დრამატურგია და სირთულე, რომელიც არ გააჩნიათ მთავარ გმირებს.

1939 წელს შენგელაიამ დადგა კიდევ ერთი ფილმი ქართულ კოლმეურნეობაში არსებით მოვლენებზე. „სამშობლო“ —

ასე ეწოდებოდა ფილმს (სცენარი დაწერეს გ. მდივანშვანი
ნ. შენგელაიამ).

საბჭოთა სახოგადოების მორალურ-პოლიტიკური პურისტულების ნობის განმტკიცების წლებში ნაციონალური რესპუბლიკების ხელოვნებამ და ლიტერატურამ სახალხო გმირის თემას მიმართა. ეს თემა პირველად განახორციელა ქართულმა დრამატულმა თეატრმა, საღაც 30-იან წლებში მოღვაწეობდნენ ნიჭიერი მსახიობები — აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე. ისანი გმირული უღერადობის როლებს ანიჭებდნენ უპირატესობას. ეს თემა თეატრიდან ეწვია კინემატოგრაფს.

1937 წელს მიხეილ ჭიათურელმა დადგა ფილმი საქართველოს სახალხო გმირ არსენაზე — მეფის თვითმშეყრობელობის წინააღმდეგ აჯანყებული გლეხობის ბელადზე.

ფილმის სცენარი დაწერა თეატრალურმა დრამატურგმა შანდრო შანშიაშვილმა. მასვე ეკუთვნოდა არსენაზე შექმნილი პიესა, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დაიდგა.

მ. ჭიათურელის ფილმში, რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე აკაკი ვასაძის მიერ დადგმულ წარმოდგენაში, და ქართული ლიტერატურის კლასიკოსის მ. გავახიშვილის რომან „არსენა მარაბდელში“ (1933) არსენა წარმოდგენილია გლეხთა სტიქიური მოძრაობის მოთავედ¹. ფილმში ნაჩვენებია არა მარტო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს

1 ქრონოლოგიურად, „ხაბარდას“ შემდეგ მ. ჭიათურელმა დადგა „უკანასკნელი მასკარადი“. ავტორს მიზანშეწონილა მიაჩინია. „უკანასკნელი მასკარადი“ ჭიათურელის სხვა ისტორიულ-რევოლუციურ ფილმთან — „დად განთიადოთან“ ერთად განიხილოს.

სოციალური ყოფის სურათი, არამედ ახსნილია მეამბოხ
გლეხობის მოძრაობის იდეური შინაარსიც.

„არსენას“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მ. ჭიათურე-
ლის შემოქმედებაში. „არსენა“ არ იყოფა სხვადასხვაგვარი
უნრის ეპიზოდებად, როგორც მისი აღრინდელი ფილმები.
„საბა“, „ხაბარდა!“ და „უკანასკნელი მასკარადი“. ეს ნაწარ-
მოები არაჩვეულებრივად კომპაქტურია. ჭიათურელმა გულ-
მოდგინედ იმუშავა და ფილმის გმირის შესახებ უძვირფასესი
ფოლკლორული მასალა შეაგროვა. ამ კინოსურათში არის არ-
სენას სადიდებლად შეთხული მოხუცი მესტვირის სიმღერე-
ბი, არის — ხალხური ლეგენდებიდან უცვლელად გაღმოტანი-
ლი მეამბოხეთა მახვილსიტყვაობა და ეპიზოდები რეალური
არსენას ცხოვრებიდან, ეპიზოდები, რომლებიც მრავალმა თა-
ობამ შემოინახა.

ცდილობდა რა შეენარჩუნებინა ნაწარმოების ხალხური-
სტილი, მ. ჭიათურელმა მხატვრებთან — ი. გამრეკელთან და-
თ. აბაკელიასთან ერთად უაღრესად ზუსტად აჩვენა გლეხთა
ყოფა-ცხოვრების თითოეული დეტალი: მათი ჩაცმულობა,
სახლ-კარი და სხვა. ფილმში მუსიკაც ხალხურია. ფონოგრა-
მები ჩაიწერა სოფლებში, ასე, მაგალითად, ფილმის ერთ-ერთი
საუკეთესო ეპიზოდი — არსენასა და ნენოს ჯვრისწერა ღა-
მით — სოფელ დილომის გლეხთა საგუნდო სიმღერის ფონზე
მიმდინარეობს. ერთ-ერთ სოფელში აღმოაჩინეს და ჩაიწერეს
მესტვირის სიმღერაც.

ჭიათურელის ჭეშმარიტი მიღწევაა არსენას როლის შემსრუ-
ლებლის — სპარტაკ ბალშვილის აღმოჩენა. მხატვრისა და მო-
ქანდაკის გამოცდილმა თვალმა წამსვე შეაფასა ახალგაზრდა-
კაცის კოლორიტული გარეგნობა. სპარტაკ ბალშვილის მიერ

შექმნილი მხატვრული სახე იმდენად დაემოხვა ხალხის წარ-
მოდგენაში სიმღერებითა და ზღაპრებით ჩამოყალიბებულ
გმირის ხატს, რომ ფილმის გამოსვლიდან კიდევ შემცულებულ
წლის შემდეგ ხალხი მსახიობსაც არსენას უწოდებდა.

გმირისა და ხალხის ურლვევი კავშირის თემის დამუშავე-
ბისას ავტორები მხოლოდ ფოლკლორულ მასალას მიმართავენ.
ბაზრობისას მომხდარი ეპიზოდი, როცა არსენამ სამართალი
აღადგინა — დასაჯა გლეხთა გამყვლეფი ვაჭრები — და მაღ-
ლიერების ნიშნად გლეხები თავის მფარველს უეცრად მოვარ-
დნილი კაზაკების რაზმისაგან იცავენ; აბანოდან არსენას გა-
პარვის ეპიზოდი; ნენოს გოდება არსენაზე — ეს თვალსაჩინო
სცენები ფილმში შემოტანილია ხალხური ეპოსიდან.

შედარებით უფერულადაა დამუშავებული ავტორისეულა
ზოგიერთი ორიგინალური თემა, რომელიც ფილმში წარმოიშ-
ვა დამდგმელთა სურვილით — გაეფართოებინათ მოქმედების
სფერო და გაეშუქებინათ გლეხთა მოძრაობის საზოგადოებრი-
ვი და სოციალური არსი.

ასე, მაგალითად, ფილმში უცხოდ ქლერს, არ ეხამება მის
ნამდვილ ხალხურობას სცენა სატუსალოში და არსენას შე-
ხვედრა ქართველ ფილოსოფოსთან — სოლომონ ლოდა-
შვილთან.

„არსენამდე“ რამდენიმე თვით ადრე ეკრანებზე გამოვიდა
რეჟისორ სიკო დოლიძის ფილმი „დარიყო“. ფილმისთვის
სცენარი დაწერა თვით რეჟისორმა ე. ნინოშვილის მოთხრობე-
ბის მიხედვით.

ამ მოთხრობებში ასახული იყო ქართული სოფლების გა-
ჭირვებული ცხოვრება: ხალხის სრული უუფლებობა, ეკო-

ნომიური კაბალა, ხელმოკლეობა და შიმშილი. ნაწარმოებებიც
გაუღენთილია უიმედობითა და სასოწარკვეთილებით. ეუნიტული
შეილი დიდი გულისტკივილით წერდა თავისი ხალხში გადასახადა
ჭირზე და ამ უბედურებაში ხსნის გზას ვერ ხედავდა. ყველა-
საგან მივიწყებული და ბედს ბრმად მინდობილია მისი ბეკრა
გმირი. და მაშინაც კი, როცა ოღნითებისა და პროტესტის
გამოთქმას გადაწყვეტენ, ისინი განწირულნი არიან. ამ მო-
თხოვბებიდან სიკო დოლიძემ ამოკრიბა ცალკეული ხასიათები,
სიუჟეტები, სიტუაციები და ეკრანიზაცია მეტად თავისებუ-
რად გადაწყვიტა. უპირველესად, მან უკუავდო ე. ნინოშვი-
ლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სასოწარკვეთილე-
ბა და გამოკვეთა, გააძლიერა თავისი ფოლების მოყვარე ხალხის
პროტესტის თემა. მოკრძალებული ქალიშვილის — დარიკოს
ხასიათი სცენარის ტმა გარდაქმნა სახალხო შურის მგებლის
გმირულ სახედ, რომელიც უძღვის მეამბოხეთა რაზმს.

ქართულმა კინემატოგრაფიამ თავისი არსებობის განმაკ-
ლობაში პირველად გამოიყვანა ქალი აქტიური, შეგნებული
მებრძოლის როლში. თუმცა, დარიკოს წინამორბედი ჰყავდა
მუნჯ კინემატოგრაფში. ყველას ახსოვს გაბედული ელისო,
რომელმაც ცეცხლს მისცა კაზაკების მიერ დაპყრობილი მისი
მშობლიური აული, ან ბნელი ადათების წინააღმდეგ შებრძო-
ლი აქარელი ქალიშვილი აიშე—მ. გელოვანის ფილმის გმი-
რი. მაგრამ, დარიკოს მსგავსი სრულყოფილი, გმირული სახე
ქალისა, ქართულ კინოხელოვნებაში აქამდე არ ყოფილა. ამ-
დაგვარი მხატვრული სახის შექმნა შესაძლებელი გახდა სო-
ციალისტური მშენებლობის ეპოქაში, საქართველოში პირ-
ველი ხუთწლედების ეპოქაში, როდესაც ქალი აქტი-
ურად ჩაერია სახალხო-სამეურნეო მნიშვნელოვანი ამოცა-

ნების გადაწყვეტაში და პრაქტიკაში დააფუძნა კონსტიტუცია
ის მიერ ნაბოძები თანასწორუფლებიანობა.

პირველ კადრებში ვხედავთ მოჯამაგირე სიმონას თავმდა-
ბალ, მოკრძალებულ სატრფოს, რომელიც დარწმუნებულია:
„პატიოსანი შრომით, მთების გადადგილებაც კი შეიძლებაო“.
მაგრამ, აი, მისი მიზნური კულაკ დროიძის მზაკვრული ხრი-
კების მსხვერპლი ხდება. დროიძემ ღატაკი სიმონას ერთი ვოჭა
მიწის მითვისება მოინდომა და ამის გამო მთელი მისი ოჯახის
გაციმბირება მოახერხა. როცა დარიკოს ვერაგულად მოაშო-
რეს საყვარელი ადამიანი, შემდეგ კი კატორლაც მიუსაჭეს მისი
ნამუსისა და პატიოსნების ხელმყოფელი აზნაურის მოკვლისა-
თვის, ამაყი ქალიშვილი მრისხანე სახალხო შურისმგებლად
იქცა.

... გაბედული დედაკაცი, მხრებზე მოგდებული ნაბდით და
ქამარში გაჩრილი დამბაჩით... მსახიობ თ. ციციშვილის მიერ
განსახიერებული ეს მომხიბლავი სახე დიდხანს დარჩა მაყუ-
რებელთა მეხსიერებაში.

ფილმის სხვა გამარჯვებაა — სანდრო უორუოლიანის მიერ
მექმნილი მოსე მწერლის მხატვრული სახე. ეს როლი ქართუ-
ლი კინემატოგრაფის ერთ-ერთი საუკეთესო აქტიორული
ნამუშევარია.

უორუოლიანის მიერ გააზრებული მოსე ლიტერატურულ
პროტოტიპზე გაცილებით საზარელი გამოვიდა იმ სახასიათო
დეტალების მეოხებით, რომლებიც მსახიობმა გამონახა. საკ-
მაოდ ჩვეულებრივი ავკაცი უორუოლიანმა გადააქცია მკეთ-
რად გამოხატულ მლიქვნელად, ფარისევლად, ქამელეონად,
პიროვნებად, რომელიც საკუთარ თავსაც კი აღარ ენდობა.

სცენარის ავტორმა და რეჟისორმა ს. დოლიძემ, ოპერა-

ტორმა შ. აფაქიძემ, მხატვარმა ნ. სანაძემ და კომპოზიტორმა / ი. ტუსკიამ ერთიანი სტილის ფილმი შექმნეს. მთელი ქაფერებული გაფერებულია ქართული ხალხური სიმღერებით და საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — გურიის დიდებული პეიზაჟებით.

30-იან წლებში სახურაველობის სტუდიაში რეჟისორმა მ. ჭიათურელმა დადგა მასშტაბური ისტორიულ-რევოლუციური ფილმები: „უკანასკნელი მასკარადი“ (1934) და „დიადი განთიადი“ (1938).

„უკანასკნელი მასკარადი“ პირველი ნახვისთანავე აოცებს მაყურებელს მოვლენათა კოლოსალური კალეიდოსკოპით. ფილმი შეიცავს უზარმაზარ, მოვლენებით უაღრესად დატვირთულ პერიოდს. მოქმედება იწყება თბილისში იმპერიალისტური ომის დაწყებამდე რამდენიმე წელით ადრე, შემდეგ ვხედავთ ფრონტს, მერე — მუშათა პირველ გაფიცვებს საქართველოში. მენშევიკების ბატონობას, მათ დამხობასა და რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ამ ისტორიულ მოვლენათა ფონზე ვითარდება ორი გმირის სრული ანტიპოდების საინტერესო ცხოვრება. ეს გმირები თავიანთი სოციალური კლასის ტიპიური წარმომადგენლები არიან: „უკანასკნელ მასკარადში“ — მუშა მიტო გიორგობიანი და მენშევიკი როსტომი, „დიად განთიადში“ — ბოლშევიკი გიორგი ლუდუშაური და თეოტეგვარდიელი პოლუოვნიერი მიქელაძე.

მუნჯი კინემატოგრაფის პრინციპების საფუძველზე ჭიათურელმა „უკანასკნელი მასკარადის“ სცენარი ექვს თავად, ანუ ნაწილად დაპყო: თითოეული ასეთი ნაწილი განსაკუთრებულაზრობრივ დატვირთვას შეიცავს.

ფილმის ამდაგვარი კომპოზიციური წყობა მეტად დამახა-

სიათებელია ჭიაურელის შემდგომი კინოსურათებისათვეს. ღვა-
ტორიულ მოვლენათა ასახვისას ავტორი მონუმენტურული
იმით აღწევს, რომ უამრავ მოვლენასთან ერთად ფილმში შე-
მოაქვს მოქმედების ბევრი ადგილიც. მთავარი პერსონაჟის
მხატვრულ სახეში — რომელიც თავდაპირველი ჩანაფიქრით
ნაწარმოების მთავარი თემა უნდა ყოფილიყო (აპირებდნენ
ქართველი ბოლშევიკის ჩამოყალიბებაზე პირველი კინოფილ-
მის შექმნას), — ზუსტადაა განსაზღვრული გარეგნული, ზო-
გადი ნიშნები მისი კლასობრივი და სოციალური მდგომარეო-
ბისა და გაცილებით სუსტადაა გამოკვეთილი მისივე ინდივი-
დუალური თვისებები.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მახვილი სატირა და
რეჟისორული ფანტაზია მასკარადის ეპიზოდში (მასკარადი
მენშევიკურმა მთავრობამ მოაწყო მისი ორსებობის უკანასკნელ
დღეებში) და ძარღვიანი, კოლორიტული პატარა სცენები ძვე-
ლი თბილისის ქუჩებში. ყველაფერი ეს არა მარტო ჭეშმარიტი
ოსტატობაა, არამედ ცხოვრებისეული სიმართლის დიდი ნი-
ჭიერებით ასახვა, შთამბეჭდავი დეტალების გემოვნებით გა-
მოყენება.

სამწუხაროდ, ეს ეპიზოდები ნაწარმოების ფონს წარმოად-
გენს და ცუდად ერწყმის მთავარი გმირის ცხოვრებას.

„დიად განთიადში“ უკვე გამოჩნდა გმირი — სიმბოლო,
ეგრეთ წოდებული „რიგითი ადამიანის“ ტიპი, რომელიც დამ-
კვიდრდა ჭიაურელის ომის შემდგომ ფილმებში. გიორგი ლუ-
დუშაურის ცხოვრება ავტორს მიაჩნია ტიპიურ ცხოვრებად,
რომელშიაც ასახულია ეპოქა. მაგრამ, გიორგი თავიდანვე გან-
საკუთრებულ პირობებში მოხვდა. მოვლენათა მსვლელობის
მეოხებით, მისდა უნებურად, იგი ყოველთვის ოღონიშნებო-

და ხოლმე მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა ცენტრში „მოსფილმის“ სტუდიაში მუშაობის ათი წლის შემსულებაში 50-იან წლების შუა ხანებში ჭიათურელი კცლავ ჩამოდის ქართველოში. პირვენების კულტის გაღმონაშობის წინააღმდეგ პარტიის ბრძოლამ, საბჭოთა ხელოვნების ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებმა, რომელიც პარტიის XX ყრილობის შემდეგ დაისახა, შეაცვლევინა მხატვარს შემოქმედებითი გეზი. მაგრამ, ამის გამო ჭიათურელს ხელმეორედ მოუხდა ათვისება ზოგი რამის, რაც უწინ მიგნებული ჰქონდა კინოხელოვნებაში. თბილისში ჭიათურელი დგამს კიდევ ოთხ სურათს. ამ ფილმების ეანრი და პრობლემატიკა მრავალფეროვანია. რეჟისორმა გადაიღო დრამა, რომელიც საზოგადოებრივ პრობლემებს ეხებოდა და აგებული იყო თანამედროვე ქართული სოფლის ცხოვრების მასალაზე — „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ (1960), განახორციელა ი. ჭავჭავაძის ნაწარმოების „ოთარაანთ ქვრივის“ (1957) ეკრანიზაცია.

ორი წლის შემდეგ მან დადგა პუბლიცისტური ფილმი „გენერალი და ზიზილები“, რომელიც მიმართული იყო ზოგიერთი ეკრობული და ამერიკული ქვეყნის, მმართველ წრეებში რევანშისტული და მილიტარისტული განწყობილებების წინააღმდეგ. ამის შემდეგ კი, მოულოდნელად, მიუბრუნდა კომედიურ ეანრს — ეკრანზე გადაიღო ა. ცაგარლის ცნობილი პიესა „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

აღნიშნული ფილმებიდან ყველაზე საინტერესოა „ოთარაანთ ქვრივი“, რომელშიაც მთავარ, წამყვან როლს ასრულებს შესანიშნავი მსახიობი ვ. ანჯაფარიძე.

1936 წელს რუსთაველის სახელობის თეატრმა დადგა კომედია, რომელიც მოვლენად იქცა საქართველოს კულტურულ

ცხოვრებაში — სერგო კლდიაშვილის პიესა „შემოდგომის აზნაურები“.

ავტორმა პიესა დაწერა დ. კლდიაშვილის რამდენიმე შეკვეთული წარმოების მიხედვით. როგორც ცნობილია, დ. კლდიაშვილმა გაღატაკებულ თავად-აზნაურთა უალრესად დამაჯერებელი სახეები შექმნა. სპექტაკლის წარმატებამ შეაგულიანა სახით-მრეწველობის ახალგაზრდა ავტორები — სცენარისტი გ. მდივანი და რეჟისორი დ. რონდელი სატირული კომედიის გადასაღებად, რომელშიაც ნაჩვენები იქნებოდა „შემოდგომის აზნაურთა“ საინტერესო, კოლორიტული სახეები.

ფილმი „დაყარგული სამოთხე“ დღემდე ითვლება ქართული კინო-კომედიური ხელოვნების მწვერვალად.

ამ კინკომედიის მომხიბლაობა, უპირველესად, ურთიერთ-დაკავშირებულმა ბრწყინვალე სიტუაციებმა და დეტალებმა განაპირობა. აი, მხოლოდ ერთი მაგალითი.

... გაპარტახებული კარ-მიდამო თითქმის მთლიანად დაწერეული, მიწაზე გაფენილი მესერითაა გარშემორტყმული. ჩვენს წინაა ეულად აღმართული ჭიშკარი, რომელიც საშინელა ჭრიალით იღება და ეზოში შემსვლელს დასახიჩრებით ემუქრება. ეს კარ-მიდამო ეკუთვნით გაღარიბებულ აზნაურებს — ძმებს მიქელა და ასლან კალმახელიძეებს, რომლებიც ეზოში შესვლისას თავილობენ წაქცეულ მესერზე გადაბიჯებას და ცრულირსებით აღსავსენი ყოველთვის სახიფათო ჭიშკრით სარგებლობენ.

ძმებს მხოლოდ ერთი წყვილი უძიროები აქვთ. თითოეული მათგანი ცალი ფეხით განგებ კოჭლობს და ნაცნობ-მეზობლებს უხსნის, რომ ნადირობისას მიღებული ჭრილობის გამო აცვია მხოლოდ ცალ ფეხზე. ძმებს დაოჯახება სურთ. როცა

გარიგებულ საცოლესთან დააპირებს ერთ-ერთი წარვლა, იგა დაელოდება, სანამ ღრმა ძილს მიეცება ძმა და მერქანტის რეს უძიროებს ხდის. მეტად კოლორიტულია სტუმართათვის განკუთვნილი „მორიგე“ ქათამი. საგულდაგულოდ გაწერთნილი ლაზარია ისე მოუხერხებლად და დიდხანს დასდევს ქათამს, რომ იმედგადაწურული სტუმარი ბოლოს ხელს ჩაიქნევს და შინ მიდის, ხოლო ქათამი კვლავ განაგრძობს არხეინად სიარულს დაცარიელებულ ეზოში.

ამდაგვარ სიტუაციებში ხალხური იუმორის ელემენტები და ავტორის მდიდარი ფანტაზია ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს, არ არღვევს ფილმის ერთიანობას.

„დაკარგული სამოთხე“ სიტუაციების კომედია კი არა (თუმცა ცალკეული ეპიზოდების სიტუაციები საკმაოდ მახვილი და სასაცილოა), არამედ მშვენივრად ჩაფიქრებული და ბრწყინვალედ შესრულებული რეალისტური, სოციალური ხასიათების კომედიაა. ფილმში მონაწილეობდნენ პირველხარისხოვანი მსახიობები — ა. უორუოლიანი, ი. მამფორია, ა. ხინთიბიძე, რომელთაც იმ დროისათვის კინემატოგრაფში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ოლონდ, ფილმის წარმატება პირველ რიგში რეჟისორამ განაპირობა.

შემდგომ წლებში სახკინმრეწველობაში კიდევ სამი კინკომედია დაიდგა, და ყველა თანამედროვე თემაზე „ფრთოსანი მღებავი“ (სცენარის ავტორი გ. მდივანი, რეჟისორი ლ. ესაკია), „დაგვიანებული სასიძო“ (სცენარის ჭები კ. გოგოძე და ვ. კარსანიძე, რეჟისორი კ. მიქაელიძე) და „ხილობნელი ქალიშვილი“ (სცენარის ავტორები პ. კაკაბაძე, ს. სულავაური, რეჟისორი დ. ანთაძე). კინოსურათი „ფრთოსანი მღებავი“ მოუთხრობდა ახალგაზრდების გატაცებაზე საავიაციო სპორტისა

და ქართველი ჭაბუქისა და რუსი ქალიშვილის სიყვარულის „დაგვიანებული სასიძო“ და „ხიდობნელი ქალიშვილობის კოლმეურნეო ცხოვრებას ასახავდა.

სამწუხაროდ, სოციალისტური მშენებლობის საჭირობოროტო თემებისადმი მიძღვნილ ამ ფილმებს ზედაპირულობის დალი ესვა. აქ იჩინა თავი სინამდვილის შელამაზების ტენდენციამ, ავტორებმა გვერდი აუარეს გაბედულ კომედიურ სიტუაციებს.

არც კ. მიქაბერიძის ხმოვანი კომედია „დაგვიანებული სასიძო“ გამოდგა უნაյლო. მასში ბევრი ყალბი სიტუაციაა. სიყვარულის ინტრივას საფუძვლად დაედო ნაძალადევი კონფლიქტი. ფილმის ღირსება კი იმაშია, რომ, მიუხედავად კომედიური ინტრივის ზედაპირული ილუსტრაციისა, რეაისორმა მოახერხა ახალი ცხოვრებით სახეშეცვლილი ქართული სოფლის კოლორიტის გადმოცემა, მოახერხა სოფლის მშრომელთა მომხიბლავი სახეების შექმნა.

30-ანი წლების მეორე ნახევარი აღინიშნა ქართული ნახატი ფილმის დაბადებით. ეს ფაქტი დაკავშირებულია ამ საქმის ენთუზიასტის სახელთან — შესანიშნავ ქართველ მულტიპლიკატორთან ვლადიმერ მუჯირთან. „კულტურულფილმებისათვის“ მუჯირმა გადაიღო რამდენიმე დახატული პლაკატი და შემდეგ გადაწყვიტა მხატვრული მულტიპლიკაციური ფილმის დაღვმა. მუჯირმა ამ ახალი საქმით დააინტერესა ენობილი მხატვარი ლ. გულიაშვილი და მასთან ერთად 1936 წელს გადაიღო ფილმი-ზღაპარი „არგონავტები“. ეს იყო თანამედროვე ზღაპარი, რომელიც მოუთხრობდა ხალხის მიერ კოლხეთის ჭაობიანი დაბლობის დაპყრობის შესახებ.

დღემდე მნიშვნელოვანი ეს ფილმი მიმზიდველია ავტორის

საინტერესო და ორიგინალური ხელშერით. თვითმყოფადობა
და გაბედულება იგრძნობა სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტილებას, რომლებიც წარმოშვა ნახატმა პერსონაჟებში და
ექრანზე ამ პერსონაჟების მოძრაობამ. არსებითად, ეს იყო რე-
ჟისორ მუხირის და მხატვარ გუდიაშვილის პირველი ცდა
მხატვრულ მულტიპლიკაციაში.

„არგონავტებს“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართვე-
ლოში მულტიპლიკაციური კინოს განვითარებისათვის. მუხი-
რის მომღევნო ნაწარმოებებმა „გაიძვერამ“ და პირველმა ფე-
რადმა ნახატმა ფილმმა „ჩიორამ“ ცხადჰყო, რომ ახალგაზრდა
ქართველმა მულტიპლიკატორებმა გონივრულად შეაფასეს თა-
ვიანთი პირველი წარმატება და შემდგომში შეძლეს მისი
განმტკიცება. წარმატებას ხელი შეუწყო მულტიპლიკატორე-
ბისა და ნიჭიერი მხატვრების ნაყოფიერმა თანამშრომლობამ.

30-იანი წლების მიწურულს ქართული კინო ნიშანდობლივია
ახალი უანრული ფორმების ძიების თვალსაზრისითაც. ამავე
დროს, საქართველოს კინოსტუდიის ოსტატები განაგრძობ-
დნენ კინემატოგრაფის ტექნიკურ და გამომსახულობით სა-
შუალებათა სრულყოფას.

რეჟისორმა კ. მიქაბერიძემ ფილმ „ქაჯეთის“ დადგმისას სა-
ქართველოში პირველად გამოიყენა კომბინირებული გადაღება
(1936). „ქაჯეთი იყო პირველი ცდა შ. რუსთაველის პოემის
„ვეფხისტყაოსნის“ ნაწილობრივი ექრანიზაციისა. მალე კინო-
სტუდიაში შეიქმნა კომბინირებულ გადაღებათა სამქრო, რო-
მელმაც გამოიყენა „ქაჯეთის“ გამოცდილება.

ბედმა არ გაუღიმა საბავშვო ფილმს „ქაჯანას“. ეს იყო
ახალგაზრდა რეჟისორის, კინემატოგრაფიის ინსტიტუტის
კურსდამთავრებულის, ს. ეიზენშტეინის მოწაფის — კონსტან-



ტინე პიპინაშვილის პირველი დადგმა. ეს გახლდათ ნიკულეთ მოურის ამავე სახელწოდების მოთხრობის ექრანიზაციაში. თხრობაში ასახული იყო რევოლუციამდელი საქართველოს გლეხობის ცხოვრება. ფილმის სიუჟეტი მეტად დინამიკურია, მშევნივრადაა გამოძერწილი გმირების — პატარა კატოს, მისი მშობლების — მართას, ნიკოლას და ბიძამისის — ვანოს ხასიათები. 1936 წელს სრულიად მოულოდნელად და გაურკვეველი მიზეზების გამო ფილმი არ გაჟიშვეს ექრანებზე. იგი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, 1941 წელს გამოვიდა ექრანზე.

კ. პიპინაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება შემდგომში არ წარიმართა მაინცადამაინც იღბლიანად. ფილმ „ხიდის“ (1942) გადაღების შემდეგ, რეჟისორს დიდი ხნის განმავლობაში არაფერი შეუქმნია. უმოქმედობამ ახალგაზრდა ხელოვანს საგრძნობი ზიანი მიაყენა.

ომის შემდგომ წლებში კ. პაპინაშვილმა გადაიღო ორსერიანი სათავგადასავლო ფილმი „ორი ოქეანის საიდუმლოება“, რომელიც საბჭოეთშიაც და უცხოეთშიც მაყურებელმა კარგად მიიღო. 50-იანი წლების დასასრულს მან განახორციელა კიდევ ორი დადგმა — „ასე იწყებოდა მაიაკოვსკი“ და „სად არის შენი ბედნიერება, მზია?“ მაგრამ, მხატვრული ღირსებებია ეს ფილმები გაცილებით სუსტი იყო მის პირველ ნამუშევარზე — ფილმ „ქაჯანაზე“.

„გიორგი სააპაძე“ და 40-იანი ფლების ისტორიულ-
გიორგიაშიული ფილმები. კომედის დაქვეითება

დიდი სამამულო ომის წლებში ქართულმა მხატვრულმა კი-
ნემატოგრაფიამ ვერ შეძლო შეექმნა ნაწარმოებები, რომლებ-
შიაც ახალი ცხოვრებისეული მასალა ღრმად იქნებოდა გააზ-
რებული. 1941—1942 წლებში გადაღებულ მოკლემეტრაჟიან,
ორნაწილიან მხატვრულ ფილმებში — ნ. შენგელაიას „შავ
მთებში“, დ. ანთაძის „სადარაჯო ჭიხურში“, კ. პიპინაშვილის
„ხიდში“ და ი. პერესტიანის „ავანპოსტში“ პერსონაჟთა ხასია-
თებისა და კონფლიქტების სქემატურობა განაპირობა ობიექ-
ტურმა მიზეზებმა: უმთავრესად ეს გამოწევეული იყო მეო-
მართა, პარტიზანთა და ოკუპანტთა ფსიქოლოგიისა და ფრონ-
ტული ცხოვრების არა სრულყოფილი ცოდნით. სამაგიეროდ,
სწორედ ამ წლებში მომავრდა და გაიზარდა დოკუმენტური
კინო. ომის შესახებ კინოკრებულის ავტორებმა — ახალგაზრ-
და რეჟისორებმა და ოპერატორებმა: ო. დეკანოსიძემ, შ. ხომე-
რიკვამა, ა. ფილიპოვმა, ლ. არზუმანოვმა, ვ. კილოსანიძემ და
ი. კანდელაკვამა ამ წლებში გადაიღეს რამდენიმე მოკლემეტრა-
უიანი ლენტი, რომელშიაც ასახული იყო საბჭოთა ხალხის
გმირული ბრძოლა გერმანელი დამპურობლების წინააღმდეგ:

„ჩვენი ჯარების გამანადგურებელი დარტყმა ორჯონიქიშვილის სადგომებთან“, „კავკასიის დასაცავად“, „ამიერკავკასიის ტაფლებითა ფიცი“, „პიტლერის ავანტიურის დასასრული“, „ტაშიბირი მხეცის კვალდაკვალ“, „სევასტოპოლის გმირები“ და სხვა.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს სტუდიაში შექმნილ ნაწარმოებებთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მ. ჭიათურელის ორსერიანი ეპიკური დრამა „გიორგი სააკაძე“ (1942—1943 წლები).

ფილმში იგრძნობა რეჟისორის დიდი, გამორჩეული ნიჭი-ვანაგრძობს რა „არსენაში“ დაწყებულ სახალხო ეპოპეის გამოკვლევას, ფოლკლორული მასალის, ეთნოგრაფიული და ყოფითი დეტალების ფართო გამოყენებით, „გიორგი სააკაძე-ში“ ჭიათურელი ქმნის ხალხის სახეს, ხალხისა, რომელიც გაწა-მებულია ფეოდალთა შინაომითა და გადამთიელთა გამუდმე-ბული შემოსევებით. ფილმში ბევრია სახალხო სცენა. განსა-კუთრებით შთამბეჭდავია პირველი სერიის ეპიზოდები, რომ-ლებშიაც გმირი და ხალხი ცხოველი ურთიერთგაგებით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. აკაკი ხორავას მიერ განსახიე-რებული გიორგი სააკაძე — ხალხის ნდობით აღჭურვილი და ხალხის სურვილების მატარებელი გმირია. ამის გამომხატვე-ლია, მაგალითად, სცენა ქალაქის მოედანზე, როცა ზარების ერთალში გიორგი აყალიბებს სახალხო განმათავისუფლებელ პირველ ლაშქარს. ამხნევებს სასომხიდილთ და სუსტებს, გა-ბედულებასა და ძალას უნერგავს მათ. ცოცხლად, საინტერე-სოდ არის გადაწყვეტილი მეორე სერიაში სახალხო დღესას-წაულის ეპიზოდი მარტყოფის ბრძოლის შემდეგ. აღფრთოვა-ნებულ ერთიან მასას შეაღენენ გიორგის რაზმელები და გლე-ხები. ხალხის ამ გროვიდან ამოკენებილია მეტად ზუსტი, ცოც-

ხალი ეპიზოდური ხასიათები — მოხუცი ზაქრო, გიორგის ლანჩა
შელი ნოდარი.

მაგრამ შემდგომში გიორგის ხასიათი თანდათან შეტყუდ
ხალხსა და „მიწას“. გმირს დაეტყო მონუმენტურობა, გაშორ-
და ხალხურობის მადლი და მხატვრული სახე გაუბრალოვდა,
სქემატური გახდა. და, ალბათ, კანონზომიერია. რომ ხორავას
ნამუშევარშიაც სულ უფრო და უფრო ჩანს წმინდა თეატრა-
ლური, ნაჯლებად შთამბეჭდავი შტრიხები.

ფილმის გამომსახველობითი მხარე და მონტაჟური წყობა
გვაცნობს რეჟისორს, რომელიც აზროვნებს რთული მეტაფო-
რული კადრშეხამებითა და ხედვითი სახეებით. და ამ თვალ-
საზრისით „გიორგი სააკაძე“ ყველაზე ახლოსაა „არსენასთან“,
თუმცა ქრინოლოგიურად მათ ჰყოფს „დიადი განთიადი“.

ფილმის მოქმედება ხან საქართველოს ტერიტორიაზე მიმ-
დინარეობს და ხან სპარსეთის შაჰის სასახლეში გადაინაცვ-
ლებს ხოლმე. კადრების კომპოზიციისა და შუქ-ჩრდილების
მეშვეობით იქმნება ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი
ორი სამყაროს კონტრასტულობა.

მეტად საინტერესოა ფილმის მუსიკალური ქარგა. ხალხუ-
რი მუსიკის მცოდნე ჭიათურელმა ფილმში შეკრიბა სასიმღერო
ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები. აქ არის ძველი საეკლესიო
საგალობლები, მოთქმა-გოდებანიც და ხალხური სიმღერა.
მუსიკა მშვენივრად შეეხამა ფილმის დრამატურგიას, მისცა მას
რიტმი და ემოციური შეფერილობა.

40-იანი წლების მიწურულსა და 50-იანი წლების დასაწყის-
ში ქართულ კინოში ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკების კი-
ნოხელოვნებაში, გამოჩნდა ეგრეთ წოდებული „ბიოგრაფი-
ული“ ფილმები.

1946 წელს გამოვიდა პოეტისადმი მიძღვნილი ფილმი „ლე-
კუი გურამიშვილი“, რომელიც გადაიღეს რეჟისორებმჭერაში და
ნიშვილმა და ი. თუმანიშვილმა. ამ შეუპოვარი პატრიოტი მე-
ომრის ცხოვრება სავსე იყო საინტერესო მოვლენებით და
მჭიდროდ უკავშირდებოდა ქართველი, რუსი და უკრაინელი
ხალხების ბედ-ილბალს.

პოეტის რთული სახე, ქართველი ხალხის დამოუკიდებლო-
ბისათვის ბრძოლის თემა და ხალხთა შორის მეგობრობის იდეა
არ იყო ფილმში შესაფერისად გაშუქებული. ამის სანაცვლოდ
ფილმში მთავარი ყურადღება დაეთმო ანა იოანეს ასულის სა-
სახლის დიდებულთა ინტრიგებს, რომლის მონაწილე — ფილ-
მის ავტორთა ნება-სურვილის შესაბამისად — აღმოჩნდა ნი-
კიერი ქართველი პოეტიც.

ფილმის პომპეზურობამ, სწორხაზოვნებამ და გამიზნულო-
ბამ ჩაახშო ნაწარმოების კეთილშობილი აზრი.

სქემატურობა და ილუსტრაციულობა იგრძნობა გმირისა
და ხალხის თემის გააზრებაში ვ. პიპინაშვილის ფილმში —
„აკაკის აკვანი“. აქ იყო გამოყენებული ა. წერეთლის ავტო-
ბიოგრაფიული ნაწარმოებები. მაგრამ ა. წერეთლის კონფლიქ-
ტი გარემოსთან, მისი დამკიდებულება ხალხთან და XIX
საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სურათი
საქართველოდ ზედაპირულად არის ასახული ფილმში.

„ბიოგრაფიულს“ შეიძლება მიეკუთვნოს დ. რონდელის
ფილმიც „მწვერვალთა დამპყრობნი“. იგი აგებულია დოკუმენ-
ტურ ფაქტებზე ცნობილი ქართველი ალპინისტების — გა-
ფარიძეების ოჯახის ცხოვრებიდან. მაგრამ კინოსურათის დო-
კუმენტურმა საფუძველმა ვერ დააზღვია ფილმი იგივე ნაკ-
ტი

1945—1952 წლებში ქართული კინო შემოქმედებითს კრიზისს განიცდიდა. როცა აანალიზებ იმ პერიოდში გადაღებულ ისტორიულ, ბიოგრაფიულ და თანამედროვე თემაზე შექმნილ ფილმებს, პარადოქსალურ დასკვნამდე მიღიხარ: ყველა ეს ნაწარმოები ერთნაირად შორს დგას თანამედროვეობის პრობლემებისაგან. ამასთანავე, აღნიშნული პერიოდი საქმაოდ რთული იყო და არ შეიძლება მისი მთლიანად გამორიცხვა ხელოვნების განვითარების პროცესიდან. ეს სირთულე უპირველესად დაეტყო ტრადიციულ ქართულ უანრს — კომედიას.

ომის შემდგომ წლებში ქართული სოფლის ცხოვრების თემაზე შეიქმნა კინოკომედიები — „ჭირვეული მეზობლები“, „ბედნიერი შეხვედრა“ „და „გაზაფხული საკენში“. მაგრამ, სოფლის თემასთან დაკავშირებული და 20-იანი და 30-იანი წლების ქართული კომედიის მიერ კარგად დამუშავებული სატირული ინტონაცია ამ ფილმებში სრულიად გაქრა. ამ ნაწარმოებების ერთადერთი დანიშნულება იყო — შეექო და ზარზეიმით ედიდებინა ჩვენი ცხოვრება: ასეთ ამოცანას უსახავდნენ ავტორებს. მიუხედავად ამისა, „ჭირვეულ მეზობლებში“ ალაგ-ალაგ გაიელვებს ხოლმე ცხოვრებისეული ბარაქიანი, კოლორიტული დეტალები, რეჟისორ შ. მანაგაძის მიერ იღბლიანად მიგნებული კომედიური შტრიხები.

რადგან არ ჰქონდათ შესაძლებლობა რეალური, ცხოვრებისეული კონფლიქტების გამოყენებისა, ავტორები დრამატურგიას აგებდნენ შემთხვევითი გაუგებრობის გულუბრყვილო საფუძველზე და, ჩვეულებისამებრ, ყველა ფილმის დაბოლო-

ებაში ეს გაუგებრობანი სასიკეთოდ გადაწყდებოდა წოლება.

ასეთი იყო, მაგალითად, კონფლიქტი „ბეღნიერ შეხედულებული ში“. მართალია, ამ ფილმში არის კიდევ სხვა, კარგად დამუშავებული თემა — შეჯიბრება ორ კოლმეურნეობას შორის. ფილმი იწყება დინამიკური, ცოცხლად გადალებული კადრებით — რომლებშიაც ასახულია ნაციონალური თამაში ლელო — და მაყურებელი, მისდა უნებურად, ერთბაშად „შედის“ შრომისა და სპორტში პირველობისათვის მებრძოლი ახალგაზრდების ანცი, გაბედული განწყობილების ატმოსფეროში. ცოცხალ, ტემპერამენტიან რიტმშია გადალებული ჩაის კრეფის სცენები. მზით ფერდაკრული, ჯანსაღი სახეები, მოელვარე კბილები, და სიმღერა... მწვანე მდინარე დაუსრულებლად მოედინება კონვეიერით. ყველაფერი ეს გადალებულია მზარდ მონტაჟურ რიტმში.

ამ ფილმების წარუმატებლობა კომედიის ამოცანების შეზღუდულად გაგებამ განაპირობა. ამ ტენდენციას ეწინააღმდეგება 20—30-იანი წლების ტრადიციული ქართული კომედიის ცალკეული ელემენტები, რომლებიც ხან აქტიორულ ნამუშევრებში, ხან — საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრები: ზუსტად გადმოცემულ რიტმში, ხან კი — ცხოვრებისეულ კოლორიტულ დეტალებში ჩანს.

ამ ხანებში ქართულ კინოში გამოჩნდა ეგრეო წოდებული „მუსიკალური“ ფილმებიც. მაგრამ, ყველა ეს ფილმი მხოლოდ ილუსტრირებული იყო ცალკეული მუსიკალური ნომრებითა და პოპულარული სიმღერებით. გამონაკლისს წარმოადგენა, მხოლოდ „ქეთო და კოტე“.

რეჟისორებმა ვ. ტაბლიაშვილმა და შ. გედევანიშვილმა ფილმი „ქეთო და კოტე“ დადგეს ა. ცაგარლის ცნობილი კო-



მედიის „ხანუმას“ მიხედვით, ფილმში გამოიყენეს არიგბი და
მუსიკა ვ. დოლიძის ოპერიდან. ძარღვიანი ნაციონალური კომი-
ლორიტი, ქეთოს როლის შემსრულებლის -- მსახიობ მ. ჯაფა-
რიძის მომხიბვლელობა, სრულყოფილი მხატვრული სახეები,
მახვილგონიერი დიალოგები, მელოდიური მუსიკა და კომედი-
ის დაუშრეტელი სიმხიარულე იყო ამ ფილმის არაჩვეულებრი-
ვად მდიდარი პირველსაწყისი და ქეროვნად უნდა მიეზღოვ-
დამდგმელ რეჟისორებსა და კომპოზიტორ ა. კერესელიძეს,
რომლებმაც პიესასთან ერთად მარჯვედ გადაამუშავეს ოპერის
მუსიკალური პარტიტურა.

ხელოვნურად შელამაზების ტენდენცია ძირითადად შეეხო
ნაწარმოების სტილისტურ მხარეს, მაგრამ, ოპერეტის შტამ-
პებისა და პომპეზური პავილიონების მიუხედავად, ფილმში
ცხოვრობენ და მოქმედებენ ქართული კომედიის ჭეშმარიტი
გმირები.

ჩართული პინოს ტრადიციების აღორძინება.

თანგიზ აგულაძი, რევაზ ჩხეიძი.

სამეცნიერო-კოკულარული და

დოკუმენტური ფილმების

სტუდიის ჩამოყალიბება.

პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებებმა განსაზღვრეს ახალი პერიოდის დასაწყისი ქართულ კინოში.

სამი წლის უმოქმედობის შემდეგ კვლავ დაიწყო მუშაობა სტუდიის ყველა პავილიონმა. 1954 წელს წარმოებაში ერთ-ლროულად ჩაუშვეს ექვსი ფილმი (შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ 1951—1953 წლებში საქართველოს სტუდიაში მხოლოდ ერთი ფალმი — „მწვერვალთა დამწყრობინი“ გადაიღეს). სხვაგვარად იყო შემოქმედებითი კადრების საქმე. ზიანი, რომელიც მათ მიაყენეს უმოქმედობის წლებში, ძნელად აღსაღენი გამოდგა. ხანგრძლივმა უმოქმედობამ და კინოხელოვნებისადმი წარდგენილმა დოკმატურმა მოთხოვნებმა ბევრი გამოცდილი ოსტატი დააბნია. როცა უკვე მიეცათ მუშაობის შესაძლებლობა, დეზორიენტირებული რეჟისორები გაურბოდნენ ცხოვრებისეული რთული პრობლემებით გამსჭვალულ თემებს. ახალგაზრდული კადრებით კი გასული ათი წლის განმავლობაში სტუდია არ შევსებულა.

საბჭოთა ქვეყნისა და რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ამ ხანებში მნიშვნელოვანი მოვლაგნებული ხდება. აღადგინეს პარტიული ცხოვრების ლენინური ნირვეზი და პრინციპები. პარტიამ მოუწოდა ხელოვნებას აქტიურად ჩაბმულიყო კომუნისტური მშენებლობის არსებით ამოცანათა გადაწყვეტაში, გაბედულად აესახა ჩვენი ცხოვრება და დაენგრია შემოქმედების დამკვიდრებული შტამპები.

თანამედროვე თემისაკენ, დაკარგული შემოქმედებითი პოზიციისაკენ მიბრუნების პროცესი ქართულ ხელოვნებაში დიდ-ხანს და რთულად მიმდინარეობდა, თუმცა, ვარეგნულად, მალე ყველაფერმა მშვიდობიანი სახე მიიღო. სტუდიაში გადაიღეს ბიოგრაფიული და ისტორიულ-პატრიოტული ფილმები, რომლებიც 40-იანი წლების ტრადიციას აგრძელებდა და, ამავე დროს, დაიდგა კინოსურათები: „ჩრდილი გზაზე“ (1956), „მე ვიტყვი სიმართლეს“ (1957), „ორი ოჯახი“, „მანანა“, (1958) და „ნინო“ (1959). ეს ფილმები აშუქებდა თანამედროვეობის ყველაზე საჭირობოროტო საკითხებს, განსაზღვრავდა ოჯახისა და მორალის თემას კომუნისტურ საზოგადოებაში, მოუთხრობდა სოფლის ახალგაზრდობის ინდუსტრიალურ ქალაქში დასახლების შესახებ, სოფლის ინტელიგენციის როლზე და მის მოქალაქეობრივ დანიშნულებაზე თანამედროვე სოფლის ცხოვრებაში. კარგა ხანია კინოს არ გამოუჩენია თანამედროვე თემატიკისადმი ასეთი აქტიური დამოკიდებულება, მაგრამ ამ ფილმების დრამატურგიულ მასალაში — უწინდელი ტრადიციის გავლენით — დასმული პრობლემების სერიოზული გამოქვლევა სრულიად უგულვებელყოფილია. ეს ნაწარმოებები მეტნაკლებად იღბლიანი ილუსტრაციებია ოფიციალური ცხოვრებაში.

ლური თეზისებისა და საყოველთაოდ მიღებული მორალური
ნორმებისა.

შეიძლება „პირველი მერცხალი“ ეწოდოს 1954 წელს: კარგი ქადაგის ს. დოლიძის მიერ გადაღებულ ფილმს „ჭრიჭინას“, რომელიც დაიდგა მ. ბარათაშვილის, იმ წლებში პოპულარული პიესის, „მარინეს“ მიხედვით. ფილმის ცხოვრებისეულმა სიმართლემ და უშუალობამ განაპირობა მისი წარმატება. პირველხარისხოვანი მსახიობების: ც. წუწუნავას, ა. უორუოლიანის, გ. შავგულიძის მიერ გათამაშებულმა ცხოვრებისეულმა სცენებმა (განსაკუთრებით აღსანიშნავია ბებია ელპიტეს ვითომდა დასაფლავება, სადაც მთელმა სოფელმა და მოხუცის ქალაქელმა ნათესავებმა მოიყარეს თავი) ჭეშმარიტად გაამდიდრა ფილმი. ამ ეპიზოდებმა შეარჩილა ფილმის ერთგვარი დიდაქტიკურობა და სწორხაზოვნება მთავარი თემის გაშუქებისას. ფილმის ძირითადი თემაა — ნაწარმოების მთავარი გმირის — ქალიშვილის ხასიათის ჩამოყალიბება შრომისა და საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების შეღეგად.

„ჭრიჭინას“ ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა — მარინეს სახეც. ანცი და მშვენიერი ქალიშვილისა, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს ცხოვრების ფართო შარაგზაზე. ამ როლისათვის აღბლიანად შეარჩიეს მსახიობი. სწორედ ამ ფილმმა შობა საპორთა კინოს ახალი ვარსკვლავი — ლეილა აბაშიძე.

კომედიებს მონატრებული მაყურებელი გულთბილად შეხვდა „ჭრიჭინას“ გამოჩენას. რვა თვის განმავლობაში ფილმი ნახა 36 მილიონზე მეტმა მაყურებელმა.

1957 წელს გამოვიდა კიდევ ერთი კომედია „აბეზარა“, რომელშიაც მთავარ როლს ლეილა აბაშიძე ასრულებდა. ფილმი დადგა რეჟისორმა ნ. სანიშვილმა. კინოსურათის გმირის

ხასიათი — ფხიანი და ენამახვილი ქალიშვილის — ლიაბა, რომელიც შოთარად მუშაობს, ლეილა აბაშიძისათვის „შემოქმედებაში“ ნათამაშევი როლის ერთგვარი გამეორება იყო, მაგრამ, ს. კინგაძის მელოდიურმა სიმღერებმა და ახალგაზრდა მსახიობის ნიჭმა გმირის სახეს მომხიბვლელობა მიანიჭა.

როცა თვალს გადავლებ 50-იანი წლების ქართული კინემატოგრაფიის საერთო სურათს, დასკვნი, რომ თანამედროვე თემისაკენ შემობრუნებას იმ წლებში არ შეეძლო გადამწყვეტი როლი ეთამაშა კინოხელოვნებაში. ახალი დასათაურებებით მაყურებელს კვლავ ფსევდოცხოვრებისეულ ნაწარმოებებს აწვდიდნენ. ფილმის გმირებში კი მაყურებელი ვერ პოულობდა თანამედროვე ხასიათებს.

საფუძვლიანად რომ დამდგარიყო ფეხზე, აღედგინა დაკარგული და წინ წასულიყო ახალი შემოქმედებითი ზღუდეების დასაპყრობად, ქართულ კინემატოგრაფს ცხოვრებისეული მასალის ახლად აღმოჩენა ესაჭიროებოდა. სანამ აქტუალური თემის გადამწყვეტას დააპირებდა, საჭირო იყო ამ თემის გამოსაყვალვად შესაფერისი მეთოდების მიგნება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა ახალგაზრდა თაობას, რომლის შემოქმედებითი ბედი უფრო იღბლიანად წარიმართა, ვიდრე მისი წინამორბედებისა.

1954 წელს საკავშირო კინოინსტიტუტი დაამთავრეს თენგიზ აბულაძემ და რევაზ ჩხეიძემ. 40-იანი წლების შემდეგ ისინი პირველ რევისორულ თაობას წარმოადგენდნენ საქართველოს კინოსტუდიაში.

1955 წელს თენგიზ აბულაძემ და რევაზ ჩხეიძემ დადგეს ხუთნაწილიანი ფილმი, ე. გაბაშვილის მოთხრობის „მაგდანას ლურჯას“ მიხედვით. თავდაპირველად, ფილმს არ გამოუწვევ-

ვია ოლფრტოვანება და მას ერთგვარი გაოცებითაც კი შეხვედროს
დღენს.

მართლაცდა, ახალგაზრდა რეჟისორების მოკლემეტრაჟისაზე
ფილმის სიუჟეტი უკანასკნელი წლების კინემატოგრაფიისა-
თვის მეტად უჩვეულო ხილი იყო. სხვა ქართველი ოსტატების
მსგავსად თ. აბულაძემ და რ. ჩხეიძემ თავიანთ ნამუშევარში
საქართველოს წარსული დახატეს. მაგრამ, იმ წლებში პოპულა-
რული ფილმებისაგან განსხვავებით, მათი ნაწარმოები არ მო-
უთხრობდა მხედართმთავრებისა და სახალხო გმირების ბიო-
გრაფიებს. მათ უარყვეს ბრწყინვალე შესაძლებლობები —
ეჩვენებინათ მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები,
რომლითაც ეგზომ მდიდარია საქართველო, ახალგაზრდა მხატ-
ვრებს არ აინტერესებდათ ისტორიული ღრამების მონუმენ-
ტურობა და განწყობილების ესთეტიკური მხარე. მათი ყუ-
რადლება მიიპყრო რიგითმა შემთხვევამ სოფლელი ქვრივის —
მაგდანას ცხოვრებიდან. ქვრივი დედაკაცის შვილები — მიხო-
და კატო სოფლის შარაგზაზე მომაჯვდავ სახედარს — ლურჯას
წააწყდნენ. ბავშვებმა არ მოაკლეს მას მოვლა-პატრონობა და
განკურნებული პირუტყვი მთელი გულით შეიყვარეს. მაგდანა
დაიმედდა, რომ ლურჯას დახმარებით ფეხზე წამოაყენებდა
ოჯახს და მეზობლებსაც მოიმაღლიერებდა — სახედრით შეძ-
ლებდა გასაყიდი ბევრი მაწვნიანი ქილის ქალაქში წალებას. მაგ-
რამ ქალაქში მაგდანას ჩასვლისთანავე ლურჯას ყოფილმა პა-
ტრონმა — ავყია და წუწურაქმა ვაჭარმა მიტუამ, იცნო თავისი
ვირი. სასამართლომ მიტუას დაუბრუნა სახედარი. სულ ესაა
ფილმის ფაბულა. უსამართლობამ, რომლის მსხვერპლი გახდა
ლარიბი გლეხის ოჯახი, ჩვეულებისამებრ, კვლავ გაიმარჯვა
ულმობელობისა და უუფლებობის სამყაროში — ღარიბ-ღა..

ტაქთა სამყაროში. ივტორებმა არაჩვეულებრივად ზუსტად
წარმოადგინეს რევოლუციამდელი საქართველოს სოფლების
სახე. ჩვენ ვხედავთ ოსტატურად დახატულ სოციალურ
სიათებს — სოფლის მამასახლისს, ვაჭარს, ხელოსანს და მათ
ხელქვეითებს. ეკრანზე ყველაფერი მართლად და ზუსტდაა
ასახული. ფალასფულასი, რომელიც აცვიათ მაგდანასა და მის
შვილებს; გლეხების გარუჯული და მკაცრი სახეები; აუტანელი
შრომით გატანჯული ხალხის ნელი, მძიმე სიარული; მათი
უბადრუკი საცხოვრებლები.

ამ ყოფითს დეტალებში იგრძნობოდა აღორძინება ცხოვრე-
ბის დოკუმენტური კვლევის იმ მეთოდისა, რომელიც ქარ-
თულმა კინემატოგრაფმა ოდესლაც აღმოაჩინა და 40—50-იან
წლებში მიიღიწყა.

ყოფის დოკუმენტურად ზუსტმა და მკაცრმა ფაქტურამ
განსაზღვრა ფილმის ტონალობაც. გლეხის ოჯახში მომხდარი
დრამის შესახებ მოთხრობილია ძუნწად, სადაც და თავშეკავე-
ბულად. დედის სახე — პოპულარული ქართველი მსახიობის
დუღუხანა წერობის საუკეთესო როლი კინოში — თითქოსდა.
ამ თავშეკავებულობის განსახიერებას წარმოადგენდა. ბავ-
შვების თამაში კი, — თენიზ აბულაძის მახვილგონიერი გა-
მოთქმით — სიმართლის კამერტონად იქცა. სოფლელი ბავ-
შვების — მიხოსა და კატოს ხასიათებმა განაპირობა ფრთმის
პოეტური, ხატოვანი წყობა. ეს, ხასიათებია პატარა აზამა-
ნებისა, რომლებიც სამყაროში პირველ აღმოჩენებს აკეთე-
ბენ; ხასიათები, ფილმის მხატვრულ სისტემაში დამოუკი-
დებლად მზარდი და თანასწორუფლებიანი.

„მაგდანას ლურჯამ“ განაგრძო 20—30-იანი წლების ქარ-
თული კინოს საუკეთესო ტრადიციები და, ამავე დროს, გამოჩნ-

და მისი განვითარების ახალი ეტაპი. ამ ფილმში პირველად განხორციელდა სინამდვილის პოეტურად გააზრების ოპერა-
ბური მეთოდი. შერწყმა ორი სიბრტყისა — დოკუმენტური კონკრეტული ცხოვრებისეული სიმართლისა და პოეტური გან-
ზოგადებისა, შემდგომში იქცა თანამედროვე ქართული კინო-
ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანთვი-
სებად.

აქამდე ყველასათვის უცნობი რეჟისორების პატარა ფილმ-
მა „მაგლანას ლურჯამ“ კანის 1955 წლის კინოფესტივალზე
ნამდვილი სენსაცია გამოიწვია. მას მიეკუთვნა ფესტივალის
დიდი პრემია.

შემდგომში თ. აბულაძემ და რ. ჩხეიძემ ცალ-ცალკე და-
იწყეს მუშაობა. თითოეულმა მათგანმა საკუთარ გზას მიაგნო
კინოხელოვნებაში. თენგიზ აბულაძე ახალ ნამუშევარში,
„სხვის შვილებში“ შეეცადა განემტკიცებინა ის, რამაც „მავ-
დანას ლურჯას“ წარმატება არგუნა, რაშიაც თვალნათლივ გა-
მოიხატა ახალგაზრდა მხატვრების ოსტატობა. რეჟისორი ვერ
შეელია ნორჩ მსახიობებს, რომლებმაც ესოდენ ბრწყინვალედ
ითამაშეს მის ფილმში. და აბულაძე ეძებდა თემას, რომ გა-
ნეგრძო ბავშვებთან მუშაობა.

ხანგრძლივი ძიების შემდეგ რეჟისორის ყურადღება მი-
იპყრო ნ. ალექსანდროვას ნარკვევმა, რომელიც 1955 წელს გა-
მოქვეყნდა „კომსომოლსკაია პრავდას“ ერთ-ერთ ნომერში.
მასში მოთხრობილი იყო ქალიშვილის — შურას შესახებ. შუ-
რა შემთხვევით წაწყდა ქუჩაში ორ ბავშვს, შეეთვისა პატა-
რებს და ძალიან შეიყვარა ისინი. ქალიშვილი ბავშვების დედა
გახდა და მაშინაც კი არ გაეცალა მათ, როცა მამამ პატარება
მიატოვა.

თ. აბულაძე დააინტერესა ამ ფაბულამ. ის იძლეოდა საშუალებას, შექმნილიყო ლირიულად ამაღლვებელი მოწირული ადამიანზე, მის სულიერ სიმდიდრეზე, ყოფითი, ოჯახური დრამის მეშჩანურ-დამრიგებლობითი ტონი კი შეცვლილიყო ადამიანის ცხოვრებაში უაღრესად პირადულისა და მთავარზე ღრმა ჩაფიქრებით, ეჩვენებინა ადამიანთა ურთიერთდამკიდებულების სირთულე.

თ. აბულაძემ და მწერალმა რ. ჯაფარიძემ გამოიყენეს
ნ. ალექსანდროვას ნარკვევის ფაბულა და დაწერეს სცენარი.

იოლი და უბრალო საქმე იქნებოდა, სამოძღვრებო სქემის წამხედურობით, ბავშვების მამის — დათოს გამოყვანა უხამ-სად და არამზადად. მაგრამ სცენარში და ფილმში ყველაფერი გაცილებით რთულადაა გააზრებული. დათო — კეთილია, წე-სიერი, ოღონდ არცთუ ისე ძლიერი პიროვნებაა. მას თავდა-ვიწყებით უყვარს სხვა ქალი.

დათო ვერაფრით ვერ იმორჩილებს მისთვის უსიხარულო ამ ვნებას, თუმცა მძაფრად აქვს შეგნებული თავისი მოვა-ლეობა ბავშვებისადმი და მაღლიერებითა და პატივისცემით უყურებს იმ ქალსაც, რომელმაც ოჯახური კერა შეუქმნა. ავ-ტორები არ ეძებენ მართლებსა და მტყუანებს. მათ წარუდგი-ნეს მაყურებელს ობიექტური ნოთხრობა ადამიანთა პირადულ ცხოვრებაზე. გონებაჭვრეტითი ლოგიკის ნაცვლად ფილმი სთავაზობს გრძნობათა ლოგიკას. ადამიანის პირადული ცხოვ-რება ქართულ კინოხელოვნებაში პირველად გახდა გამოკვლე-ვის საგანი. კინოკამერას აქამდე არასოდეს ჩაუხედავს ასე ღრმად პიროვნების სულიერ სამყაროში.

საოცრად ტაქტიანად და ფაქტზად აჩვენებს რეჟისორი ბავ-

შვებში ჩაძირულ მიმნდობ, სიყვარულის ბეღნიერ გრძნობას /
სხვისადმი, რამდენიმე ხნის უკან მათთვის სრულიად აკლებები
აღამიანისადმი. ალბათ აშაშია ფილმის მთავარი ღირსება. და,
როდესაც გოგონა ყველაფერს ივიწყებს ამქვეყნად — თავის
დაბადების დღეს, მოწვეულ თანატოლებს, საღლესასწაულო
სუფრას და მღელვარებით, მოლოდინით აღსავსე გარბის ავ-
ტობუსის გაჩერებისაკენ, შეგვინებული დეიდა ნატოს დასა-
ხვედრად, ჩვენ ვხვდებით — ამ გრძნობამ უნდა გაიმარჯვოს.

„მაგდანას ლურჯას“ მსგავსად „სხვისი შვილებიც“ პოეტუ-
რი ფილმია. პოეტური განზოგადება ფილმში იქმნება კონკრე-
ტული, დოკუმენტურად ზუსტი გამოსახულებიდან.

ნიჭიერ ოპერატორთან — ლევან პატაშვილთან ერთად
აბულაძემ ფილმისათვის გამონახა გამჭვირვალე, მწყობრი ქა-
ტოვანი რიგი. ლ. პატაშვილის ხელწერისათვის დამახასიათე-
ბელი სინატიფე უაღრესად მოერგო ამ ფილმის ტონალობას.

„სხვის შვილებში“ აბულაძემ გამოხატა თავისი შეხედუ-
ლება სამყაროსადმი, თანამედროვე ცხოვრებისადმი, აჩვენა
საკუთარი რეჟისორული ხელწერა. ყველაფერი ეს მან დაამ-
ტკიცა მომდევნო ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

რ. ჩხეიძის შემოქმედებითი გზა რამდენადმე სხვაგვარად
წარიმართა, თუმცა მის პირველ დამოუკიდებელ ფილმ „ჩვენს ეზოს“ ბეკვრი რამ აკავშირებს „მაგდანას ლურჯასთან“.
გ. მდივნის სცენარის მიხედვით გადაღებული „ჩვენი ეზო“
მოუთხრობს ერთ ეზოში მცხოვრები, ახლად სკოლადამთავრე-
ბული ახალგაზრდების ბედ-ილბალზე. ფილმში არავითარი გან-
საკუთრებული მოვლენები არ ხდება. ავტორები აჩვენებენ
ყოველდღიური ცხოვრების ბუნებრივ დინებას; პიროვნებებს.

რომლებიც ამ დინებაში თანდათან ამჟღავნებენ თავიანთი სიათის სხვადასხვა ნიშანს.

არავალი
უკანონობები

„სხვისი შვილების“ მსგავსად „ჩვენი ეზო“ ადამიანთა უკანონობების პირადულ სფეროს ეხება. ეს დამოკიდებულებანი ყალიბდება ცხოვრებაზე მსჯელობის ფონზე, ცხოვრებაზე, რომელიც ყოფითი, ოჯახური დრამის მიღმა ვითარდება. ფილმის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ვაჟა — ცნობილი მომლერლის შვილი — არხეინად აზის მშობლებს კისერზე და საკუთარი „პობედით“ დასეირნობს. უცებ, ბედის უკულმა დატრიალებულმა ჩარხმა ვაჟას კულაფერი გამოაცალა ხელიდან. მოულოდნელად გარდაიცვალა მამამისი — ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის წყარო. ვაჟას ელის მარცხი ციცინოსადმი სიყვარულშიც. ასეთია ამ ხასიათის მარტივი სიუჟეტური სქემა. ასევე გარეგნული გამოხატულება მიიღო მთავარი გმირის — დათოს ხასიათმა, დათო სკოლის დამთავრების შემდეგ ქარხანაში მიღის სამუშაოდ.

მაგრამ ფილმში არის სხვა თემაც — სიმართლე ადამიანთა დამოკიდებულებაში, გრძნობათა სიფაქიზე და უშუალობა, გადმოცემული უაღრესად მართლად.

რ. ჩხეიძემ მოახერხა ნამდვილი მეგობრული გრძნობის ასახვა, მეგობრობის, რომელიც მეზობლებს მჴიღროდ აერთიანებს. ასახა სიხარული, რომელიც ყველას ახარებს და მწუხარება, რომელიც ყველას ამწუხებს. რაც შეეხება სხვა სიუჟეტურ ხაზებს, მაგალითად, დათოსა და მისი ანტიპოდის — ვაჟას დამოკიდებულებას შრომისადმი — ეს თემები რამდენად-მე სქემატურად არის გადაწყვეტილი. მაგრამ იქ, საღაც ადამიანთა დამოკიდებულებაში ჩვენ „პირადულს“ ვუწოდებთ, ფილმის გმირებმა თავიანთი თავი სრულად გამოსახეს.

შეიძლება ისე მოყვე ადამიანის სიყვარულის ამბავი, რომ
ეს კაცი სრულად დახატო. „ჩვენს ეზოში“ არის ასეთი ადამიანის
ამბავი, ორი ბიოგრაფია — დათო და ციცინო.

შემდგომ ნამუშევრებში რ. ჩხეიძე ვერ აერიდა იმ პრინცი-
პულ შეცდომებს, რომლებიც ახასიათებდა ზოგიერთი ქარ-
თველი კინემატოგრაფისტის 50-იანი წლების მიწურულისა და
60-იანი წლების დასაწყისის პერიოდის შემოქმედებას.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს რიგი ფილმებისა — საინტე-
რესო ახალი გამოშახველობითი საშუალებების ძიებით, მავ-
რამ მცდარი თავისი შემოქმედებითი მეთოდით.

1958 წელს რ. ჩხეიძემ გადაიღო დრამატული ეპოპეა ქარ-
თველი ხალხის ცხოვრებიდან — „მაია წყნეთელი“. უბრალო
ადამიანების საინტერესოდ დახატული ხასიათების, სახალხო
დღესასწაულის „ბერიკაობის“ დიდებულად გადაღებული სცე-
ნებისა და მართლად, ცოცხლად დადგმული ბატალიური ეპი-
ზოდების გვერდით ფილმში არის ყოფიერების კონკრეტულ
საფუძველს მოწყვეტილი სიმბოლიკის ელემენტები. 1960 წელს
ჩეხო ჩხეიძის მიერ დ. შენგველის ნაწარმოების „განძის“ მი-
ხედვით გადაღებული ფილმი წარმოადგენდა ამ ტენდენციის
განვითარების სამწუხარო კანონზომიერებას.

სიმბოლიკური განზოგადებებისაკენ სწრაფვა ეტყობოდა
რ. ჩხეიძის მომდევნო ფილმს „ზღვის ბილიკსაც“ (1962). ნა-
წარმოები ჩაფიქრებული იყო, როგორც კინობალადა ადამია-
ნის სულიერი ძალების მარადიულ სიჭაბუკეზე, მის გამუდმე-
ბულ სწრაფვაზე — გახდეს საზოგადოების სასარგებლო წევ-
რი — ურომლისოდ ცხოვრებას ყოველგვარი აზრი ეკარგება.
მაგრამ, ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა სასურველი სიღრმით,
რადგან სცენარშიაც და ფილმშიაც არ იყო ამ აზრის კონკრე-

ტული პლასტიკური გამოხატულება. მოხუცი და ჭაბუკი ერთ
მანეთს გაეჯიბრნენ და შორს შეცურეს ზღვაში. მოხუცმა შეუძლია
ძლო ღონემიხდილი ჭაბუკის გადარჩენა, მაგრამ თვითონ ჭაბუკია
ლუპა. ახალგაზრდობასთან გაჯიბრებით, მოხუცი შეეცადა სი-
ბერის დამარცხებას. ასეთი იყო ამ ეპიზოდის სიმბოლური მა-
რი. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა კრიტიკა, ამ-
დაგვარი შეჯიბრი მოითხოვს ფიზიკურსა და არა სულიერ ძა-
ლებს.

მსგავსი შეცდომები ახასიათებს სხვა ნიჭიერი ავტორების
ნაწარმოებებსაც, — ავტორებს, რომლებმაც თავიანთი ფილმე-
ბი 60-იანი წლების დასაწყისში შექმნეს, — კერძოდ, ახალ-
გაზრდა რეჟისორის ლ. ღოლობერიძის პირველ ფილმ-ალმანახს „ერთი ცის ქვეშ“. კრებულში შემავალი ნოველები „თავადის
ქალი მაია“, „მტრედები“, „ფრესკა“ — არატოლფასოვანია.
ყველაზე მეტად მიმზიდველია ნოველა „მტრედები“. ახალ-
გაზრდა რეჟისორმა გამოამჟღავნა ქვეტექსტებით მუშაობის
ნიჭი. ნოველის გამომსახველობითი მხარე ისეა გადაწყვეტილი,
რომ ნაწარმოებს შეუძლია იარსებოს უდიალოგებოდაც. სუს-
ტი ტექსტი ჩრდილავს იმას, რაც ესოდენ გემოვნებითა და
ტაქტით გადმოსცა რეჟისორმა გამოსახულებაში. ამგვარად,
ყველაფერი ის, რაც კადრს მიღმა, ქვეტექსტში უნდა დარჩენი-
ლიყო, გადმოცემულია სიტყვებით.

საბეღნიეროდ, ფორმალისტური ელემენტებით თვითმიზ-
ნური გატაცება არ გამოდგა განმსაზღვრელი ნიჭიერი რეჟი-
სორის, ლ. ღოლობერიძის შემდგომი შემოქმედებისათვის.

1958 წელს შეიქმნა სამეცნიერო-პოპულარული და დოკუ-
მენტური ფილმების საქართველოს სტუდია და ამ დროიდან

დოკუმენტურმა კინომ დაიწყო დამოუკიდებელი არსებობა.

დამოუკიდებელი სტუდიის ჩამოყალიბებამ, რა თქმა გავლენა იქონია გამოშვებული კინოსურათების ხარისხზე და წარმოების მოცულობაზე. სტუდიაში მოვიდნენ დოკუმენტა-ლისტთა ახალი კადრები. მკვეთრად გაიზარდა წარმოების მო-ცულობა. თუ 1958 წლის გეგმაში ირიცხებოდა სულ ხუთა დოკუმენტური და სამი შეკვეთილი ფილმი, მომდევნო წელს გამოშვებული კინოსურათების რაოდენობა უკვე თორმეტამდე გაიზარდა. გარდა ამისა, მათთვის ახალ სამეცნიერო-პოპულა-რულ ჟანრში ქართველმა დოკუმენტებმა ჯერ კადევ მაშინ ხუთი ფილმი დადგეს. რეჟისორებმა დ. აბაშიძემ და ნ. უუუ-ნაძემ ფილმში „ერთი ცდის ამბავი“, თავი გამოიჩინეს რო-გორც მხატვრებმა — მკვლევარებმა. მასში მოთხრობილი იყო ქართველი მეცნიერების მუშაობაზე, რომლებიც იკვლევდნენ სისხლის მიმოქცევაზე ნერვიული სისტემის გავლენას. სოხუ-მის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული პათოლოგიის სამეც-ნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბაზაზე გადაღებული ეს ფილმი იწვევდა უშუალო სამეცნიერო ინტერესს. სამეცნიე-რო-პოპულარული ფილმების ვარშავის საერთაშორისო ფეს-ტივალზე ფილმი დააჯილდოვეს I ხარისხის დიპლომით. შემდგომ წლებში დ. აბაშიძემ და ნ. უუუნაძემ გადაიღეს რამ-დენიმე ფილმი, რომელთაგან „ლრუბლებთან ბრძოლა“ (1961), „ორიენტაცია სივრცეში“ (1962), „შიში“ (1963) და „დაბრუნე-ბა ხმების სამყაროში“ (1964) შექმნილია საქართველოს გამო-ჩენილ მეცნიერებთან უშუალო თანამშრომლობით. მიუხედავად მკაცრი მეცნიერული ხასიათისა, ეს ფილმები მეტყველი და მე-ტად საინტერესო ნაწარმოებებია. სამეცნიერო კვლევებისა და ცდების მასალებისათვის ავტორებმა გამონახეს თავშესაჭერი

კინემატოგრაფიული ფორმა, რომელიც მშვენივრად ერწყმის
ფილმების მეცნიერულ შინაარსს.

თამაცხული
სამაცხულებელი

სამეცნიერო კინოში დახელოვნებულ დ. აბაშიძის შემთხვევაში
ნ. უუუნაძის გარდა ამ დარგში წარმატებით მუშაობდა რეჟი-
სორი ო. ჭიაურელიც. მისი საყვარელი თემებია — საქართვე-
ლოს ხელოვნება და წარსულის ხუროთმოძღვრება. ო. ჭია-
ურელის ფილმი „სვეტიცხოველი“, რომელიც მოუთხრობს
მეთერთმეტე საუკუნეში აგებული მცხეთის საკათედრო ტაძ-
რის ისტორიას და დაწვრილებით აჩვენებს მის არქიტექტუ-
რას, დღემდე რჩება ამ თემაზე შექმნილი ფილმებიდან ერთ-
ერთ საუკეთესო, მნიშვნელოვან ნაწარმოებად. იმავე, 1960
წელს ჭიაურელმა გადაიღო ორნაწილიანი ფილმი „ქართულა
ჭედური ხელოვნება“. ამ ნაწარმოებმა ვაკენო მაყურებელს
ქართველი ოსტატების აღორძინებული ჭედური ხელოვნება და
მოუთხრო ამ უძველესი ხელოვნების ისტორიასა და ტრადი-
ციებზე.

სახვითი ხელოვნების დარგში წარმატებით მუშაობს კინო-
დოკუმენტალისტი ო. ჭიაურელი. მან გადაიღო ნარკვევების
სერია გამოჩენილ ქართველ მხატვრებზე — გიგო გაბაშვილზე,
დავით კაკაბაძეზე, ელენე ახვლედიანზე...

1958 წელი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო გამოჩენილი ქარ-
თველი დოკუმენტალისტის გიორგი ასათიანის შემოქმედებაში.
სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო მან სრულმეტრაჟიანი პუბ-
ლიცისტური ნარკვევების სერიის გადაღება. თავდაპირველად
მისი ნამუშევრები მოიცავდა მოგზაურის ჩანახატებს, რომე-
ლიც რეჟისორ-ოპერატორმა გადაიღო საქართველოს ხალხური
ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საზღვარგარეთ გასტროლები-
სას („მსოფლიო ტაშს უკრავს“, 1960) მაგრამ, თანდათან მის

ფილმებში რეპორტაჟის ელემენტები მომძლავრდა. ამა თუ მცვეულის აწმყოს ასახვისას ფილმებში აქტიურად შემოიჭრა. მცვეულის ლენათა განვითარების, ცხოვრების ძვრების ავტორისეულა განმარტება, რაც საშუალებას აძლევდა გ. ასათიანს „ზუსტად გადორეცა ღროის მაჯისცემა. ასე, მაგალითად, სურათმა „მრავალსართულიანი ამერიკა“ (1961) ასახა უკანასკნელ წლებში აშშ-ში მომხდარი საზოგადოებრივი და სოციალური ძვრები, რომელმაც ეს ქვეყანა გასაოცარ კონტრასტებამდე მიიყვანა. ფილმი „მაროკოელთა მიწა“ ახალგაზრდა რესპუბლიკის ჩამოყალიბების დასაწყისზე მოუთხრობდა. ალექირში გ. ასათიანი ალექირელი ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლის ეპიცენტრში აღმოჩნდა. ასე წარმოიშვა მისი „ალექირის დღიური“. გ. ასათიანის ყველა ფილმი პუბლიცისტური ხასიათისაა. სტატიური კადრების უქონლობა, მოულოდნელი რაკურსები, პორტრეტების ემოციურობა, ეხმარება რეჟისორ-ოპერატორს გადმოსცეს თავისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. ასათიანი — რეჟისორისათვის დამახასიათებელი დინამიკური მონტაჟი, უფრო მეტად გამოკვეთს მისი ოპერატორული ხელწერის შთამბეჭდავობას.

გ. ასათიანის დასავლეთ გერმანიაში მოგზაურობის შემდეგ: 1969 წელს გამოვიდა მისი ფილმი „მიხაელისფერი სტომაქი“. არაჩვეულებრივად შთამბეჭდავ დეტალებსა და ფაქტებზე აგებულ ამ ფილმში გ. ასათიანი გვევლინება არა მარტო პუბლიცისტად, არამედ თანამედროვე ნეონაციზმისა და მისი ახლო წინაპრის — ჰიტლერული ფაშიზმის მემკვიდრეობის გულმოდგინე მკვლევარადაც. ტევტონთა ორდენის, ერთი შეხედვით, უწყინარ ტრადიციულ დღესასწაულებში, და სასამართლოს ნახევრად ცარიელ დარბაზებში, სადაც ფორმალუ-

რაღ მიმდინარეობს ყოფილ პოლიტიკურ დამნაშავეთა ცრელი ცესები, გ. ასათიანი ხედავს ფაშიზმის სულისჩამდგმელ პრიმურეთის შისტულ განწყობილებებს.

გ. ასათიანი არაჩვეულებრივი ენერგიის ხელოვანია: თანაშემწესთან — ოპერატორ ო. დეკანოსიძესთან ერთად მან იმოგზაურა მდინარე ამაზონკის აუზის ჯუნგლებში, ქარავნით გადასერა საპარის უდაბნო და მოიარა ჩრდილოეთ ავსტრალიის ძნელმისადგომი რაიონები. ამ კინოექსპედიციაში მოპოვებულ მასალებს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

კინოქრონიკის განყოფილების ორგანიზატორებმა, 30-იან წლებში ქართველ დოკუმენტალისტთა პირველი რაზმის წარმომადგენლებმა — ვ. ვალიშვილმა, შ. ხომერიკმა, შ. ჩაგუნავამ, ირ. კანდელაკმა, ლ. არზუმანოვმა, ა. სემიონოვმა, ა. აჭიბეგაშვილმა — განაგრძეს ნაყოფიერი მუშაობა ახალ სტუდიაში. მათ ფილმებთან ერთად 60-იან წლებში გამოჩნდა ლენტები ახალგაზრდებისა, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამდნენ დოკუმენტურ კინში. 40—50-იანი წლების დოკუმენტური კინოსათვის უჩვეულო იყო კონკრეტული დოკუმენტური მასალის საფუძველზე პოეტური განზოგადებებით აზროვნება. ახალგაზრდა რეჟისორის ო. იოსელიანის ფილმი „საპოვნელა“ — შექმნილი ცნობილ ქართველ მეყვავილეზე მ. მამულაშვილზე — სწორედ პოეტურობით განირჩეოდა. განსაკუთრებული რაკურსით გადაღების მეოხებით, რიტმული მონტაჟით, თხრობის ლირიკული ინტონაციით ო. იოსელიანმა მოახერხა ფილმში ბუნების გაცოცხლება, ამეტყველება. მცხეთელი მეყვავილის ცნობილ ბაღში ყვავილთა თითოეულმა სახეობამ მიიღო სრულყოფილი ემოციური დახასიათება.

რეჟისორი ო. იოსელიანი მუსიკის იუენებს მასალის რიტ-

მული და ემოციური ორგანიზაციისათვის. გამოსახვის ებული და საშუალება მან განვითარა და გააღმავა ოცის მომენტებზე ფილმში — „თუქში“, რომელშიაც ნაჩვენები იყო ფრანგულებისათვის გამოღნობის პროცესი რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში. ცხოვრებისეულ მასალაში ო. იოსელიანმა გამოარჩია ცველაზე მეტად მეტყველი და, ამავე დროს, მაყურებლისათვის ჯერ მოუყირვებელი დეტალები. ამიტომ, ამ ფილმს არაფერი აქვს საერთო პხეადასხვა დროს ამავე სტუდიაში გადაღებულ უამრავ სქემატურ, უფერულ ლენტებთან მეფოლადეების მუშაობის შესახებ.

უკანასკნელ წლებში ახალგაზრდა დოკუმენტალისტთა ნამუშევრებში აღორძინდა ტრადიცია პოეტური მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევისა, რომელმაც 30-იან წლებში სახელი მოუხვეჭა მ. კალატოზიშვილს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით იგრძნობა გ. კანდელაკისა და გ. ჭუბაბრიას ფილმებში.

1967 წელს საქმაოდ უჩვეულო მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევი „გრძელი ღილინი“ გადაიღო საკავშირო კინოინსტიტუტის დიპლომანტმა გ. კანდელაკმა. ფიქრები განვლილ ცხოვრებაზე, რემინისცენციები ხანდაზმული გლეხისა — რომელიც მთელი ცხოვრება მიწას ემსახურა — გადაწყვეტილი პოეტური კინოს პლანში, წარმოიშვა მეტისმეტად ზუსტად, დოკუმენტურად ასახული ყოფის ფონზე.

გ. ჭუბაბრიას „თეთრ თორლვაიში“ ნაჩვენებია გმირული ყოფა ფშაველი მწყემსებისა, რომლებთანაც რეეისორ-ოპერატორმა ზამთრის საძოვრებისაკენ მიმავალი ძნელი ვზა განვლო. ეს ფილმი საქართველოს განუმეორებელ ბუნებასა და მოკრძალებულ, გაბედულ მთიელ მშრომელებს უმღერდა.

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტუ-

რი ფილმების სტუდია ყოველწლიურად უშვებს 15 დოკუმენტურ, 10 სამეცნიერო-პოპულარულ და 10 სასწავლო კულტურულ კინოფილმებს — „საბჭოთა საქართველო“, „პიონერი“, „სპორტი“ — რომელშიაც ასახულია რესპუბლიკის მიღწევები სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებებისა და სპორტის განვითარების საქმეში.

ფილმები — სჯანი. მ. ელიოზიშვილი — „თეთრი ჩარავანი“, „ღიღი მუვანი ველი“.

ფილმები ღიღ სამამულო ორგანიზაციის მამა“

„ჯარისძაცის მამა“

60-იანი წლების დასაწყისში, იმ მრავალი პრობლემიდან, რომელიც ქართველ კინემატოგრაფისტებს აღელვებდა, თანდათან, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა თანამედროვე ქართული სოფლის თემას. მხატვრები ეძებდნენ ინდივიდუალურ კოლორიტულ ხასიათებს, მათ დიდი ინტერესი გაეღვიძათ ადამიანებისადმი, რომელთა ცხოვრება მჭიდროდ, განუყრელად იყო დაკავშირებული მიწის მაღლთან. ეს ინტერესი გაპირობებული იყო ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტების მოქალაქეობრივი პოზიციით, მათი სურვილით, გადაელოთ ფილმი ნამდვილ და არა ეფუძნებულ ცხოვრებაზე და გასაგებიცაა, რომ სოფელი თავისი განვითარების სრული წინა-აღმდეგობებით არ შეიძლებოდა დარჩენილიყო ხელოვანთა ყურადღების მიღმა. რატომ სუსტდება ადამიანის კავშირი მშობლიურ კერასთან? რით აიხსნება ის ფაქტი, რომ სოფლის ახალგაზრდობა დღეს იოლად ტოვებს მშობლიურ აღგილებს და ქალაქში მიდის საცხოვრებლად? ვინ იცხოვრებს და იმუშავებს წინაპართა მიწაზე, ვინ მოუვლის ვაზს, ვინ დაამუშავებს მიწას, ან ვინ გახელნის ცხენებს? ეს კითხვები აუცილებელი იყო და მათ დამატებითი მნიშვნელობა მიენიჭა თანამედროვე ქართული სოფლის თემას.

ლად გაჩნდება, როცა საუბარი ჩამოვარდება თანამედროვე /
სოფლის ცხოვრებაში მიმდინარე სულიერი და მატერიალურობაზე
გარდაქმნების შესახებ.

1964 წლის დასაწყისში ეკრანებზე გამოვიდა ი. თარბასა და
ა. ვიტენზონის სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმი „ვინ
შეკაზმავს ცხენს?“ ფილმი დადგა რეჟისორმა შ. მანაგაძეს.
სამწუხაობდ, ეს ნაწარმოები სწორხაზოვანი და საკმაოდ ზე-
დაპირული გამოვიდა.

ახალგაზრდა ნიჭიერი დრამატურგის მ. ელიოზიშვილის კი-
ნემატოგრაფიაში შოსვლასთან დაკავშირებით თანამედროვე
ქართული სოფლის თემა ახლებურად აყლერდა. თუმცა ახალ-
გაზრდა სცენარისტისათვის არცთუ ისე იოლი იყო ერთბაშად
გადგომოდა დაკანონებულ შტამპებს.

მ. ელიოზიშვილის სცენარის — „თეთრი ქარავნის“ მიხედ-
ვით რეჟისორებმა ელდარ შენგელაიამ და თამაზ მელიავამ
1964 წელს გადაიღეს ფილმი. „თეთრი ქარავნის“ სიუჟეტი,
ერთი შეხედვით, რამდენადმე სწორხაზოვანია, იქნებ, საკმაოდ
დამრიგებლურიც. მოხუცი მწყემსი მარტია (ს. ბალაშვილი) და
მისი ორი შვილი — გელა (ი. კახიანი) და ვაჟია (გ. კიკნაძე);
ცხვრის ფარასთან ერთად შორეულ საძოვრებზე მიღიან გაზაფ-
ხულამდე. მოულოდნელად, გელას, სხვა მხარეების ნახვის
სურვილით გამოწვეული სევდა დაეუფლება, სევდა, რომელ-
საც მეთევზე ქალიშვილის მარიას (ა. შენგელაიას) სიყვარულიც
ვერ ჩაახშობს. გელას მობეზრდა ერთფეროვნება, მობეზრდა
ზამთრის საძოვრებისაკენ მიმავალი უხალისო გზა, მობეზრდა
იმდაგვარი ცხოვრება. მან მიატოვა მამა, მიატავა საყვარელი
ქალიშვილი და ქალაქში წასლა გადაწყვიტა. გზად გელამ თა-
ვისი ცხენი გაყიდა. უეცრად ამოვარდნილმა ქარიშხალმა მას

მოაგონა მისიანები. გელა დასახმარებლად მიბრუნდა მოძმეული თან, მაგრამ დაიგვიანა. ცხვრის ფარის გადარჩენისას დაკლუტებულ მარტია. მწყემსები ერიდებიან გელას, რადგანაც მოღალაზედ და განდგომილად მიაჩნიათ იგი.

ამგვარად, სცენარის სიუჟეტში, იმ საშუალებებში, რომლითაც სარგებლობს მ. ელიოზიშვილი თავისი აზრის გამოსახურავად, არის ერთგვარი ხელოვნური გამიზნულობა — ქარიშხალი, სტიქიური უბედურება — მისაგებელი განდგომისათვის. საბედნიეროდ, ფილმმა, ისევე როგორც სცენარმა, თავის სიუჟეტს გადააბიჯა. მასში მეტად დაწვრილებითაა გაშუქებული გმირების კავშირი გარემოსთან. სანამ დახატავდნენ, როგორ და რატომ ირლვევა ეს კავშირი, ავტორები მეტად დამაჯერებლად, დაწვრილებით აჩენებენ პიროვნებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას.

უბრალო ადამიანების ხასიათები, რომელთაგან თითოეული თავისებურად საინტერესო და ორმად ინდივიდუალურია — მიამიტი ბლვირა, მელანქოლიური ბალთა, ფიქრიანი მარტია, ცხოვრების ფართო შარაგზაზე ახლად ფეხადგმული ვაჟია — ადამიანის ჭეშმარიტ ღირსებებზე, ადამიანის საუკეთესო თვისებების უკვდავებაზე მეტყველებენ. ჩვენ ვრწმუნდებით, რარიგ მაგარი და მშვენიერია ფესვები, რომლებიც გმირებს მიწასთან, ხალხთან, შრომასთან აკავშირებს. ეს ხაზა ფილმში უზადოა. მაგრამ ამ სურათში არის სხვა თემაც. რომელზეც ფიქრობენ ავტორები. ამ თემას ასახავს გელა — მეამბოხე განდგომილი. რაღაცაში ის მართალია („ნუთუ, მთელს ცხოვრება ამ ერთი გზით უნდა ვიარო?“), მაგრამ გელა გულქვა და ეგოისტია. ამიტომაც დაისაჭა იგი.

გელაც გრძნობს თავის დანაშაულს. „მხოლოდ ერთხელ გი-



ლალატე, გზაო, და შენ, შური იძიე ჩემზე“, — ამბობს კართველი ფინალში. ავტორებმა გმირი კი აიძულეს — ერწმუნებინათ ასეთი დანაშაული, მაგრამ მაყურებელი ვერ დააჯერეს: ნუთუ ასეთი მიუტევებელი დანაშაულია ოდესლაც ამორჩეული ცხოვრების გზისა და პროფესიის შეცვლა... ნუთუ არა აქვს უფლება ადამიანს დამოუკიდებლად აირჩიოს თავისი ცხოვრების გზა?

„თეთრი ქარავანი“ — ნიჭიერ შემოქმედთა პირშოა. მასში იგრძნობა ქართული კინემატოგრაფის საუკეთესო ტრადიციები. ზუსტად, დამაჯერებლად აღწერილი ყოფა-ცხოვრება, ავტორისეული პოეტური დამოკიდებულებით დატვირთული (სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ თ. აბულაძესა და რ. ჩხეიძეს „მაგდანას ლურჯაში“), ამ ფილმში აყვანილია: ჰეშმარიტ სრულყოფამდე. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორებმა მოინდომეს მეტისმეტად ზუსტი პასუხი გაეცათ კითხვაზე, არ გაითვალისწინეს რა ამ პრობლემის განსაკუთრებული სირთულე. ფილმი გამოვიდა ორჭოფული. ყველაფერი, რაც დაკავშირებულია პრობლემის ჩამოყალიბებასთან და ცხოვრებისეული დამაჯერებლობით ამ პრობლემის ეკრანზე გაშიფრასთან, — კარგი გამოვიდა. მარცხი მაშინ განიცადეს ავტორებმა, როცა დაპირეს ამ პრობლემის ახსნის ზუსტი რეცეპტის მიწოდება მაყურებლისათვის, როცა დრამის მონაწილენი მართლებად და მტყუანებად დაჰყვეს.

ასეთივე ხარვეზები ახასიათებს ო. იოსელიანის სცენარის მიხედვით რეჟისორ ო. აბესაძის მიერ გადაღებულ ფილმს — „მალე გაზაფხული მოვა“. ფილმი თითქოს იყოფა ორ ნაწილად. პირველი: დამაჯერებლად და ზუსტადაა მოთხოვნილი გლეხური ტრადიციების მემკვიდრეობითობაზე, პატიოსნებასა

და ოჯახზე — ქართველი ხალხის ერთ-ერთ ურუკევ ეროვნული და სოციალურ ნიშანთვისებაზე. და მეორე: თავისთავალი ქართველი ტადა მიგნებული კონფლიქტი ქალაქსა და სოფელს შორის, მაგრამ შემდგომი შეფასებითი კატეგორიები არასწორია. ორ-კოფულობის შეგრძნებას ის ფაქტიც ამასტრებს, რომ მოხუცებს ფილმში ასახიერებენ შესანიშნავი მსახიობები — ს. ზაქარიაძე და ს. თაყაიშვილი. ახალგაზრდა გმირები ფილმში აღმოჩნდნენ გაცილებით არახელსაყრელ მდგომარეობაში, დრამატურგიული მასალის მიზეზითაც და თავიანთი აქტიორული შესაძლებლობის გამოც.

თანამედროვე ქართული სოფლის ცხოვრებამ, მისმა პრობლემებმა და წინააღმდეგობებმა მიიქცია ახსლგაზრდა რეჟისორის — მერაბ კოკოჩაშვილის ყურადღებაც. მ. ჯავახიშვილის მოთხოვნის „მუსუსის“ მიხედვით მ. კოკოჩაშვილმა გადაიღო მოკლემეტრავიანი ფილმი „მიხა“ (1965) და მაშინვე გამოიჩინა: თავი, როგორც გონიერმა და სოფლელი ხალხის ცხოვრების თვითმყოფობის ღრმად შემგრძნობმა რეჟისორმა. მისი მომდევნო ნუმუშევარია ფილმი „დიდი მწვანე ველი“. ამ ფილმის სცენარისტს — მერაბ ელიოზიშვილს, ამჯერად, ვერ დავაბრალებთ ცალკეული სიუჟეტური ხაზების ხელოვნურ გამიზნულებას, რამაც ორჭოფული გახადა მისი აღრინდელი ნაწარმოები — „თეთრი ქარავანი“. „დიდ მწვანე ველში“ არ არის ძალდატანება თხრობაში და არც კომპრომისები. იქნებ, მასში ურთულესი საკითხის უეჭველად ახსნის ცდაც არ არის. მაგრამ, ეს ფაქტი მეტყველებს ავტორის წინდახედულებაზე და არა იმაზე, რომ მას არ სურს ახსნას წამოჭრილი პრობლემა. მთავარი გმირის — შთამომავლობითი მწყემსის — სოსანას (დ. აბაშიძე) ხასიათი — გვაგონებს ვაუ-ფშაველს გმირების

საოცრად პოეტურ სახეებს. განუყრელი, სისხლხორციული
კავშირი ბუნებასთან შობს ფშაველას მინდიასა და სულიერი
მსგავს ხალხურ ხასიათებს. ამდაგვარ ხასიათებში პირველ ყოფილ
ფილი სახით ბუდობს სიკეთისა და ბოროტების, სილამაზისა და
სიმახინჯის, სიყვარულისა და სიძულვილის მარადიული მცნე-
ბები. ეს პიროვნებები აუმღვრეველი წმინდა სულის შეურყვ-
ნელი ადამიანებია, რომელთა ზნეობა და ადამიანური პასუხის-
მგებლობა უტყუარ ალლოზეა დაფუძნებული. მართალია თუ
არა სოსანა იმ ხანვრძლივ, ჭიუტ დავაში, რომელსაც იგი უჩუმ-
რად აწარმოებს ქალაქთან, დიდი მწვანე ველის (სადაც სოსანას
წინაპრები ცხვრის ფარებს მწყემსავდნენ) დამპყრობ ტექნი-
კასთან? ფილმის ავტორები დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ
თანამედროვე ადამიანისათვის შეუძლებელია ცივილიზაციისა-
გან განდგომა. ფილმში არის სხვა გმირიც — სოსანას ცოლი.
მას საჯუთარი მრწამსი გააჩნია. ეს მრწამსი, ბოლოს და ბოლოს,
გააშორებს ქალს საყვარელ მეუღლესთან. რა თქმა უნდა,
სოსანა არაა მართალი, როცა უხეშად ცდილობს თავის ცოლსა
და გარე სამყაროს შორის ხელოვნური ზღუდის აღმართვას.
გაუმართლებელია, აგრეთვე, მისი უაზრო გაბოროტება გეო-
ლოგებისადმი, რომლებიც საძოვრების მიდამოებში ნავთობის
მოსაპოვებლად მიწას ბურლავენ. მაგრამ, სოსანას სულიერი
სამყარო გაცილებით მდიდარია, ვიდრე ორი სამყაროს მიჯნაზე
მდგომი მისი ცოლისა.

ავტორები არ ცდილობენ სოსანას გამართლებას. მაგრამ,
ისინი აიძულებენ მაყურებლებს, ჟეიყვარონ სოსანა მისი ხა-
სიათის არაჩვეულებრივი სიმტკიცისათვის. ხასიათის სიმტკი-
ცე — აი, ალბათ, ფილმის ერთადერთი აზრობრივი აქცენტი.
სოსანას ზნეობრივი და სულიერი ძალების სისრულე, შეუბლა-

ლაობა ნაჩვენებია პოეტურ ეპიზოდებში შვილთან, რომელიც
სოსანამ ბუნების მაღლა და სიცოცხლის ეშნს აზიარებული
საზეიმო რიტუალები, ამაღელვებელია თავის უშუალობით და
დიდებულია გულწრფელობისა და გრძნობების სისრულით.

ამრიგად, სოფლისა და მის მკვიდრთა პრობლემა იქცა ერთ-
ერთ ცენტრალურ პრობლემად ეროვნულ კინოში. ამ თემაზე
შექმნილი ნაწარმოებები, რა თქმა უნდა, არატოლფასოვანია.
გაცილებით მნიშვნელოვანია სხვა რამ: ახალგაზრდა ოსტატე-
ბის ეს სერიოზული ნამუშევრები მტკიცედ აღუდგა წინ სოფ-
ლის თემაზე ეგზოტიკური ფილმების დადგმის რესტავრაციის
კალეკულ ცდებს.

1968 წელს გამოვიდა ქართული კინოსათვის საქმაოდ უჩვე-
ულო მასალაზე აგებული ფილმი, რომელიც — მიუხედავად
სერიოზული ნაკლოვანებებისა — ჩვენს კინოხელოვნებაში
მნიშვნელოვან მოვლენად იქცა და გაამდიდრა მისი პრობლე-
მატიკა.

ლანა ღოლობერიძის ფილმი „ფერისცვალება“ — რომლის
სცენარი რეჟისორმა ნ. ხატისკაცთან ერთად დაწერა — ასახავს
ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრებას. ამ
წრეში ავტორები აყენებდნენ ჩვენს ირგვლივ მიმდინარე ყვე-
ლა მოვლენისადმი პირადული პასუხისმგებლობის პრობ-
ლემას. მსჯელობდნენ იმ დამაფიქრებელ მოვლენაზე, როცა
ადამიანის მრწამსი საგრძნობლად განსხვავდება მისივე პრაქ-
ტიკული მოქმედებისაგან, ხოლო, რასაც ქადაგებს ხელოვანი
თავისი შემოქმედებით, ყოველთვის არ წარმოადგენს მისი
ცხოვრების პროგრამას. თავდაპირველი ჩანაფიქრით ნაწარმო-
ები უნდა ყოფილიყო ფილმი — მსჯელობა, სრულიად თავი-
სუფალი ყოველგვარი სქემებისაგან. მაგრამ, სწორედ ეს თა-

ვისუფლება დაკულდათ ავტორებს. ჩანაფიქრის განხორციელების შედეგად გამოტანილი მართებული დასკვნები მეტაზოგად ტად ნათლად ჩანს და ხელოვნურადაა შეკოწიწებული. მიუხედავიდან ამისა, „ფერისცვალებამ“ აღსანიშნავი კვალი დატოვა ქართული კინოს ისტორიაში — ეროვნულ კინოხელოვნებაში მან გზა გაუკავა ახალ თემატიკას.

საწყის ფილოსოფიურ პრობლემამდე ჩაწვდომის სურვილით, რთული კინემატოგრაფიული აზროვნებით გამოირჩევა რეჟისორ თ. აბულაძის ფილმი „ვედრება“ — გადაღებული ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მიხედვით. ფილმი ორი ნოველისგან შედგება, რომელთაც აკავშირებს ავტორისეული ფიქრები ცხოვრების მარადიულ საწყისებზე: ბოროტებასა და სიკეთეზე. ეს ფიქრები ეყრდნობა დიდი ქართველი პუმანისტი პოეტის წერილებს და მათვეის თავისებური ფორმაა მოძებნილი. თუ პოემები „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“, ნოველის ფორმითაა გადაწყვეტილი, მათ შემაკავშირებელ ინტერმედიებში ფილმის დამდგმელები სუბიექტურ, ავტორისეულ თხრობას მიმართავენ, რომელშიც იკვლევენ ფარულ ქვეცნობიერ პროცესებს და ამიტომ დასაშვებად მიაჩნიათ ქვეული ცხოვრებისეული კავშირების დარღვევა.

ფილმის გარშემო ფართო დისკუსია გაიმართა პრესაში. კერძოდ, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მთელი რიგი სტატია. გაცხოველებული კამათის საგანს ფილმის სტილისტიკა და მისი ფილოსოფია შეადგენდა. კრიტიკოსთა თითქმის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა გმირების ხასიათის. ფშავის ბუნების გადმოცემამ, ამ

ხასიათებრი ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიის განხორციელების
მაგრამ კრიტიკისთა უმრავლესობა აღსდგა ინტერმედიეტების
სტილისტიკის წინააღმდეგ, იგი არაბუნებრივად და არარეალისტურად
ნულად მიიჩნიეს პოეტის შემოქმედებისთვის.

ასე თუ ისე, ფილმი თვალსაჩინო მოვლენად იქცა ჩვენა
კინოსათვის და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ნიჭიერი
ხელოვანის თენგიზ აბულაძის შემოქმედებითს გზაზე.

ფილმები დიდ სამამულო ომზე საქართველოში მხოლოდ
60-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა. 1960 წელს შეიქმნა კინო-
სტუდია „ქართული-ფილმისა“ და ბრატისლავის კინოსტუდია
„კოლიბას“ ერთობლივი ნაწარმოები „შეწყვეტილი სიმღერა“. სკენარის ავტორები იყვნენ ცნობილი ქართველი პროზაიკოსი
კ. ლორთქიფანიძე, რეჟისორი ნ. სანიშვილი და სლოვაკელი
მწერალი პ. მარენჩინი. დადგმა განახორციელა რეჟისორმა ნი-
კოლოზ სანიშვილმა. ფილმს საუკუნვლად დაედო ქართველი და
სლოვაკელი ახალგაზრდების სიყვარულის ჰეშმარიტი ისტორია.
ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ბრძოლის ველზე.
სლოვაკელმა მსახიობმა იულიუს პანტიკმა და ქართველმა მსა-
ხიობმა ლია ელიავამ შექმნეს ახალგაზრდა მებრძოლების მიმ-
ზიდველი სახეები, თავისი ხალხის ზნეობრივი სისპერაჟისა და
მოქალაქეობრივი სიმამაცის ამსახველი პერსონაჟები. ხალხთა
მეგობრობის თემა ორგანულად ქრწყმის, სინამდვილეს და და-
მაჯერებლად და გონივრულადაა გადაწყვეტილი. გვერა, რომ
ურყევია ქართველი გურამის (ო. კობერიძე), მისი დის ელიკს
(ლ. ელიავა) და სლოვაკი მიშოს მეგობრობა. ეს ხომ საერთო
საქმისთვის დაღვრილი სისხლით მოპოვებული მეგობრობაა.
მთელი სურათის განმავლობაში მაყურებელი მღელვარებით
ადევნებს თვალყურს მოქმედების განვითარებას. ნ. სანიშვი-

ლის ფილმია „შეწყვეტილმა სიმღერამ“ ფაქტიურად სრულ ძველი ჩაუყარა ომის თემის სერიოზულ დაშუშავებას ქართულ კინოს მხატვრულ კინოხელოვნებაში.

ომის მასალაზე გადაღებული ფილმების წამყვანი ტენდენცია განისაზღვრა სამი წლის შემდეგ, როდესაც ეკრანებზე გამოვიდა თენგიზ აბულაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და ლანა ლოლობერიძის „მე ვხედავ მზეს“. ორივე ფილმი გადაღებულია ახალგაზრდა პროზაიკოსის ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების მოთხრობების მიხედვით.

აბულაძისთვის სურათი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მის წინამორბედ ფილმებში დაწყებული შემოქმედებითი ძიების ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს.

ფილმისათვის სცენარი დაწერეს ნოდარ დუმბაძემ და თენგიზ აბულაძემ. ფილმის მოქმედება პატარა ქართულ სოფელში მიმდინარეობს. თითქოს არაფერი არღვევს ფრონტიდან მოშორებული სოფლის სიმყუდროვესა და კეთილდღეობას, მაგრამ გარეგნული სიმშვიდის მიღმა სოფელში იგრძნობა ზურგის დაძაბული მაჯისცემა. ავტორები დაწვრილებით მოგვითხრობენ პატარა ზურიკოსა და მისი მეგობრების ილიკოსა და ილარიონის ცხოვრებაზე. ჩვენ ვიგებთ, რომ ზურიკო ობოლია, რომ მას ჰყავდა საყვარელი ძალი მურადა, რომელიც შეზარხოშებულ მონადირეებს შემთხვევით შემოაკვდათ უთავბოლო ნადირობისას. ჩვენ ვიცინთ ორი მოხუცის — ილიკოსა და ილარიონის გაუთავებელ კინკლაობაზე, რომელთაც, სინამდვილეში, უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ. ვეცნობით გულკეთილ, ბუზღუნა ბებიას. ასეთი ეპიზოდები — ნოველები საერთო ტონალობას აძლევენ ფილმს. გმირი მიაბიჭებს ცხოვრების გზაზე, მდიდრდება საუცხოო ნათელი რწმენით,

რომ ადამიანები კეთილები არიან. ფილმის დასასრულს ჩვენ
კვლავ უბრუნდება მშობლიურ სოფელს, რათა იცხოვტოს ისე,
როვორც ამას მამა-პაპათა ტრადიცია უკარნახებს. პილატის

საოცრად ცოტას და ძუნწად მოგვითხრობენ ავტორები ან
ფილმში ტრაგიკულზე. ტრაგიკულსა და მწუხარებას კი რა
გამოლევდა ომის მძიმე წლებში: ცარიელდება სოფელი, მისი
ყველა მამაკაცი ფრონტზე მიღის.. სოფელში მოდის სამგლო-
ვიარო ცნობები... იღუპება ილარიონის ვაჟი... და იქნებ, სწო-
რედ ამ ლავონიზმის წყალობით უდიდეს მნიშვნელობას იძენს
ყოველივე ეს. სასაცილო სცენა სკოლაში, სადაც გათოშილი
მასწავლებელი უშედეგოდ ცდილობს დააწყნაროს ბავშვები და
ქიმიის გაევეთილი აუხსნას, ემიჯნება ილარიონის ვაჟის დაღუპ-
ვის ამბავს... თითქოს, იმდენ ფილმშია გადაღებული ფრონტზე
გამგზავრების სცენა, რომ აბულაძეს 1963 წელს ადვილად
შეეძლო უნებურად გაემეორებინა ვინმეს მიერ უკვე მიგნებუ-
ლი. მაგრამ რეასიონმა და ოპერატორმა გ. კალატოზიშვილმა
ეს ეპიზოდი სრულიად თავისებურად, ფილმის საერთო ტონა-
ლობაში გადაწყვიტეს.

... წყნარად და ჩვეულებრივად იწყება სცენა. მტვრიან
შარაზე დგანან ზურგჩანთიანი ბიჭები, სატვირთო ავტომანქა-
ნები. დაბნეული გამცილებლები. და სოფლის ორკესტრი...
მაგრამ, აი დაიძრა მანქანები. ახალწვეული ბიჭები მარჯვედ
ხტებიან უკვე დაძრული მანქანების ძარაში. გზაზე კი მოჩანს
ორკესტრის მიტოვებული საკრავები. კიდევ რამდენიმე წამს
ხალხი მისდევს მანქანებს. ისმის უთავბოლო, გამოსამშვიდო-
ბებელი შეძახილები. ბიჭები ხელს უქნევენ დარჩენილებს და
უცებ ყველაფერი წყდება. მზით განათებულ, მტვრიან შარაზე
გაქვავებულან შავებში ჩატმული მოხუცები, ბავშვები. აპა-

რატი ნელა გადადის სოფლელების დამწუხხებულ, ქართველი რულ სახიდან სახეზე. შემდეგ ასევე აუჩქარებლად „შეავავავალი ლიერებს“ მიწაზე ნაჩქარევად დაყრილ საკრავებსა და ნოტებს კადრის მიღმა კი ისმის სიმღერა „აღსდეგ ქვეყანავ“... და მაშინ შეიგრძნობ ხალხის მწუხარების მთელ სიღრმეს, მისი სიმტკიცისა და ამტანობის უსაზღვრო ძალას.

სურათის სტილი, მისი უანრობრივი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სასაცილო და ტრაგიკული, მთავარი და უმნიშვნელო აქ გვერდი-გვერდაა მოცემული. და ყველაფერი ერთად აღებული არ არღვევს მის ჰარმონიას. სადა და მარტივია ზურიკოსა და მისი მეგობრების ცხოვრების ისტორია. აქ არ ხდება არაფერი ღირსშესანიშნავი. მაგრამ საოცრად ცოცხალი და ზუსტი ჩანახატები მთელ ამ ისტორიას მნიშვნელობას და სიცოცხლის ხალისს ანიჭებს. გადის წლები. დამთავრდა ომი. გაიარა ზურიკოს ყრმობამ. ფილმში ნაჩენებია სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით გამართული ზეიმი. ორკესტრის იგივე საკრავებს — დაჭირებულ ვალტორნებს, თეთრებსა და დრომოვმულ დოლს ახლა უკვე ომის წლებში წამოზრდილი ბიჭების ხელში ვხედავთ. ასეთი დეტალებით ხაზგასმულია თაობათა მემკვიდრეობითობის, ხალხის შეუდრეველი სულის მოტივი, რომელიც თან სდევს მთელ ფილმს.

ლანა ღოლობერიძის ფილმის „მე ვხედავ მზეს“ გმირი — სოსო გურიის პატარა სოფლის მკვიდრია. სოსოც ობოლია (ზურიკოს ბებია ზრდის, სოსოს კი — მამიდა). ორივე გმირის ხასიათების ჩამოყალიბება დიდი სამამულო ომის წლებში ხდება. ორივე ბიჭი ცხოვრების ერთდაიგივე პერიპეტიებს გამოივლის — ობლობას, ომს, ახლობლების დაკარგვასა და ადრიან სიყვარულს. უნდა აღინიშნოს, რომ მოოზრობისა და

სცენარის ავტორმა — ნ. დუმბაძემ და ლანა ლოლობერიშვილითავი ვერ დააღწიეს განმეორებას. შესამჩნევია ეპიზოდებში: სცენა სკოლაში. გლეხების მიერ სამხედრო ცნობების გარჩევა და ა. შ. მაგრამ სურათში „მე ვხედავ მზეს“ უფრო ფართოდაა ნაჩვენები სახალხო უბედურება, ცალკეული ადამიანების ტრაგედია.

ამ ფილმის დრამატურგია არ არის იმდენად გამართული და ჰარმონიული, როგორც ნოდარ დუმბაძის წინა სცენარი. ახლის ელემენტები აქ ერწყმის ტრადიციულ სიუჟეტურ გადასვლებსა და გადაწყვეტილებებს. ბუნებრივია, რომ ამან ფილმზეც მოახდინა გავლენა. გარდა ამისა, აქ ვერ ნახავთ ისეთ მნიშვნელოვან ხასიათს, როგორიცაა ბებია — სესილია თაყაიშვილის შესრულებით, არ არის ესოდენ შთამბეჭდავი აქტიორული ნამუშევრები. მაგრამ, მთლიანობაში, სურათი „მე ვხედავ მზეს“ განაგრძობს იმ ტენდენციას, რომელიც თ. აბულაძის ფილმშია ჩასახული. მის ნორჩ გმირებს სოსოსა და ხატიას შესისხლხორცებული აქვთ ყოველივე საუკეთესო იმ გარემოდან, სადაც ისინი ცხოვრობენ — ეს არის უანგარო სიკეთე და სინდისი, კაცომოყვარეობა და მეგობრობა. ისინი მარადიულ თემას ასახავენ: ყოველი პატიოსანი ადამიანის ბედის განუყრელ კავშირს მოელ კაცობრიობასთან.

ამ ტენდენციასთან, ამ კეთილშობილურ თემასთან მჭიდრო კავშირშია გიორგი მახარაშვილის სახე რ. ჩხეიძის ფილმში „ჯარისკაცის მამა“, რომელიც დაიდგა 1964 წელს ს. ელენტის სცენარის მიხედვით. სერგო ზაქარიაძის მიერ შექმნილი ჯარისკაცის მამის, მოხუცი ჯარისკაცის მახარაშვილის სახე ერთერთი ყველაზე ბრწყინვალე სახეა ქართულ კინემატოგრაფიაში. რეჟისორ რ. ჩხეიძისთვის ფილმი „ჯარისკაცის მამა“ დიდი

წინწადგმული ნაბიჭი იყო ფილმების „განძისა“ და „ზღვის ბილიკის“ წარუმატებლობის შემდეგ. გიორგი მახარაშვილი ეროვნული კინემატოგრაფიისთვის ავტორისეული აქტიორული ნამუშევრის იშვიათი მაგალითია. ხანში შესული კახელი გლეხი მიატოვებს მშობლიურ სოფელს, ვენახსა და მიდის ომში დაჭრილი შვილის საძებნელად. იგი მოხვდება ფრონტის მოწინავე ხაზე და თვითონაც ჩაიცამს მებრძოლის მაზარას.

დიდი თავშეკავებით, ზედმეტი უესტისა და მიმიკის გარეშე ძერწავს სერგო ზაქარიაძე ბუზლუნა, ჭიუტი გლეხის სახეს. იგი სრულიად შეუფერებელია ომისთვის და ამით იწვევს ღია მილს. გიორგი მახარაშვილი მიწის შვილია, მისი ცხოვრება მიწასთან არის დაკავშირებული, იგი თანამებრძოლებთან მიიტანს ცხოვრების უსაზღვრო სიყვარულს. მას შესისხლხორცებული აქვს ადამიანის მაღლიანი მარჯვენის პატივისცემა. იგი ფრონტზეც გლეხ-კაცად, მშრომელად, შემოქმედად რჩება. მოვიგონოთ ეპიზოდი ვენახში—გერმანიის მიწაზე ახალგაზრდა ტანკისტი თავისი მანქანით თელავს ვაზს — რომელიც შეუდარებლად შეასრულა ზაქარიაძემ.

ადამიანის შრომის ნაყოფი, ვის მიწაზეც არ უნდა იყო; ის აღმოცენებული, წმიდათაწმიდა, ხელშეუხებელია ქართველი გლეხისთვის. მახარაშვილის ტემპერამენტიანი პროტესტი შეარცვენს ტანკისტს და უკან დაახევინებს.

სერგო ზაქარიაძის თამაშის მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მან ზედმიწევნით, კონკრეტულ ქართულ მასალაზე შეძლო შეექმნა საერთო საკაცობრიო მნიშვნელობის ხასიათი, ყველასთვის ახლობელი და ამაღლელვებელი. სერგო ზაქარიაძის ნამუშევარმა ღირსეული შეფასება დაიმსახურა, ივი აღინიშნა ჩვენი მთავრობის და ხალხის უმაღლესი ჯილდო-

თი — ლენინური პრემიით, ხოლო მოსკოვის IV საერთაშორისო ფესტივალზე მსახიობს მიენიჭა პრიზი მამაკაცის უკანასკნელის საუკეთესო შესრულებისათვის.

1968 წელს რ. ჩხეიძემ, კვლავ სცენარისტ სულივა ქლენტ-თან ერთად, გადაიღო ფილმი „ლიმილის პიჭები“. იგი დაუბრუნდა მასალას, რომლითაც თავისი შეძოქმედებითი გზა დაიწყო 40-იანი წლების ახალგაზრდა თაობის თემას. ამ თაობას ეკუთვნიან თვით ფილმის ავტორებიც, მაგრამ „ლიმილის პიჭები“ თავისი კონცეფციით მეტად უახლოვდება „ჯარისკაცის მამას“. იმიტომ რომ ფილმის ნორჩი გმირების ბედი, რომლებიც სკოლის მეტებიდან მოხვდნენ ომის ქარცეცხლში, ასევე მოხუცი გლეხის, მახარაშვილის ბედი მაყურებელს უაღვილებს იმ ზნეობრივი ძალის გაგებას, ურომლისოდაც ვერ გაუძლებდა საბჭოთა ხალხი ამ მკაცრ გამოცდას. რ. ჩხეიძემ და ს. ქლენტმა შექმნეს კინოეპოქეა შინმოუსვლელებზე. მათზე, ვინც სამუდამოდ ახალგაზრდა დარჩა. ფილმი გადაღებულია მაღალ პროფესიულ დონეზე. იგი გამოირჩევა ახალგაზრდა მსახიობთა ხმაშეწყობილი ანსამბლით, რომელიც რეჟისორზე მოსწავლეებისაგან და სტუდენტებისაგან შეადგინა.

დიდ სამამულო ომში ხალხის მაღალი ზნეობრივი ძალისა და ერთსულოვნების თემის ლირიკული გადაწყვეტით გამოვიდა 1968 წელს ახალგაზრდა რეჟისორი ნ. მჭედლიძე. სცენარისტ მ. ელიოზიშვილთან ერთად მან შექმნა ფილმი „ბებიები და შვილიშვილები“. ეს ლენტი თავისი ქლერადობით განაგრძობს თემას. წამოწყებულს ფილმებში „მე, ბებია, ილიკი და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“. ფრონტიდან მოშორებულ ღრმა ზურგის დაცარიელებულ სოფლებში დარჩენილმა მოზურებმა და ბავშვებმა გული არ გაიტეხეს. ცხოვრება ჩვეულა-



კალაპოტით მიდიოდა. უმამებოდ დარჩენილი შვილები იზო-
დებოდნენ პატიოსნები, კეთილები, იმიტომ რომ სოჭულები
ცოცხლობდა ტრადიცია და ადამიანური სითბო მოხუცების
სახით, რომელთაც ზურგში თავის მხრებზე გადაიტანეს ომის
შლების მთელი სიმძიმე. ოპერატორული ნამუშევრის ზოგი-
ერთი ფრანგმენტულობისა და უზუსტობის მიუხედავად, ფილ-
მი გულთბილი, კეთილი გამოვიდა. სურათში კოლორიტულად
გამოსჭვივის სოფლური ყოფის ხატოვანი დეტალები.

სრულიად სხვა მასშტაბშია გადაწყვეტილი რეჟისორ შ. მა-
ნაგაძის კინოდრამა „ჯვარცმული კუნძული“, გადაღებული
რ. თაბუკაშვილის სცენარის მიხედვით.

ფილმს საფუძვლად დაედო დოკუმენტური მასალა — ქარ-
თველ ტყვეთა აჯანყება პოლანდიის კუნძულ ტექსელზე 1945
წელს. ფილმის მოქმედება დინამიკურად და მძაფრად ვითარ-
დება. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ახალგაზრდა მეამბოხეთა
სიკვდილით დასჭის სცენები, როდესაც კუნძულის ხანშიშე-
სული მცხოვრებლები გადაწყვეტენ საკუთარი სიცოცხლის ფა-
სად გადაარჩინონ ჭაბუკი ტყვეები და მათ მაგივრად ადიან
ეშაფოტზე. ფილმის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მისშა
იდეამ ვერ ნახა საჭირო გამოსახვა ქართველ ტყვეთა ცალკეულ
ხასიათებში. მათ არ მიიღეს ამომწურავი ინდივიდუალური და-
ხასიათებები.

- სამოცდან ფლების პომიდია. გ. შენგელაია,
 ო. იოსელიანი და 60-იანი ფლების პინოს
 ანალიზური ტენდენცია.
 გ. კოგახიძის პოეტური პინერატოზრავი

ქართული კინოს ტრადიციული უანრის — კომედიის ყველაზე უფრო საინტერესო გამოვლენას სამოცდანი წლების მეორე ნახევარში უკავშირებენ ახალგაზრდა დრამატურგის რეზო გაბრიაძის სახელს. მხატვრული ხედვის თავისებურება, სხარტი და ზუსტი კომედიური ხასიათები და, რაც მთავარია, გაბეჭდული, მკვეთრი, მოულოდნელი სიტუაციები ახასიათებს ამ არაჩვეულებრივად ნიჭიერი ხელოვანის შემოქმედებას. მან მაგალითად, ასეთი ცხოვრებისეული სიტუაცია გამოიძებნა: აღამიანი, იძულებით დანიშნული ფეხბურთის მოყვარულთა გუნდის მწვრთნელად, ცდილობს წააგოს და ამით თავი დააღწიოს თავზემოხვეულ მოვალეობას, მაგრამ გუნდი იგებს („ფეოლა“). სიტუაციის კომიზმი შესაძლებლობას იძლევა გამოიძებნოს უამრავი კომიჯური დეტალი გმირის ხასიათშიც. ამასთან ერთად, ფილმ-ნოველაში ულერს სევდიანი სიმიც. ეს არის სინანული არაფრისმაქნისი ადამიანისადმი, რომელსაც არა აქვს არავითარი მისწრაფება, ვერ პოულობს თავის აღ-

ვილს ცხოვრებაში და ბრმად მიჰყვება ღინებას. ეს ნი-
კელა დადგა ახალგაზრდა რეესისორმა ბ. წულაძემ. ასე დღი
უჩვეულო, ხალასი ცხოვრებისეული დაკვირვებები დაედო

საფუძვლად ფილმს „არაჩვეულებრივი გამოფენა“, რომელიც
დადგა რეესისორმა ე. შენგელაიამ რ. გაბრიაძის სცენარის მი-
ხედვით. როგორც ეს ხშირად ხდება, კარგმა ნაწარმოებმა ხე-
ლი შეუწყო ახალი, ნიჭიერი მსახიობების გამოვლენას. ასე
შეემატა ქართულ კინოს საუცხოო კომედიური მონაცემების
მსახიობი ვ. ჩხაიძე. იგი ფილმში ყოფილი თავადის, სამსახუ-
რიდან გადამდგარი პოდპოლკოვნიკის პიპინია ერისთავის
როლს ასახიერებს. მართალია, ეს პრწყინვალე კომედიური ნი-
ჭი ცოტა მოგვიანებით ამობრწყინდა ჩვენი კინოს ცისკიდურზე
(ვ. ჩხაიძე თითქმის ორმოცი წელი რაიონული სკოლის პედა-
გოგად მუშაობდა), მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რაო-
დენ ბევრს მიაღწია მან ორი წლის განმავლობაში, იმედი უნდა
ვიქონიოთ — კიდევ არაერთი საინტერესო როლის მომ-
სწრენი გავხდებით.

რ. გაბრიაძე, როგორც დრამატურგი, გმირის მეტყველებას
ზუსტ და ინდივიდუალურ ხასიათს ანიჭებს. მისი დიალოგი
ძალდაუტანებელი და მსუბუქია. ფილმში ბრწყინვალედ არის
დაწერილი პიპინიას ტექსტი. იგი მაღალფარდოვან მეტ-
ყველებას მიმართავს, ყოველი მარჯვე შემთხვევით სარგებ-
ლობს, რათა ლაპარაკში რთული სამხედრო ტერმინოლოგია
ჩაურთოს.

რის შესახებაა ფილმი? მისი კომედიური შუბტი არ არის
მოკლებული სერიოზულ აზრს და ფინალის ოპტიმისტური, ნა-
თელი პროგნოზის მიუხედავად, იგი მაყურებელს ჩააფიქრებს
გმირის, მოქანდაკე აგული ერისთავის (გ. ლორთქიფანიძე)

ბედზე. და ამ ფიქრს თან სდევს სევდაც და სინანულიც. ფილი
მეტყველებს იმაზე, რომ აღამიანი ვალდებულია გაუფრთხოებული
დეს თავის ნიჭს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შემოქმედები-
თი საწყისები აღამიანში შეუმჩნევლად და თანდათანობით
ჩაკვდება და გაცამტვერდება, რომ ნიჭით მოსილი აღამიანი
პასუბს აგებს საკუთარი სინდისისა და საზოგადოების წინაშე.
რეჟისორმ ელდარ შენგელაიამ უკვე გამოავლინა თავისი
ენერგიული რეჟისურა „თეორ ქარავანში“ და ნოველაში „მი-
ქელა“. „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ იგი მსუბუქად და
ფაქტზად მოუთხრობს მაყურებელს ამ, პირველი შეხედვით,
თითქოსდა მარტივ, თავისუფალ, გონებამახვილურ ამბავს,
დამრიგებლურ აზრს მალავს ხასიათების სიღრმეში და მაყუ-
რებელს აწვდის ძალდაუტანებლად, ზედმეტი აქცენტის გა-
რეშე. და მაყურებელიც გულიანად იცინის პიპინიას პირველი
სამიამულო ომის პრაქტიკაზე დამყარებულ სტრატეგიულ რჩე-
ვაზე, რის შედეგადაც გზაზე უზარმაზარი მეწყერი ჩამოწვება,
სოფლის რომელიღაც მოღვაწის ქვრივზე, რომელიც შეუკვე-
თავს ქმრის სკულპტურულ პორტრეტს საფლავზე დასადგმე-
ლად, ქმარს მარტო ტანსაცმლითა და ენერგიული ნიკაპით
იცნობს და უხვ საზღაურს გაიღებს სიმინდით. მხიარულ სი-
ცილს იწვევს ყოფილი მილიციელი გლაშა, რომელიც ყოველ
წელს ტყუპ ბიჭებს მატებს ოჯახს. გლაშას, უზარმაზარი და
მოუსვენარი ოჯახის დედას, დიდი უშუალობითა და მიმზიდ-
ველობით თამაშობს ვ. ტელიჩკინა. მაგრამ თანდათან, შეუმ-
ჩნევლად მაყურებელი აგულის პირისპირ რჩება, რომელსაც
დაუკარგავს ყველაზე ძვირფასი. რაც გააჩნდა: აღარ უწერია
ხორცის შესხმა მოქანდაკის სანუქვარ ოცნებას, იგი ვეღარ
შექმნის პოროსის საუცხოო მარმარილოსგან შედევრს.

რ. გაბრიაძის სცენარის მიხედვით გ. დანელიას მიერ შექმნა ნილი ფილმი „არ დაიდარდო“, სულ სხვაგვარადაა ჩატარებული ბული. ავტორები არ ისახავენ არავითარ სერიოზულ პრობლემას. ყოველ შემთხვევაში, აქ არ იგრძნობა დამრიგებლობა. რუსმა კინომსახიობმა ია სავინამ თავისი აღფრთოვანებული სტატია ამ ფილმის შესახებ, გამოქვეყნებული ჟურნალ „ისკუსტვი კინოში“ დაასათაურა ასე: „სიხარულის უნარი“, და მართლაც, ადამიანის უძვირფასებს წყალობას — უნარს გიხაროდეს სიცოცხლე, ეზიარო მას, გასცე დაუნანებლად და დაუფიქრებლად — მეტად დამახასიათებელ თვისებას ქართული ეროვნული ხასიათისათვის — მიუძღვნეს თავისი ფილმი გ. დანელიამ და რევაზ გაბრიაძემ. მართალია, ფილმის ტიტრებში ნათქვამია, რომ სცენარი დაწერილია კლოდ ტილიეს რომანის მიხედვით, მაგრამ სიუჟეტის შენარჩუნებით გაბრიაძემ შექმნა საკუთარი, სრულიად ორიგინალური სცენარი, თამამად და ძალდაუტანებლად გადაიტანა ფილმის მოქმედება XIX საუკუნის დასასრულის საქართველოში.

ფილმის გმირებს არ აქლიათ არც სიბრძნე, არც ცხოვრების სიყვარული და სულიერი სიმდიდრე, რომელიც ამართლებს ყოველგვარ უდარდელობას, ფუქსავატობასაც კი. ბენ-უამენი (აქ შესდგა ვახტანგ კიკაბიძის ბრწყინვალე დებიუტი) და მისი სიძე ლუკა (გ. ქავთარაძე) სერიოზულ საქმეზე, ქალის ხელის სათხოვნად მიღიან, ხიდზე შეხვდებიან რუს ჯარისკაცს, რომელიც ფეხით მიემართება ქუთაისისაკენ. სიძე-ცოლისძმა იმდენად აღფრთოვანებული არიან შესაძლებლობით — გაიცნონ. დაუახლოვდნენ ახალ ადამიანს, რომ სავსებით ივიწყებენ საქმეს.

ფილმში არ არის „ცისფერი“ როლები. არც ერთი მისი პერ-

სონაუი არ გვევლინება კომედიის ლირიკული გმირის რთულ /
მდგომარეობაში. ყოველი სახე უნჩობრივადაა გადაწყვეტილი და
და თითოეული მათგანისთვის რეჟისორი და მსახიობები გაძო-
სახვის მქაფიო საშუალებას პოულობენ. პლასტიკური და ტემ-
პერამენტიანია ბენეამენი. როგორც ყოველთვის, საუცხოოდ,
ფერების სიუხვით, თამამად ძერწავს სახეს სერგო ზაქარიაძე
(თავადი ლევანი). გოგი ქავთარაძე ქმნის მორიდებული, თავ-
მდაბალი ადამიანის სახეს, რომლისთვისაც უცხო არ არის
ადამიანური გატაცებები და იგი სასაცილოდ უმწეოა მათ
წინაშე.

ალმანახით „მხიარული ნოველები“ შესდგა ახალგაზრდა
რეჟისორის თ. ფალავანდიშვილის შემოქმედებითი დებიუტი-
მან სცენარისტ ლ. ჭელიძესთან ერთად შექმნა კინონოველა
„კაპიტანი“. დებიუტანტის მიერ დადგმულმა ამ კომიკურმა ნო-
ველამ ახალი ფერები შემატა ეროვნული კომედიის მდიდარ
პალიტრას და შეძლო ოქლერებულიყო პროფესიულად სრულ-
ყოფილი ისეთი ფილმების გვერდითაც კი, როგორიცაა „არა-
ჩვეულებრივი გამოფენა“ და „არ დაიდარდო“. ახალგაზრდა
დრამატურგის ლევან ჭელიძის სცენარში და შემდგომ თ. ფა-
ლავანდიშვილის ფილმში გულთბილადაა მოთხრობილი ადა-
მიანის მეტად იშვიათ, მაგრამ ძალზე მიმზიდველ ხასიათზე —
უცნაურ კაცზე. ქვეყნის გამოვიდველს ხდის ფაქიზი, ლირი-
კული ავტორისეული ინტონაცია.

თ. ფალავანდიშვილი კინემატოგრაფისტთა მესამე თაობას
ეკუთვნის, რომლებიც დამოუკიდებელ გზაზე 50-იანი წლები:
დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში გამოვიდნენ. ქარ-
თული კინოს ამ თაობას თავისი შემოქმედებითს მისწრაფებათა

მრავალფეროვნებასა და სხვაობასთან ერთად საერთო თვისეუბებიც გააჩინია: გ. შენგელაიძე, ო. იოსელიანმა, მ. კობახიშვილმა თ. ფალავანდიშვილმა პირველივე ფილმებში შეიმუშავეს და მოუკიდებელი შემოქმედებითი ხელწერა. გარდა ამისა, 60-იანი წლების „ახალგაზრდა“ ქართულმა ფილმებმა ეროვნული კინემატოგრაფიის განვითარების პროცესს ახალი თვისებები შესძინა.

ასეთი წარმატება, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ეს თაობა დამოუკიდებელ გზას მეტისმეტად ხელსაყრელ პირობებში დაადგა. 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში შემოქმედებითი ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი, მკაფიო გახდა. ჯერ კიდევ სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტებად ყოფნისას ახალგაზრდა ქართველი რეჟისორები კინემატოგრაფიის ანბანს ეზიარნენ ისეთი ფილმებით, როგორიცაა მ. კალატოზვის „მიფრინავენ წეროები“, გ. ჩუხრაის „ორმოცდაერთი“ და „ბალადა ჯარისკაცზე“, რომელთაც დაამსხვრიეს დოგმატური წარმოდგენა რეალიზმზე. 50-იანი წლების მეორე ნახევარში მომხდარი ძვრები თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის ფილმებში საფუძველს იძლეოდნენ იმედი დაგვემყარებინა ეროვნული კინოს უკეთეს მომავალზე.

ახალგაზრდა რეჟისორებმა არ დააყოვნეს, ესარგებლათ მხატვრული თვითგამორკვევის უფლებით. მათი ძიების ერთ პოლუსზე გამოიკვეთა ინტერესი საზოგადოების დაკვირვებული და დაეკინებული ანალიზისადმი, ტიპიური ხასიათების ტიპურ გარემოში გახსნისადმი, მეორე პოლუსზე — ცხოვრების რომანტიკული, პოეტური აღქმა, რომელიც მიზნად ისახავს ცხოვრება უჩვენოს პოეტურად.

როდესაც ლაპარაკია პირველი მიმართულების რეჟისურაზე /
(თუ შეიძლება მიმართულება ეწოდოს ძიების გეზის მფლობელი
გამოვლენას პირველ დამოუკიდებელ ნამუშევრებში), „თავდა-
პირველად გვახსენდება გიორგი შენგელაიას „ალავერდობა“
და ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“.

გიორგი შენგელაიამ ჯერ კიდევ თვისის, საკურსო შრომით,
რომელიც ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებას ეძღვნებოდა,
მიიქცია ყურადღება. შემდეგ შეიქმნა მისი სადიპლომო ნაშ-
რომი „ალავერდობა“ — ახალგაზრდა პროზაიკოსის გურამ
რჩეულიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით
გადაღებული. აქ იგრძნობა სხვაგვარი სილრმე, რომელსაც არ
მოელი ახალბედას ნამუშევარში. ავტორი მსჯელობს რთულ,
საპირისპირო მოვლენაზე... იგი გვთავაზობს საკუთარ დაკვირ-
ვებებს, გადაღებულს არაჩვეულებრივი დამაჯერებლობით. ამ
დაკვირვებაში გაისმის კითხვითი ინტონაცია და არ არის პირ-
დაპირი, თავზემოხვეული პასუხი.

ყოველ შემოდგომას, ალავერდის ძელ ტაძართან რელი-
გიურ დღესასწაულზე თავს იყრის აურაცხელი ხალხი. აქ ღამის
სათევად მოღიან არა მარტო ქართველები, არამედ ლე-
კები, ოსები, ქისტები, ჩეჩენები, ქრისტიანები და მაკმა-
დიანები, მორწმუნენი და ურწმუნონი. კლავენ საქონელს,
სვამენ, ჭამენ, ცეკვავენ. დღეობის ძელმა, რელიგიურმა ტრა-
დიციებმა უკვე დაკარგა თავისი მნიშვნელობა. მაშ რად შეკრე-
ბილა ეს მრავალრიცხოვანი, მრავალენოვანი ბრბო ამ ძელი
ტაძრის გალავანთან? რას წარმოადგენს ეს დღეობა? ეს კითხ-
ვითი ინტონაცია საზღვრავს ნაწარმოების მეტად თავისებურ
სტილისტიკას.

ფილმში მთხრობელია თვით გმირი, უურნალისტი. იგი  ჩამოვიდა, რომ მონაწილეობა მიიღოს დღეობაში. მაგრამ მაგრამ უაზრო, უმიზნო ღრეობა, უთავბოლო ნამთვრალევი ბრძო შას-
ვი აწევს აღშფოთებას, პროტესტს, სურეილს გამოატხილოს.
ხალხი სულიერი ბორკილისგან. ავტორს ამ ფილმის გმირთან
ერთად ხან იტაცებს ის, რაც მის გარშემო ხდება, ცდილობს
ჩასწევდეს მის არსე, თავი იგრძნოს ამ ბრძოს ნაწილად, ხან
დაღლილი და იმედგაცრუებული კვლავ გარეშე მეთვალყურედ
რჩება. შესაბამისადაა აგებული ფილმის რიტმიც. აუჩქარებე-
ლი, დოკუმენტური თხრობის ქარგას არღვევს ჭირითისა და
კოშკის ციცაბო კიბეზე დევნის აღგზნებული, ტემპერამენტიანი
კადრები. ატმოსფერო იძაბება თანდათანობით და ფრიად თა-
ვისებურად — რიტმის დაცემის, მიყუჩების, სრული შენელე-
ბის გზით. და უცებ მას მოსდევს აფეთქება. ამხედრე-
ბული გმირი, გაფრენილ რაშს მოქეთეთა წრეში შეაჭენებს
და დაბნეულობასა და ალიაქოს იწვევს. შემდეგ იგი ტაძრის
გუმბათზე გამოჩნდება და დღეობაც ერთი წამით გაირინდება.

ამგვარად, ფილმში არის გმირი, რომელიც უპირისპირდება
ბრძოს, იგი გაიგივებულია ავტორთან. თითქოსდა ამ დაპირი-
პირების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გმირი უნდა ყოფი-
ლიყო აქტიური, დადებითი მუხტის მატარებელი, უბრალო
კვრეტიდან აქტიურ მოქმედებაზე გადასვლის სიმბოლო. სწო-
რედ მასში უნდა განსახიერებულიყო ის დიდი, ნათელი სამ-
ყარო, რომელთან შეჯახებაშიც ფილმში აღწერილი მოვლენე-
ბი ახალ შუქში წარმოგვიდგებოდა. სამწუხაროდ, ეს არ ხდება.
ავტორი გაიტაცა გმირის გარეგნულმა დახასიათებამ. მისი გმი-
რი გულცივი და უკარებაა, ზევიადი და ამპარტავანია, იგი
ქედმალურად გადმოჰყურებს ხალხს ინტელექტუალური და

შორის უპირატესობის სიმბოლური მწვერვალიდან. 
ად, ფილმის იდეული აქცენტი გადანაცვლებული აღმოჩნდა ასეთი სიტყვა:

ამ ნაკლის მიუხედავად „ალავერდობა“ თავისებურ შრეს უყვარდა ნად იქცა ქართულ კინემატოგრაფიაში. ახალგაზრდა რეჟისორ-მა ამ ფილმში გამოამულავნა ცხოვრების მოვლენათა კვლევი, ანალიზური მეთოდი.

გადის ორი წელიწადი. გიორგი შენგელაია ამ დროის გან-
მავლობაში დგამს ტემპერამენტიან ვესტერნს „მაცი ხეიტიას“. შემდეგ, კვლავ უბრუნდება თავისი სადიპლომო ნამუშევრის
თემას — ნიკო ფიროსმანაშვილს. ახლა უკვე ნათელია, რომ
მისი სადიპლომო ნაშრომი მოსამზადებელი ეტაპი იყო სერიო-
ზული კვლევისათვის თემაზე — მხატვარი და ცხოვრება. სცე-
ნარისტ ე. ახვლედიანთან ერთად გ. შენგელაიამ მიზნად დაისახა
ეჩვენებინა თვითნასწავლი მხატვრის შინაგანი სამყარო, რო-
მელშიც უაღრესად თვითმყოფადი და დამოუკიდებელი მხატ-
ვრული აზროვნება შეთავსებია სულიერ სისპერაციებია და პა-
ტიონსნებას, ეჩვენებინა მისი უთანხმოება გარე სამყაროსთან.
ფიროსმანაშვილი ფილმში მჭიდროდაა დაკავშირებული ძველი
თბილისის ზნე-ჩვეულებებთან, ქალაქის ძველი ქუჩების, საჩ-
დაფებისა და ლუქნების კოლორიტთან, იმ გარემოსთან, რო-
მელშიც ცხოვრობდა და ქმნიდა მხატვარი.

ფილმი სტილისტურად ჩაფიქრებულია როგორც ძველი
თბილისის ყოფის ამსახველი კოლორიტული, ცხოვრებისეული
ტილო. აქ ცხოვრების სურათები ერთგვარ ტრანსფორმაციას
განიცდის მხატვრის გონებაში. ავტორები მაყურებელს სთავა-
ზობენ სამყაროს ფიროსმანის თვალით შეხედოს. ამის შედეგია
კადრებისა და მიზანსცენების ერთგვარი სტატიკურობა.

ეს როგორი სტილისტური ხერხი ყველგან ერთნაირ ეფექტს

არ იძლევა. ძლიერია მეორე პლანი — გლეხეაცთა, ხელოსნებისა და ქალაქების ყოფის სურათები — ყველაფერზე ჩატარებული რისგანაც ჩამოყალიბდა მხატვრის შინაგანი სამყაროზე შესულება რამ ფიროსმანის დამოკიდებულება რეალურ სამყაროსთან და ამ დაპირისპირებაში მომწიფებული უთანხმოება და განდგომა მხატვრისა მეტად გაღარიბებული აღმოჩნდა. ამიტომ სტილისტური ხერხით შებოჭილი მხატვრის განდგომის დრამატული თემა არასაკმაოდ ემოციურად აელერდა. არაპროფესიონალმა მსახიობმა ა. ვარაზმა თავის გმირს მიანიჭა სითბო და უშუალობა. მაგრამ მის გრძნობებს სისრულე და სიმკვეთე აკლია.

ფილმის გამომსახველობითი დონე მეტად მაღალია, ცალკეულ კადრებში ოპერატორი კ. აპრიატინი დიდ ესთეტიკურ ეფექტს აღწევს.

„ფიროსმანი“, მის შინაშე წამოყენებული ამოცანების მიხედვით, რთული მრავალპლანიანი ფილმია. მან თვალასჩინო ფურცელი ჩაწერა ქართული კინოს ისტორიაში.

ახალგაზრდა ქართული კინოს ანალიზური ტენდენცია ნათლად არის გამოკვეთილი ო. იოსელიანის შემოქმედებაში. ჯერ კიდევ მისი დოკუმენტური ფირი „თუჭი“ — გადაღებული რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, დადგმული იყო ძუნწი, თავშეევებული მანერით, ავტორი უარყოფდა ყოველგვარ კინემატოგრაფიულ აქცენტს.

პირველი, რაც მაყურებლის ყურადღებას იპყრობს ო. იოსელიანის ფილმში „გიორგობისთვე“, ეს არის სადა და უტყუარი ფონი. უჩვეულოა ფილმის მასალა — თბილისის ყოველდღიური ცხოვრება, შეულამაზებელი, არაპოეტური, ისეთი, როგორიცაა იგი ჭეშმარიტად. თითქოს ახლახან ჩაიარე ეს

ქუჩა და კუთხეში შეჩერდი, რომ თვალი შეავლო გამვლებული
ყური მიუგდო მათ საუბარს. გამვლელები კი მიღიან — უწოდები
მხიარული, ზოგი დაფიქრებული, დიდი და პატარა, კეთილი და
ბოროტი აზრებით დატვირთულნი. ზოგ მათგანს კი უზრუნ-
ველობა და გულგრილობა აწერია სახეზე. საიდან ჩნდება ეს
სახიუათო განწყობა? ავტორები არ ჩქარობენ ამ კითხვაზე პა-
სუხის გაცემას. ისინი მაყურებელს სთავაზობენ თვალი შეავ-
ლონ თბილისს, მის საოცრად გულლია ბინაღართ — თავისებური
მეტყველებით, ოღნავ შენელებული მოძრაობით, მკვეთრა
პლასტიკით. პირველივე კადრებიდან მაყურებელი ხედავს
ნაცნობ სახეებს. ხო, ეს ჩვენებურები არიან, თბილისელები —
ლევანი, მანანა, ოთარი. ფილმს თავდაპირველად სწორედ ასე
ერქვა — „ნაცნობი სახეები“.

ფილმი თხრობის პროზაული მანერითაა გადაღებული.
მას აქვს პროლოგი და ეპილოგი, რაც ფილმს განზოგადების
ელფერს ანიჭებს. მაგრამ ეს განზოგადება შეტაფორული რო-
დია. პირიქით, საუკუნოვანი მოების, უძველესი ციხე-სიმაგრე-
ების ფონზე გადაღებული კადრები დოკუმენტური მანერით
მოვითხრობენ, რომ ფილმის თემაა ცხოვრების მარადიული
საწყისები, რომ უშრომლად არ მოიპოვება პური ჩვენი არსო-
ბისა.

დოკუმენტური და მხატვრული კინოს მიჯნაზე მოქმე-
დება გადაინაცვლებს ქალაქში, სადაც ცხოვრობს და
შრომობს ფილმის გმირი. ძველი თბილისის ხმაურიანი უბანი.
ლევანის აივნის ქვეშ ღრმვიალითა და წკარუნით მოძრაობს
ტრამვაი. გვერდით სახლია ჩამონვრეული ობიექტი. იქ მანანა
ცხოვრობს. საქმიანი ნაბიჯით მიიჩქარის წელში გამართული
ოთარი სამუშაოზე... (ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. რეეისორმა შეგ
ნებულად არ მოიწვია ამ როლებზე მასახიობები, რათა გრძელებული
ბის თამაშში მეტი უშუალობისა და სისაღავისთვის მიეღწია).

გრძელდება პროლოგში დაწყებული მიწის, შრომის, ტრა-
დიციების, ძებისა და მიღწევების ოემა. ახალგაზრდები ღვი-
ნის ქარხნის ტექნოლოგები არიან. ქარხანაში ყველაფერი თა-
ვის რიგზე როდია, მაგრამ ამას ყველა შეეგუა. ყველა დუმს.
ზოგი გულგრილობის გამო, ზოგი გამორჩენის მიზნით, სხვა
კი უბრალოდ, შეეჩინა ამ მდგომარეობას. ჭეშმარიტმა ფასეუ-
ლობამ ადგილი დაუთმო წვრილმან, მაგრამ მეტად მოსახერხე-
ბელ კეთილდღეობას. და აი, რაღაც ძალიან საჭირო, მნიშვნე-
ლოვანი, ცხოვრების მიღმა რჩება. ამის მაგივრად — უაზრო
ყბედობა, ქირქილი, უმიზნო ბორიალი ქუჩებში...

ყოველივე ამას ფილმში უპირისპირდება სრულიად „არა-
გმირული“ გარეგნობის მეტად უჩვეულო გმირი. ეს არის
გაუბედავი, მორცხვი ბიჭი, სასაცილო სიარულით, მეტისმე-
ტად თავაზიანი, ნამდვილი დოკუმენტია. იგი მზადაა ყველას მა-
გივრად იმუშაოს. მას ჩანერგილი აქვს, რომ ყველასთან თავა-
ზიანი იყოს. იგი უსაზღვროდ ალალმართალი და გულუბრყი-
ლოა, ხშირად მისი მიამიტობა სასაცილოც კი ხდება.

პირველი შეხედვით უსუსური და უმწეო ლევანი არაჩვეუ-
ლებრივად მტკიცე და ურყევი აღმოჩნდება, როგორც კი საქმე
შეეხება მორალურ და მოქალაქეობრივ პრინციპებს. იგი არ
შეუშინდება ხულიგანს, თუმცა მასზე ბევრად სუსტია, დი-
რექტორი და ოთარი მას ვერ აიძულებენ ჩამოასხას უვარვისი
ღვინო. ეკრანზე იბრძვის ორი ძალა — ცხოვრებაში ჩინებუ-
ლად მოკალათებული მეშჩანი მისი „საღი აზროვნებით“ და
ჭეშმარიტად ხალხური, მაღალი ზნეობის ძალა, რომლის გა-

ლევანი მხურვალე მხარდაჭერას პოულობს უბრალო ადა-
მიანებში, მეღვინეებში, რომელთა გვერდითაც იგი მუშაობს.

ცხოვრების რომანტიკული, პოეტური აღქმა — ახალგაზრ-
და ქართული კინემატოგრაფიის მეორე მიმართულება —
ყველაზე უფრო სრულადაა წარმოდგენილი ახალგაზრდა ქარ-
თველი კინემატოგრაფისტის მიხეილ კობახიძის ფილმებში.
ჯერ კიდევ სტუდენტობისას, მის საკურსო ნაშრომებში ვა-
მოვლინდა მომავალი რეჟისორის უბადლო ნიჭის თავისებუ-
რება. მ. კობახიძის პირველმა მოკლემეტრაჟიანმა ლენტებმა
„ქორწილმა“ და „ქოლგამ“ ქართულ სტუდიას საერთაშორი-
სო პრემიები მოუტანა ობერჰაუზენსა და კარლოვი ვარში. ჩა-
ში მდგომარეობს ამ პატარა, ორნაწილიანი ფილმების თავისე-
ბურება და მომხიბელელობა?

„ქორწილის“ და „ქოლგის“ სიუჟეტის გადმოცემა ძნელია.
საქმე იმაშია, რომ ამ ფილმებში სიუჟეტი, უკანა პლანზეა.
აქ კარბობს მხოლოდ პოეზია, რომელსაც ყველაფერი ექვემ-
დებარება.

მიხეილ კობახიძეს საკუთარი თემა, საკუთარი ლეიტმოტი-
ვი აქვს: უსაზღვრო. ბავშვურად მიამიტი, არათრით შებდალუ-
ლი სიყვარული ადამიანისადმი. ეს არის ახალგაზრდა ხელოვა-
ნის შემოქმედებითი კრედო. აქედან გამომდინარეობს მის
ფილმებში გადმოცემული ადამიანთა დამოკიდებულების
უსაზღვრო სისპექტაკული.

სიყვარული... პირველი შეხვედრა, ცოტნება, სევდა. იმე-
დის გაცრუება, სიხარული... ადამიანის განცდების მთელი გამა.

პლასტიკა, მიმიკა, უესტი, მუსიკა, კადრის კომპოზიტორების
ეს ის მასალაა, რომლისგანაც ძერწავს მიხეილ კობახიძე კა-
ნემატოგრაფიულ სახეს. სიტყვა იკარგება. მსახიობის მოძრა-
ობა კადრში მომხილავი, პირობითია და პლასტიკურად თვი-
სუფალი. „ქოლგაში“ ეს პირობითობა ცეკვის თვისებურ
ფორმებამდე დაყვანილი. ყმაწვილი მსუბუქი, მკვეთრი ნახ-
ტომებით მოძრაობს, გოგონას მოძრაობაში იგრძნობა ოცნე-
ბამორეული პლასტიკა. ორივე გმირის პლასტიკურ ჩანახატში
ხაზებასმულია მათი ასაკის უმწეობა, პირველად გაღვიძებული
სიყვარულის უბიშოება. ჭაბუკი და გოგონა, მათ შორის ასე
უეცრად გაჩენილი ქოლგა, კონცერტი, რომელსაც ჭაბუკ-
უძღვნის გოგონას, ყოველივე ეს ქმნის სიჭაბუკის ფაქიზ, ბრო-
ლივით გამჭვირვალე სახეს.

კობახიძე ფილმებში მსახიობს ასწავლის საკუთარი სხეუ-
ლის დაუფლების საიდუმლოებას. ახალბედები, რომლებიც
პირველ ნაბიჯს დგამენ კინემატოგრაფიაში, იძნენ პლასტი-
კური გამომსახველობის საოცარ უნარს, უესტისა და მი-
მიჯის სიზუსტეს, მსახიობი გაოცებით ამჩნევს რომ მის
სხეულს უდიდესი გამომსახველობითი უნარი აქვს. ასე იყო
გ. ქვათარაძესთან, რომელიც თეატრის პროფესიული მსახიო-
ბია, ასე დაემართათ არაპროფესიონალ მსახიობებს, რომლებიც
კინოში მხოლოდ შემთხვევაში მოიყვანა.

ოპერატორმა გ. სუხიშვილმა „ქოლგაში“ ისეთ ტონს, ისეთ
შუქ-ჩრდილს მიაღწია, რომ გმირები, რომლებიც მსუბუქი
ნახტომებით მოძრაობენ, ჰაერში გამოყიდებულნი ჩანან, ხო-
ლო საგნები, თავისი რეალური მოხაზულობის დაუკარგავად

პირობითობის ელემენტებს იძენენ, რაც მეტად შნიშვნელოფა
ნია ფილმის მთელი განწყობილებისათვის. ასეა გაღმაცემული
ქუჩა „ქორწილში“, რესტორანი, სადაც ჭაბუკი და გოგოა
ცეკვავენ, სახლის ინტერიერი, სადაც „ქოლგის“ გმირი
ცხოვრობს. არვ ერთი საგანი, არც ერთი საკოდექცხოვრებო
დეტალი არ ზღუდავს გმირს. ფილმში ყველაფერი გმირის გა-
მოსახვას ემსახურება. მხატვრის წარმოდგენა გარდაქმნის ჩეა-
ლურ სამყაროს, ქმნის ახალ, პოეტურ რეალობას.

მუსიკა ხელს უწყობს ფილმის რიტმული ქარჯის შექმნას.
„ქორწილში“ მხიარული მოტივის თანხლებით გმირი მიღის
სამსახურში და ბრუნდება უკან. უკაცრიყლ ვიწრო ქუჩაში მას
ორგერ ჩაურბენს ბიჭების გუნდი. გმირი შეჩერდება და მერე
ბიჭებს გამოედევნება. მათი ფეხის ხმა დაარღვევს სიმღერის
რიტმს. კადრში გამოჩნდება გოგონა ვიოლინოთი. მის გამოჩე-
ნას თან ახლავს ვალსის ლირიკული, წარმტაცი მელოდია —
ეს გოგონას ლეიტმოტივია. „ქოლგაში“ ახალგაზრდები ერთ-
შემანეთს გაეცნობიან ბახის კლასიკური ჰარმონიისა და ჩაიკონი-
ების პატარა გედების ცეკვის კრისტალურად წმინდა მელოდიის
თანხლებით. მას სცვლის მატჩიშის ამაფორიაქებელი, მკვეთრი
ჰანგები. კადრში გამოჩნდება ქოლგა, ცთუნების, წარმავალი
ბედნიერების სიმბოლო. ის აღნიშნავს აფორიაქებისა და დაბ-
რევის დასაწყისს, რომელსაც კინალამ მოჰყვა გამცემლობა.

მიხეილ კობახიძე უბადლო ნიჭის მქონე ხელოვანია. მისი
პატარა ფილმების გამოჩენა მოვლენა იყო ჩვენს ხელოვნება-
ში, ისინი დამსახურებულად შეაფასეს საზღვარგარეთაც.

პინერატოგრაფისტთა სამი თაობა. ა. ხინოიგიძის
 ტრადიციები და ნახატი ფილმის
 განვითარების გზები

კინოსტუდია „ქართულ-ფილმში“ ამჟამად ნაყოფიერად შრომობს კინოსტატთა სამი თაობა. ახალგაზრდებს არც უფროსი თაობის ხელოვანნი ჩამორჩებიან. იძულებითი უმოქმედობის პერიოდის შემდეგ, (20—30-იანი წლების მათ შემოქმედებაზე დაწვრილებითაა მოთხრობილი წინა თავებში), ისინი კვლავ აღსავსენ არიან შემოქმედებითი აქტივობით.

შემოქმედებითი ძალის სრული დაძაბვით მუშაობს ქართული კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი სიკო დოლიძე. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მან შექმნა მრავალი საინტერესო ნაწარმოები, რომლებმაც მაყურებლის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. ეს ფილმებია: „ფატიმა“ (1958), „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“ (1959), „პალიასტომი“ (1964), „შეხვედრა წარსულთან“ (1967), „ქალაქი ადრე იღვიძებს“ (1968).

ამ ფილმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფილმს — „შეხვედრა წარსულთან“, რომელიც, როგორც სხვა

ფილმების უმრავლესობა, ს. დოლიძემ საკუთარი სცენარის შინაგანი მუსიკური ხედვით დადგა.

კინოდრამის ტრადიციული ფორმით გადაწყვეტილი ფილმი ისტორიულ მასალაზე არის აგებული — მასში მოთხოვნილია კოლექტივიზაციის პირველი წლების შესახებ საქართველოში. ფილმის გმირი, ბობოლა გლეხი აღმასხანი რთული, ძლიერი პიროვნებაა, იგი სულიერად დამახინჯა სოციალურმა პირობებმა. მისი დრამა — ეს არის დრამა გონებისა და ნიჭისა, რომელიც იძულებულია ბოროტებასა და ძალადობას ემსახუროს. აღმასხანი, რომელიც საინტერესოდ იყო ჩაფიქრებული დრამატურგისა და რეჟისორის სიკო დოლიძის მიერ, ქართულ კინოხელოვნებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა სერგო ზაქარიაძის წყალობით, რომელმაც ჩვეული ოსტატობით შეასრულა ეს როლი. ფილმში ზუსტად არის გადმოცემული 20-იანი წლების მეორე ნახევრის გურული სოფლის კოლორიტი, სოციალური და ეროვნული ხასიათები. მას საფუძვლად ავტორის მიერ განცდილი ამბები უდევს.

თანამედროვე ეროვნულ კინოში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შ. მანაგაძის შემოქმედებას. მისმა ფილმმა „საბუდარელმა ჭაბუკმა“, რომელიც რეჟისორმა 1956 წელს გადაიღო, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული კინოს საუკეთესო ტრადიციების აღორძინებაში. მანაგაძე დეტალისა და კოლორიტის ოსტატია, იგი რეჟისორების ხალ თაობას დაეხმარა აღედგინა პომპეზური რეპრეზენტატული ფილმებით გაძარცული კონკრეტულობა და უტყუარობა ქართული სოფლის ყოფის აღწერისას.

ერთი პერიოდის წარუმატებლობის შემდეგ შ. მანაგაძემ, გ. მდივნის სცენარის მიხედვით, გადაიღო ისტორიული დრამა „ხევსურული ბალადა“.

ამ უანრის სხვა ნაწარმოებებისაგან ეს ფილმი რიგი ღრმა
ბებით გამოირჩევა. გამოსახვის კულტურით, კეთილშობლიც და
ბითა და გემოვნებით, რეჟისორისთვის დამახასიათებელი ლი-
რიზმით. „ხევსურულ ბალადაში“ მზარდი ოსტატობა გამო-
ამუღავნა ნიჭიერმა ქართველმა მსახიობმა ს. ჭიათურელმა.

1968 წელს, როგორც ზემოთ იყო ნათქვაძი, შ. მანაგაძე
გამოვიდა მისთვის უჩვეულო უანრში — გადაიღო დიდ სამა-
მულო ომის მასალაზე აგებული კინოდრამა „ჯვარცმული კუნ-
ძული“.

ბევრს და ნაყოფიერად შრომობს რეჟისორი დ. რონდელი,
რომელმაც ჯერ კიდევ 30-იან წლებში მნიშვნელოვანი წვლი-
ლი შეიტანა საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში თავისი
ფილმით „დაკარგული სამოთხე“. ამჟამად იგი იღებს ფილმს
ქართველი პატრიოტი — იატაკვეშელის ზოია რუხაძის გმი-
რობაზე.

ქართულ მულტიპლიკაციურ კინოს არ ეწერა სრულქმნისა
და განვითარების იმ ულრუბლო გზით სვლა, რომელსაც მას
ჩასახვის პირველ წლებში, ვ. მუჯირის ფილმების შემდეგ
უწინასწარმეტყველებდნენ. ბოლო წლებში გაჩნდა უფერული,
ნატურალისტური ნაწარმოებები, სრულიად განსხვავებული
ქართველ მულტიპლიკატორთა პირველი ბრწყნვალე ნამუშევ-
რებისაგან. სტუდიის ხელმძღვანელობა გაიტაცა „ფორმალი-
ზმთან“ ბრძოლამ და სრულიად აღმოფხვერა ნახატ ფილმებში
პირობითობის ელმენტები. მულტიპლიკაციას შემოეძარცვა
ფანტაზია და გამოვლენება. თანდათან დაიშალნენ სპეციალისტ-
მულტიპლიკატორთა ასეთი სიძნელეებით აღზრდილი კადრები.

მარტო 50-იანი წლების ბოლოსთვის რეჟისორ-მულტიპლი-
კატორების ა. ხინთიბიძისა და ვ. ბახტაძის ნამუშევრებში

კვლავ აღმოცენდა ეროვნული ნახატი ფილმის ტრადიცია, ორ-
მელიც მისი პიონერების ვ. მუჭირისა და ვ. გულიუშვილის
ფილმებში იყო ჩასახული.

წარსულში მუნჯი კინოს ცნობილმა მსახიობმა ა. ხინთიძი-
ძემ 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყის-
ში შექმნა ოთხი ნახატი ფილმი: „ჩხიკვთა ქორწილი“, „მტრო-
ბა“, „წუნა და წრუწუნა“ და „ნახევარწილა“. ეს ფილმები
ხალხურ საწყისებს უახლოვდება — ქართულ ზღაპრებს,
ხალხურ ფერწერას. ამ საწყისებიდან წარმოიშვნენ ფილმების
ნახატი პერსონაჟები. ცხოველების პლასტიკურ დახასიათებაში,
მათ მოძრაობაში ეროვნული თავისებურება იგრძნობა. რეჟი-
სორმა და მხატვარმა ბ. სტარიკოვსკიმ შეძლეს ეს თავისებუ-
რება კონკრეტული პერსონაჟებისათვის მიენიჭებინათ. ეროვ-
ნული თავისებურება იგრძნობა იუმორშიც, რომელიც აგებუ-
ლია სიტყვების თამაშებ, ხალხურ ხუმრობაზე და პერსონაჟე-
ბის თავისებურ მოძრაობაზე.

საუბედუროდ, სიკვდილმა შეწყვიტა ა. ხინთიძიძის ასე
წარმატებით დაწყებული საქმე. მაგრამ მისმა ფილმებმა უცი-
ლობელი გავლენა იქონიეს ქართული მულტიპლიკაციის გან-
ვითარებაზე.

50-იან წლებშივე დაიწყო წამყვანი ქართველი მულტიპლი-
კატორის ვ. ბახტაძის მოღვაწეობაც. ხინთიძიძისაგან განსხვა-
ვებით ბახტაძეს თანამედროვე თემა, თემის ნახატში გა-
დაწყვეტის თანამედროვე საშუალებები იზიდავს. ხინთიძიძის
ფილმებს ნორჩი მაყურებელი ზღაპრების სამყაროში შეჰყავ-
და, ბახტაძის ლენტები კი მას თანამედროვე ტექნიკის პორი-
ზონტებს აახლოებს. ბახტაძის ფილმში „ხელმარჯვე ოსტატის
თავგადასავალი“ პირველად გაჩნდა მექანიკური კაცუნას ნა-

ზატი პერსონაჟი, რომელიც შემდეგ საბავშვო წიგნებისა და დიოგადაცემების ერთ-ერთ პოპულარულ პერსონაჟად ქვეყნაში გავრცელდა.

ტრილოგიას ხელმარჯვე ოსტატზე — „ხელმარჯვე ოსტატს თავგადასავალი“, „საყვირის შემდეგ“, „ხელმარჯვე ოსტატი — სპორტსმენი“ — ბავშვები ტექნიკის სამყაროში შეპყავს, აცნობს მათ სხვადასხვა ხელსაწყოსა და ტექნიკური დეტალების დანიშნულებას. ტრილოგიის ფილმები გამოიჩინევიან მეტყველი ნახატებით, პერსონაჟების მახვილგონივრულად ჩაფიქრებული მოძრაობით, მოქმედების სწრაფი რიტმით.

ბოლო წლებში ნახატი ფილმების გაერთიანებამ შექმნა უფროსებისათვის საინტერესო ნახატი ფილმები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ო. ანდრონიკაშვილის ლენტი „ოქრო“, შექმნილი ა. სლოვინსკის, ო. ქოჩაიძისა და ი. ჩიკვაიძის სცენარის მიხედვით (ისინი, ამავე დროს, ფილმის მხატვრებიც არიან). ფილმის მთავარი იდეა — ჭეშმარიტი და მოჩეუნებითი ფასეულობის გარკვევა — ვადაწყვეტილია მკვეთრ, პლასტიკურ ფორმაში. პირველი, რაც აქ ყურადღებას იპყრობს, ეს არის თავისუფლება და სითამამე კოლორიტში, კადრის კომპოზიციაში, პერსონაჟის გრაფიკულ ნახატში, რიტმული და აზრობრივი მონტაჟის ჩინებული ცოდნა მუსიკის მიხედვით, რომელიც ამ ფილმისათვის კომპოზიტორმა გ. ყანჩელმა დაწერა.

სრულმეტრაჟიანი ფილმი ე. როსტანის პიესის „შანტეპლერის“ („ყიყლიყო“) მოტივების მიხედვით დადგა მ. ჭიათურელმა.

თოვინებიანი ფილმების დაღვის პირველი ცდები წარმოვიდგინეს თავის ნამუშევრებში რეჟისორებმა შ. გეღევანიშვილმა და კ. სულაკაურმა. მაგრამ ჭეშმარიტად ხალხური სტი-

ლი და პერსონაჟების პლასტიკური გადაწყვეტა ამ ახალ ეხმაზ
ში მხოლოდ ძიების პროცესშია.

ქართულ კინოში დღეისათვის შემოქმედებითი ძიების,
მრავლისალმთქმელი ატმოსფერო სუფეს. ყოველწლიურად
მტკიცდება კინოხელოვნების კავშირი ცხოვრებასთან. იზრდე-
ბიან და იწაფებიან ნიჭიერი შემოქმედნი.

ს ა რ ჩ ე ბ ი

კინოწარმოების დასაწყისი და კინოს პირველი ენთუზიასტები.	3
„წითელი ეშმაკუნები“, „არსენა ჯორჯიაშვილი“ მარჯანიშვილის მუშაობა კინოში. „ჯანყი გურიაში“. ახალგაზრდო- ბის დებიუტი. მიხეილ ჭიათურელის სატირა	14
ნიკოლოზ შენგელაია. „ელისო“, „26 კომისარი“. ხმოვანი კინოს მიზ- ნასთან. კომედიის აღორძინება. მიხეილ კალატოზოვი (ზ. კალა- ტოზიშვილი.) დოკუმენტური კინოს შემდგომი განვითარება	25
ხმოვანი კინემატოგრაფი. „უკანასკნელი ჯვაროსნები“. გმირი მსხვი- ლი ხედით. „დარიკო“, „არსენა“, „დაკარგული სამოთხე“.	41
მულტიპლიკაციის დაბადება	57
„ვიორგი საკაბე“ და 40-იანი წლების ისტორიულ-ბიოგრაფიული ფილმები. კომედიის დაქვეითება	64
ქართული კინოს ტრადიციების აღორძინება. თენგიზ აბულაძე, რევაზ ჩხეიძე. სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმე- ბის სტულის ჩამოყალიბება	82
ფილმები — სჯანი. მ. ელიოზიშვილი — „თეთრი ქარავანი“, „დიდი მწვანე ველი“. ფილმები დიდ სამამულო ომზე. „ჯარისკაცის მამა“	98
სამოციანი წლების კომედია. გ. შენგელაია, თ. იოსელიანი და 60-იანი წლების კინოს ინალიზური ტენდენცია. მ. კობახიძის პოეტუ- რი კინემატოგრაფი კინემატოგრაფისტთა სამი თაობა. ა. ხინთიბიძის ტრადიციები და ნახატი ფილმის განვითარების გზები	113

7. 23/283



Церетели Кора Давидовна

ГРУЗИНСКОЕ СОВЕТСКОЕ КИНО

(На грузинском языке)

Издательство «Хеловнеба»

Тбилиси, Плеханова, 179

გამოშცემლობის რედაქტორი ვლ. სიხარულიძე

მხატვარი მ. ნონიკაშვილი

მხატვრული რედაქტორი ილ. უთურაშვილი

ტექნიკაქტორი ჭ. ბურდული

კორექტორი ე. ნადარეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI-70 წ.

ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/32$.

სააღრ.-საგამოშცემლო თაბახი 5,43

ნაბეჭდი თაბახი 7,5

უ. 01825 ტირაჟი 2000. შეკვ. № 915.

ფასი 87 კაპ.

გამოშცემლობა „ხელოვნება“

თბილისი, პლეხანევის 179

1971

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი

სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის

მთავარმოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 4

Тбилисская типография № 4. Главполиграфпрома

Государственного комитета Совета


Министров Грузинской ССР по печати



6. ՋԵՆԵՐԱՆ



Տ. ՖՈՎԱՆԻ



Տ. ԿԱՂԱՔԻՆՈՅՑՈՂՈ



Յ. ԹԱԳԱՐԵՐՅՈ





ღ. გეგე



ՉՊՈՅՈՒՅ 9.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
Ազգային Գրադարան



»ՅԱՆՈՒԱՐ«

ପ୍ରମାଣିତ କାହାର ଦେଖିଲା



„ଶକ୍ତିନାମିକାରୀଙ୍କ ମହାଶ୍ଵରାଜୀ“

ଓଲିପଣ୍ଡା
ବାହୁଦାମ



୧. କିଳାଶରୂପୀ — ମୋହନୀଆ, ୨. ଅରଜିନାମୀ — ପବଲେ
„ବିଦେଶିରୂପୀ ତାଙ୍କାଙ୍କା“



ს. ზაქარიაძე — თბილისის
„უკანასკნელი ჯვარისციტი“



3. ანჯავარიძე — მუზის ცოლი
„26 პომისარი“



ԱԼ. ՄԱՐԴՈՂԱՅԻ
„ԵՐԱՆԱԿԻ ՅՈԼՈՒ“



„ԺՊԼՋԱ“



„ՑՈՒՐՄԱՏԱՆՈՒ“




Յ. Պալազյանցիշվիլի — Քարամը
„Ճշճապարհոցին“



„Թիեզօջու Դարսավուն“


თ. არჩევაძე — აღმუდგ
„ვეღოვება“



„ღიმილის გიგანტი“




გ. მილვინის თანახური — ჯოგოლა
„ვეზრისა“





Ք. Շահովառը և այլ դերասաններ Հայոց պատմության մեջ





Ռ. ՑՈՒՑԱԿԱՐԱԳՐԱՆԿԱՐ



ଶ. ହୋଲିମେଲିଙ୍ଗ




ସ. ତରେତିଦାତାମ୍ବଦୀ

944367240
81122-0110036



ડ. એણ્ટોલ્યુન્ડ



Յ. ՑԱՐՏՏՈ